

უკან დაბრუნება

თქვენ უყურებთ დოკუმენტის პირველად სახეს დოკუმენტის კონსოლიდირებული ვარიანტის ნახვა ფასიანია, აუცილებელია სისტემაში შესვლა და საჭიროების შემთხვევაში დათვალეების უფლების ყიდვა, გთხოვთ გაიაროთ რეგისტრაცია (/ka/user/register) ან თუ უკვე რეგისტრირებული ხართ, გთხოვთ, შეხვიდეთ სისტემაში (/ka/user)

დროებით, ფაილს შესაძლოა გააჩნდეს ვიზუალური ხარვეზი, სრული ვერსიის სანახავად დაჭირეთ ფაილის გადმოწერას

პირველადი სახე (04/04/2007 - 06/11/2015)

სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 140.060.000.22.034.010.168

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №449

2007 წლის 27 მარტი

ქ. თბილისი

საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და მათ შესასრულებლად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესები.
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ბრძანების შესრულების ორგანიზება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახანძრო დაცვის დანაყოფებში.
3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს შს მინისტრის 2001 წლის 12 აპრილის №130 ბრძანება „საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“.
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ი. მერაბიშვილი

საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესები

ეს წესები ადგენენ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და სავალდებულოა შესასრულებლად სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, დაწესებულება-ორგანიზაციების (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა, შემდგომში – ობიექტები), მათი მუშაკების, აგრეთვე მოქალაქეების მიერ.

საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესები (შემდგომში – წესები) ეფუძნება საქართველოს კანონს „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ და სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედ სხვა ნორმატიულ აქტებს.

თავი I

საერთო მოთხოვნები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომლებმაც დაარღვიეს სახანძრო უსაფრთხოების წესები, ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ წესებთან ერთად აუცილებელია დადგენილი წესით დამტკიცებული სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიული დოკუმენტებით და სახანძრო უსაფრთხოების შემცველი სხვა ნორმატიული დოკუმენტებით ხელმძღვანელობა.

3. ყველა ობიექტი უნდა იყოს უზრუნველყოფილი სახანძრო უსაფრთხოების სისტემით, რომელიც მიმართულია ხანძრის საშიში ფაქტორების, მათ შორის, მათი მეორადი გამოვლინების თავიდან ასაცილებლად.

4. განსაკუთრებით რთული და უნიკალური შენობებისათვის ამ წესების მოთხოვნების გარდა უნდა იქნეს შემუშავებული სახანძრო უსაფრთხოების სპეციალური წესები, რომლებიც ასახავენ მათი ექსპლუატაციის სპეციფიკას და ითვალისწინებენ სახანძრო საშიშროებას. ზემოაღნიშნული სახანძრო უსაფრთხოების სპეციალური წესები უნდა იქნეს შეთანხმებული სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის მმართველობის ორგანოებთან.

5. ობიექტებზე შემუშავებულ უნდა იქნეს ინსტრუქციები სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ თითოეული ფეთქებადნამარ- და ხანძარსაშიში უბნისათვის (სახელოსნო, საამქრო და სხვა) (დანართი 1).

6. მუშა-მოსამსახურენი სამუშაოდ დაიშვებიან მხოლოდ ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის გავლის შემდეგ, ხოლო ახის სპეციფიკის შეცვლის შემთხვევაში მათ უნდა გაიარონ შესაძლო ხანძრის თავიდან აცილებისა და ჩაქრობის შესახებ დამატებითი სწავლება, ობიექტის ხელმძღვანელის მიერ დადგენილი წესით.



ონლაინ კონსულტაცია (<https://chat.matsne.gov.ge/index.php/chat/?locale=ka&style=matsne&name=>)

7. ობიექტის ხელმძღვანელებს აქვთ სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის უფლება, რომლებმაც დაკავებული თანამდებობით ან შესასრულებელი სამუშაოების ხასიათის მიხედვით უნდა შეასრულონ სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი წესები ან უზრუნველყოფნა მათი შესრულება განსაზღვრულ სამუშაო უბნებზე, მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი და სხვა აქტების ფარგლებში.

8. ხანძრის თავიდან აცილებისა და ჩაქრობის ღონისძიებებში ობიექტების მუშა-მოსამსახურებისა და საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის მიზიდვის მიზნით, შესაძლებელია სახანძრო-ტექნიკური კომისიების და ნებაყოფლობითი სახანძრო დაცვის შექმნა.

9. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოების ხელმძღვანელები, ქონების მფლობელობაზე, სარგებლობასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირები, მათ შორის, ობიექტების ხელმძღვანელები ან თანამდებობის პირები, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე დადგენილი წესით პასუხისმგებლად დანიშნული პირები ვალდებული არიან:

- ა) დროულად უზრუნველყონ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულება;
- ბ) დადგენილი წესით შექმნან და შეინახონ შესაბამისი კერძო, საუწყებო ან ნებაყოფლობითი სახანძრო დაცვის სამსახურები, უზრუნველყონ პირადი შემადგენლობის და სახანძრო ტექნიკის გამოყენება მხოლოდ დანიშნულებისამებრ.

10. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მათი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებული არიან შესაბამის ტერიტორიაზე უზრუნველყონ:

- ა) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების ორგანიზება და განხორციელება;
- ბ) დადგენილი ნორმების შესაბამისად ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების ხარჯებიდან დააფინანსონ სახანძრო დაცვის სამსახურების შექმნა და შენახვა;
- გ) ხანძრის თავიდან აცილების და ჩაქრობის საქმეში მოსახლეობის ჩაბმისთვის პირობების შექმნა;
- დ) სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფად საზოგადოებრივი კონტროლის ორგანიზება;
- ე) ხანძარსაწინააღმდეგო პროპაგანდის ჩატარების და მოსახლეობისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლების ორგანიზება;
- ვ) სახანძრო უსაფრთხოების ეკონომიკური და სოციალური სტიმულირების განხორციელება, სახანძრო-ტექნიკური საშუალებების შექმნა;
- ზ) სახანძრო დაცვის სამსახურებისათვის და მოხალისე მეხანძრეთა საქმიანობისათვის ხელის შეწყობა.

11. ნივთიერებების, მასალების, ნაკეთობების და მოწყობილობების დამამზადებლებმა (მიმწოდებლებმა) შესაბამის ტექნიკურ დოკუმენტაციაში უნდა მიუთითონ სახანძრო უსაფრთხოების მარკენებლები, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების ზომები მათი გამოყენებისას.

12. ყველა საწარმოო, ადმინისტრაციულ, დამხმარე და სასაწყობო სათავსში თვალსაჩინო ადგილებზე უნდა იყოს გამოკრული სახანძრო დაცვის სამსახურების ტელეფონის ნომრები.

13. ობიექტის ტერიტორიაზე ღია ცეცხლის გამოყენების, ტრანსპორტის მოძრაობის და დროებითი ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარების წესები და თამბაქოს მოსაწევი ადგილები დგინდება სახანძრო უსაფრთხოების ზომების შიდასაობიექტო ინსტრუქციებით.

14. თითოეულ ობიექტზე, ობიექტის ხელმძღვანელის ბრძანებით დადგენილი უნდა იყოს ამ ობიექტის ხანძარსაშიშროების შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი, მათ შორის:

- ა) განისაზღვროს და მოეწყოს თამბაქოს მოსაწევი ადგილი;
- ბ) შეირჩეს ადგილი და განისაზღვროს სათავსებში ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების და შუა პროდუქციის ერთდროულად შესანახი დასაშვები რაოდენობა;
- გ) დადგენილ უნდა იქნეს წვადი ნარჩენებისგან და მტერისაგან გასუფთავების, აგრეთვე ზეთით გაჟღენთილი სპეცტანსაცმლის შენახვის წესი;
- დ) განისაზღვროს ხანძრის შემთხვევაში და სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ელექტრომოწყობილობების გამორთვის წესი;
- ე) დადგენილი იქნეს ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული დროებითი და სხვა ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარების წესი;
- ვ) დადგენილ იქნეს სამუშაოს დამთავრების შემდეგ შენობის დათვალიერების და დაკეტვის წესი, აგრეთვე ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში მუშაკთა მოქმედებები;
- ზ) დადგენილ იქნეს ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟების და სახანძრო-ტექნიკური მინიმუმის მეცადინეობების ჩატარების წესი და ვადა, აგრეთვე მათ ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი.

15. შენობა-ნაგებობებში (საცხოვრებელი სახლების გარდა), სადაც სართულზე ერთდროულად იმყოფება 10 და მეტი ადამიანი, უნდა იყოს შემუშავებული და თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრული ევაკუაციის გეგმები (სქემები), აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იყოს ხანძრის შესახებ მაუწყებლობის სისტემის მოწყობა.

16. ადამიანთა მასობრივი თავშეყრის (50 და მეტი ადამიანი) ობიექტებზე ევაკუაციის გეგმასთან ერთად უნდა იყოს შემუშავებული ინსტრუქცია, რომლითაც განისაზღვრება ხანძრის დროს პერსონალის მოქმედებები ადამიანთა უსაფრთხოებისა და სწრაფი ევაკუაციის უზრუნველყოფაზე. ამ ინსტრუქციის მიხედვით წელიწადში არანაკლებ ორჯერ უნდა ჩატარდეს პრაქტიკული ვარჯიში ყველა მუშაკის მონაწილეობით. იმ ობიექტებისათვის, რომლებშიც ადამიანები იმყოფებიან ღამის საათებში (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, სკოლები, რომლებიც ახორციელებენ პანსიონურ მომსახურებას, საავადმყოფოები და სხვა), ინსტრუქციაში გათვალისწინებული უნდა იყოს მოქმედების ორი ვარიანტი: დღისა და ღამის საათებში. აღნიშნული ობიექტების შესაბამის უფლებამოსილ პირებს უნდა გააჩნდეთ ინფორმაცია ობიექტზე მყოფი ადამიანების ზუსტი რაოდენობის შესახებ.

17. შენობა-ნაგებობები, სადაც დღე-ღამის განმავლობაში იმყოფებიან გადაადგილებამეზღუდულ კატეგორიას მიკუთვნებული ადამიანები (მეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დარღვევებით, სმენადაქვეითებული და მხედველობადაქვეითებული ადამიანები, აგრეთვე მოხუცები და დროებით არაპროგნოზირებადი), უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხანძრის შესახებ ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ინფორმაციის დროულად მიღების საშუალებებით, მათ შორის, დუბლირებული შუქსიგნალით, ხმოვანი და ვიზუალური სიგნალიზაციით, რომელიც ჩართულია ხანძრის შესახებ მაუწყებლობის საერთო სისტემაში.

18. შუქსიგნალი, ხმოვანი და ვიზუალური სიგნალიზაცია გათვალისწინებული უნდა იყოს სათავსებში, რომლებშიც იმყოფებიან გადაადგილებამეზღუდულ კატეგორიას მიკუთვნებული პირები, აგრეთვე ყოველ საევაკუაციო, ავარიულ გასასვლელში და საევაკუაციო გზებზე. შუქსიგნალი (მანათობელი ნიშნების სახით) უნდა ამოქმედდეს ხმოვან სიგნალთან ერთად. შუქსიგნალების ციმციმი და აღმატებოდეს 5 ჰერცს. ვიზუალური ინფორმაცია უნდა განთავსდეს კონტრასტულ ფონზე და ნიშნებისათვის დამახასიათებელ ადგილას, რომელიც შეესაბამება ხედვის მანძილს. ამ ობიექტების მომსახურე პერსონალმა გადაადგილებამეზღუდულ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთა ევაკუაციის ჩასატარებლად უნდა გაიაროს სპეციალური სწავლება და დგინდეს პროცედურები <http://www.matsne.gov.ge/index.php/chat?locale=ka&style=matsne&name=>

19. ობიექტის მუშაკები, აგრეთვე მოქალაქეები ვალდებული არიან:

- ა) ობიექტებსა და საყოფაცხოვრებო პირობებში დაიცვან სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები და ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი;
- ბ) დაიცვან უსაფრთხოების ზომები აირის ხელსაწყოების, საყოფაცხოვრებო ქიმიის საგნების მოხმარებისას, ადვილაალებადი და წვადი სითხეების, სხვა ხანძარსაშიში ნივთიერებების, მასალებისა და მოწყობილობების გამოყენებით სამუშაოების შესრულებისას;
- გ) ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში შეატყობინონ სახანძრო დაცვის სამსახურს და შეძლებისდაგვარად მიიღონ ზომები ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, კერძო და სახელმწიფო ქონების გადასარჩენად და ხანძრის ჩასაქრობად;
- დ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლის მიზნით, სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების ხელმძღვანელები ვალდებული არიან საშუალება მისცენ სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტორებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაატარონ შენობა-ნაგებობების სახანძრო-ტექნიკური გამოკვლევა და შემოწმება.
20. პირები, რომელთაც დავალებული აქვთ ხალხმრავალი ღონისძიებების ჩატარება (სადამოები, დისკოთეკები, ზეიმები საახალწლო ნაძვის ხესთან, წარმოდგენები და სხვა) ვალდებული არიან ღონისძიების დაწყებამდე ყურადღებით დაათვალიერონ სათავსები და დარწმუნდნენ მათ უსაფრთხოებაში ხანძარსაწინააღმდეგო თვალსაზრისით.
21. ობიექტის ხელმძღვანელები, სადაც გამოიყენება, გადამუშავდება და ინახება საშიში (ფეთქებადსაშიში) ძლიერმოქმედი მომწამლავი ნივთიერებები, ვალდებული არიან შეატყობინონ სახანძრო დაცვის სამსახურებს მონაცემები ამ ნივთიერებების შესახებ, ხანძრის ჩაქრობაში და საავარიოსამაშველო სამუშაოების ჩატარებაში მონაწილე პირადი შემადგენლობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 2. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ტერიტორიებისათვის

1. დასახლებული პუნქტების და ობიექტების ტერიტორია, შენობა-ნაგებობებსა და ღია საწყობებს შორის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების ფარგლებში ტერიტორია, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების, სააგარაკო და სხვა შენობების მიმდებარე უბნები დროულად უნდა გასუფთავდეს წვადი ნარჩენების, ნავის, ტარის, ჩამოცვენილი ფოთლების, ხმელი ბალახისაგან და სხვა.
2. შენობა-ნაგებობებს, ხე-ტყის შტაბელებს, სხვა მასალებსა და მოწყობილობებს შორის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გამოყენება მასალების, მოწყობილობების, ტარის შესანახად, ტრანსპორტის სადგომად და შენობა-ნაგებობების ასაშენებლად დაუშვებელია.
3. შენობა-ნაგებობებთან, ღია საწყობებთან, წყლის წყაროებთან და სახანძრო კიბეებთან მისასვლელი გზები, მოსავლელი და გასასვლელი უნდა იყოს მოწესრიგებული და თავისუფალი სახანძრო ტექნიკის მისასვლელად, ხოლო ზამთარში გაწმენდილი თოვლისა და ყინულისაგან.
4. გზების ან შესასვლელის გადაკეტვის შესახებ (მათი შეკეთების, ან სხვა მიზეზის გამო, რაც ხელს უშლის სახანძრო ავტომობილის გავლას) აუცილებელია ეცნობოს სახანძრო დაცვის სამსახურებს. ამ პერიოდში გზის სათანადო ადგილებში უნდა იყოს დადგმული შემოვლის მიმართულების მაჩვენებლები.
5. დროებითი ნაგებობები უნდა იყოს განლაგებული სხვა შენობა-ნაგებობებიდან არანაკლებ 15 მ-ის მოშორებით (გარდა სხვა ნორმების მოთხოვნებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ან ხანძარსაწინააღმდეგო კედლებთან.
6. ცალკეული ბლოკ-კონტინერული შენობები დასაშვებია განლაგდეს ჯგუფებად (არა უმეტეს 10 ერთეული თითოეულში და არა უმეტეს 800 მ² ფართობით). მანძილი ამ შენობების ჯგუფებს შორის და სხვა შენობებამდე, სავაჭრო ჯიხურებამდე და ა.შ. უნდა იყოს არანაკლებ 15 მ.
7. თამბაქოს მოწევა აკრძალულია ხორბლის მიმდებარე პუნქტებში, მარცვლეულის მასივებში, სავაჭრო ობიექტებზე, ადვილაალებადი, წვადი სითხეების და აირების მომპოვებელ, გადამამუშავებელ და შესანახ ობიექტებზე, ყველა სახის ფეთქებადი ნივთიერებების საწარმოებში, ფეთქებადხანძარსაშიში და ხანძარსაშიში უბნებზე, აგრეთვე სხვა ობიექტების თამბაქოს მოწევისათვის დაუშვებელ ადგილებში საქართველოს კანონის „საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად.
8. დაუშვებელია კოკონის გაჩაღება, ნარჩენების და ტარის დაწვა დაპროექტების ნორმებით დადგენილი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების ფარგლებში, მაგრამ არანაკლებ 50 მ-ის დაშორებით შენობა-ნაგებობებიდან. ნარჩენებისა და ტარის დაწვა ამ მიზნებისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში უნდა განხორციელდეს მომსახურე პერსონალის მეთვალყურეობით.
9. დასახლებული პუნქტებისა და ობიექტების ტერიტორიას უნდა ჰქონდეს გარე განათება სახანძრო ჰიდრანტების, გარე სახანძრო კიბეების და სახანძრო ინვენტარის განლაგების ადგილების, აგრეთვე სახანძრო წყალსატევების პირსებთან მისასვლელის და შენობა-ნაგებობებში შესასვლელის ადვილად მისაგნებად. სახანძრო უსაფრთხოების საშუალებებისა და მოსაწყვად სპეციალურად მოწყობილ ადგილებში უნდა იყოს გამოკრული სახანძრო უსაფრთხოების ნიშნები, მათ შორის – „არ ჩახერგოთ“. სახანძრო უსაფრთხოების სასიგნალო ფერები და ნიშნები უნდა შესაბამებოდეს სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.
10. შიდასაობიექტო რკინიგზის ლიანდაგებზე გადასასვლელი უნდა იყოს თავისუფალი სახანძრო ავტომობილის გასასვლელად. გადასასვლელის რაოდენობა ლიანდაგებზე უნდა იყოს არანაკლებ ორი.
11. საცხოვრებელი სახლების, სააგარაკო და მეზღობის დასახლებების, საზოგადოებრივი და სამოქალაქო შენობების ტერიტორიის ღია მოედნებსა და ეზოებში დაუშვებელია ადვილაალებადი და წვადი სითხეებით შევსებული ტარის, აგრეთვე შეკუმშული და თხევადი აირის ბალონების დატოვება.
12. წიწვოვანი ტყის მასივებში განლაგებული ბავშვთა გამაჯანსაღებელი ბანაკების და საზაფხულო აგარაკების ტერიტორიას მთელ პერიმეტრზე უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 მ სიგანის დამცავი მინერალიზებული ზოლი.
13. სოფლის ტიპის დასახლებული პუნქტების, სააგარაკო და მეზღობის დასახლებების ტერიტორიაზე ხანძრის ჩასაქრობად უნდა იყოს:
- ა) გადასატანი სახანძრო მოტოპომპა – არა უმეტეს 300 კომლზე (ნაკვეთზე);
 - ბ) მისაბმელი სახანძრო მოტოპომპა – 300-1000 კომლზე (ნაკვეთზე);
 - გ) არანაკლებ ორი მისაბმელი სახანძრო მოტოპომპა – 1000 და მეტ კომლზე (ნაკვეთზე).
14. სოფლად განლაგებული დასასვენებელი სახლები და სხვა გამაჯანსაღებელი დაწესებულებები უნდა იყოს უზრუნველყოფილი სახანძრო ტექნიკით და სახანძრო-ტექნიკური შეიარაღებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დადგენილი წესით დამტკიცებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 3. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები შენობა-ნაგებობების და სათავსებისათვის

1. ყველა საწარმოო და საწყობების სათავსისათვის უნდა იყოს განსაზღვრული აფეთქებახანძარ- და ხანძარსაშიშროების კატეგორია, აგრეთვე ზონის კლასი („ელექტროდანადგარების მოწყობის წესების“ მიხედვით), რომლებიც უნდა იყოს აღნიშნული სათავსების კატეგორიაში, აგრეთვე ხანძარსაშიშროების მოწყობილობებთან უნდა გამოიკრას უსაფრთხოების სტანდარტული ნიშნები.
3. აფეთქებახანძარსაშიშროების გამოუკვლევია მახასიათებლების შექმნა მასალებისა და ნივთიერებების გამოყენება წარმოების პროცესში, აგრეთვე მათი შენახვა სხვა მასალებთან და ნივთიერებებთან ერთად დაუშვებელია.

4. სათავსებისა და შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები და დანადგარები (კვამლსაწინააღმდეგო დაცვა, სახანძრო ავტომატიკის საშუალებები, ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემები, ხანძარსაწინააღმდეგო კარები, სარქველები, სხვა დამცავი მოწყობილობები ხანძარსაწინააღმდეგო კედლებსა და გადახურვებში და სხვ.) მუდმივად უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში.

5. კარების თვითამკვეტი მოწყობილობა უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში. დაუშვებელია რაიმე სამარჯვის დაყენება, რომელიც ხელს შეუშლის ხანძარსაწინააღმდეგო ან კვამლსაწინააღმდეგო კარების (მოწყობილობის) ნორმალურ დაკეტვას.

6. ხანძრის თავიდან აცილების მიზნით დაუშვებელია საშუაოების ჩატარება გაუმართავ მოწყობილობებზე, დანადგარებსა და დაზგებზე, აგრეთვე გამართულ საკონტროლო-საზომ ხელსაწყოებსა და ტექნოლოგიურ ავტომატიკაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ტემპერატურის, წნევის და სხვა პარამეტრების უსაფრთხოების პირობით რეგლამენტირებული მოცემული რეჟიმების კონტროლს.

7. სამშენებლო კონსტრუქციების, წვადი მოსაპირკეთებელი და თბოსაიზოლაციო მასალების, დანადგარების ლითონის საყრდენების ცეცხლდამცავი საფარების (ბათქაში, სპეციალური საღებავი, შემოგლესვა, ლაქი და სხვა) დაზიანებები უნდა იყოს დაუყოვნებლივ შეკეთებული.

8. ნორმატიული მოთხოვნების შესაბამისად დამუშავებული (გაყენითლი) ხის კონსტრუქციები და ქსოვილები დამუშავების (გაყენთვის) მოქმედების ვადების გასვლისთანავე და იმ შემთხვევაში, როცა დამცავ შემადგენლობებს დაკარგული აქვს ცეცხლდამცავი თვისებები, ხელმეორედ უნდა იყოს დამუშავებული (გაყენითლი). ცეცხლდამცავი დამუშავების (გაყენთვის) მდგომარეობა უნდა იყოს შემოწმებული არანაკლებ ორჯერ წელიწადში.

9. ხანძარსაწინააღმდეგო კედლების, გადახურვების და შემზღული კონსტრუქციების სხვადასხვა საინჟინრო და ტექნოლოგიურ კომუნიკაციებთან გადაკვეთის ადგილებში წარმოქმნილი ხვრელები და ღრეზოები უნდა იყოს შევსებული დუღაბით ან სხვა უწვი მასლით, რომლებიც უზრუნველყოფენ ცეცხლმედგობის საჭირო ზღვარს და კვამლისა და აირის შეუღწევადობას.

10. შენობებისა და სათავსების კვლავდაგემარებისას, მათი ფუნქციონალური დანიშნულების შეცვლისას ან ახალი ტექნოლოგიური მოწყობილობების დამონტაჟებისას უნდა იყოს დაცული ამ შენობების ან სათავსების ახალი დანიშნულების შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები.

11. სათავსების იჯარით გაცემის შემთხვევაში მოიჯარის მიერ უნდა იყოს შესრულებული მოცემული ტიპის შენობების შესაბამისი ნორმატიული ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები.

12. ადამიანთა მასობრივი თავშეყრის ადგილები (თეატრები, მუზეუმები და ა.შ.), აგრეთვე ნავთობგადამამუშავებელი, ხის დამამუშავებელი, ქიმიური მრეწველობის და სხვა სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით პოტენციურად საშიში საწარმოები უნდა იყოს უზრუნველყოფილი პირდაპირი სატელეფონო კავშირით სახანძრო დაცვის სამსახურებთან.

13. ობიექტების შენობა-ნაგებობებში (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა) აკრძალულია:

- ა) სარდაფსა და ცოკოლის სართულში ადვილაალებადი და წვადი სითხეების, დენთის, ფეთქებადი ნივთიერებების, აირის ბალონების, აეროზოლის პაკეტებში დავასობული საქონლის, ცელულოიდის, სხვა ფეთქებადხანძარსაშიში მასალებისა და ნივთიერებების შენახვა და გამოყენება, გარდა შემთხვევებისა, რომლებიც მოყვანილია მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებში;
- ბ) სხენის და ტექნიკური სართულების, სავენტილაციო კამერების და სხვა ტექნიკური სათავსების გამოყენება საწარმოო უბნების, სახელოსნოების განსათავსებლად, აგრეთვე პროდუქციის, მოწყობილობების, ავეჯის და სხვა საგნების შესანახად;
- გ) ლიფტის ჰოლებში საკუჭნაოების, ჯიხურების, ფარდულების და სხვა სათავსების განთავსება;
- დ) სარდაფებსა და ცოკოლის სართულში წვადი მასალების საწყობების და სახელოსნოების, აგრეთვე სხვა სამეურნეო სათავსების მოწყობა, თუ მათში შესასვლელი არ არის იზოლირებული საერთო კიბის უჯრედისაგან;
- ე) დერეფნებიდან, ჰოლებიდან, ფოიედან, ტამბურებიდან და კიბის უჯრედებიდან საევაკუაციო გასასვლელების პროექტით გათვალისწინებული კარების, საევაკუაციო გზებზე ხანძრის საშიში ფაქტორების გავრცელების შემაკავებელი სხვა კარების მოხსნა. მოცულობით-გემარებითი გადაწყვეტების შეცვლა, რომლებიც იწვევენ ადამიანთა უსაფრთხო ევაკუაციის პირობების გაუარესებას, ზღუდავენ ცეცხლსაქრობებთან, სახანძრო ონკანებთან და სახანძრო უსაფრთხოების სხვა საშუალებებთან მისვლას ან ამცირებენ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ავტომატური სისტემების (ავტომატური სახანძრო სიგნალიზაცია, ხანძრის ჩაქრობის სტაციონალური ავტომატური დანადგარი, კვამლგაწოვი სისტემები, მაუწყებლობის სისტემები) მოქმედების ზონას. კვლავდაგემარების შედეგად ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის ან ხანძრის ჩაქრობის ავტომატური დანადგარების მოქმედების ზონის შემცირება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სათავსების სივრცე დამატებით დაცულია შესაბამისად – ინდივიდუალური მაუწყებლებით ან მოდულური დანადგარებით;
- ვ) კარების, აივნების და ლოჯიების ლიუკების, მომიჯნავე სექციებში გადასასვლელების, გარე საევაკუაციო კიბეებზე გასასვლელების ჩახერგვა ავეჯით, მოწყობილობებით და სხვა საგნებით;
- ზ) სათავსების დასუფთავება და ტანსაცმლის გარეცხვა ბენზინის, ნავთის, სხვა ადვილაალებადი და წვადი სითხეების გამოყენებით, აგრეთვე გაყინული მილების გაცხელება სარჩილი ლამპით და ღია ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა მეთოდებით;
- თ) გაზეთილი გასაწმენდი მასალების აულაგებლად დატოვება;
- ი) ფანჯრებზე და სარდაფის ფანჯრების თანაორმოებზე ყრუ გისოსების დაყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ნებადართულია დადგენილი წესით დამტკიცებული ნორმებით;
- კ) ლოჯიების, აივნების და გალერეების შემინვა, რომლებიც გადიან დაუკვამლიანებელ კიბის უჯრედში;
- ლ) კიბის უჯრედებზე და დერეფნებში საკუჭნაოების მოწყობა, აგრეთვე კიბის საფეხურების ქვეშ და ბაქნებზე ნივთების, ავეჯის და სხვა წვადი მასალების შენახვა. კიბის საფეხურების ქვეშ პირველ და ცოკოლის სართულებზე დასაშვებია მხოლოდ ცენტრალური გათბობის მართვის კვანძების, წყალსაზომი კვანძის და ელექტროფარის სათავსების მოწყობა, რომლებიც შემოზღუდულია უწვი მასალის ტიხრებით;
- მ) საცხოვრებელი ბინებიდან საერთო დერეფანში (კიბის უჯრედის ბაქნზე) გამავალი კარის მიმართულების შეცვლა ან დამატებითი კარის მოწყობა, თუ ეს ხელს შეუშლის ადამიანთა თავისუფალ ევაკუაციას ან გაუარესებს მეზობელი ბინებიდან ევაკუაციის პირობებს;
- ნ) შენობების საწყობებსა და საწარმოო დანიშნულების სათავსებში (გარდა ცეცხლმედგობის V ხარისხის შენობებისა) ანტრესოლების, წვადი და მწელად წვადი მასალებისგან და ფურცლოვანი ლითონისგან ჩაშენებული სხვა სათავსების მოწყობა.

14. შენობა-ნაგებობების სახურავზე გარე სახანძრო კიბეები და მოაჯირი უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში და არა წელიწადში ერთხელ გამოიცადოს სიმტკიცეზე.

15. დაუშვებელია 50 და მეტი ადამიანის თავშეყრა იმ სათავსებში, რომლებსაც მხოლოდ ერთი საევაკუაციო გასასვლელი აქვთ.

16. დასაშვებია 50 და მეტი ადამიანის ერთდროული თავშეყრა IV და V ხარისხის ცეცხლმედგობის შენობების მხოლოდ პირველი სართულის სათავსებში.



17. ადამიანთა მასობრივი თავშეყრის შენობა-ნაგებობების დარბაზებში (სათავსებში, სადაც ერთდროულად იმყოფება 50 და მეტი ადამიანი – სამაყურებლო, სასადილო, საგამოფენო, სავაჭრო, სპორტული და სხვა დარბაზები, საკულტო შენობები) ადამიანთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დაპროექტების ნორმებით დადგენილ ან უსაფრთხო ევაკუაციისათვის გაანგარიშებულ (დაპროექტების ნორმების არარსებობისას) რაოდენობას. ამ შემთხვევებში ადამიანთა მაქსიმალურად დასაშვები რაოდენობის განსაზღვრისას, ერთ ადამიანზე უნდა იყოს მიღებული 0,75 მ² ოდენობის საანგარიშო ფართობი, ამასთანავე საევაკუაციო გზები და გასასვლელები უნდა უზრუნველყოფდნენ ადამიანთა ევაკუაციის დარბაზების ფარგლებს გარეთ, ევაკუაციისათვის საჭირო დროის განმავლობაში.

18. სხვენის, აგრეთვე ტექნიკური სართულების და სარდაფის სათავსების კარები, რომლებშიც ადამიანთა მუდმივი ყოფნა ტექნოლოგიური პირობებიდან გამომდინარე არ წარმოადგენს აუცილებლობას, უნდა იყოს დაკეტილი. ინფორმაცია გასაღების შენახვის ადგილის შესახებ უნდა იყოს მითითებული შესაბამის კარებზე. სხვენის, ტექნიკური სართულების და სარდაფის ფანჯრები უნდა იყოს შემინული და მუდმივად დაკეტილი.

19. სახლების ქვეშ, რომლებსაც გასანიავებელ ღია იატაკქვეშა სივრცეში გააჩნია წვადი მასალების კონსტრუქციები, უცხო პირთა შესვლა უნდა შეიზღუდოს.

20. შენობა-ნაგებობების სარდაფის და ცოკოლის სართულების ფანჯრის ღიობის თანაორმოები რეგულარულად უნდა გასუფთავდეს წვადი ნაგვისაგან. აღნიშნული ღიობების დამცავი ლითონის გისოსები უნდა იღებოდეს, ხოლო ფანჯრების საკეტები უნდა იღებოდეს შიგნიდან, გასაღების გარეშე.

21. სათავსების განათებისათვის გამოყენებულ ნავთის ფარნებსა და მაგიდის ლამპებს უნდა ჰქონდეს მყარი ფუძე (ძირი), რომელიც გამოირიგხავს მათ გადაყრავებას ექსპლუატაციის დროს.

22. ჩამოსაკიდებელი ნავთის ლამპები (ფარნები) უნდა იყოს საიმედოდ დამაგრებული, ჰქონდეს ლითონის დამცავი ხუფები და ლითონის ამრეკლები. მანძილი ლამპის ხუფიდან ან ფარანის სახურავიდან ჭერის წვად (ძნელად წვად) კონსტრუქციებამდე უნდა იყოს არანაკლებ 70 სმ, ხოლო წვად (ძნელად წვად) კედლებამდე – არანაკლებ 20 სმ.

23. ნავთქურების, ნავთგაქურების და პრიმუსების საწვავით შევსება უნდა განხორციელდეს ექსპლუატაციის შესახებ ქარხანა-დამამზადებლის ინსტრუქციის შესაბამისად. აკრძალულია აღნიშნული ხელსაწყოების შევსება ადვილად აღებადი სითხეებით (ბენზინი, სპირტი, გამხსნელები).

24. გამოყენებული საწმენდი მასალები უნდა შეგროვდეს მჭიდროდ დასაკეტი ხუფების მქონე უწყ კონტეინერებში. გამოყენებული საწმენდი მასალის შეგროვების პერიოდულობა უნდა გამოირიგხავდეს მათ დაგროვებას სამუშაო ადგილებზე. ცვლის დამთავრების შემდეგ კონტეინერების შიგთავსი უნდა იყოს გატანილი შენობიდან.

25. ზეთებთან, ლაქებთან, საღებავებთან და სხვა ადვილად აღებად და წვად სითხეებთან მომუშავე პირთა სპეცტანსაცმელი უნდა ინახებოდეს ამ მიზნისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში მოწყობილ ლითონის კარადებში.

26. დაუშვებელია ერთზე მეტსართულიან ვიტრაჟებიან შენობებში თითოეული სართულის დონეზე ვიტრაჟებში მოწყობილი კვამლგაუმტარი უწყვი დიაფრაგმების კონსტრუქციების მოშლა.

27. საახალწლო დღესასწაულების და სხვა ხალხმრავალი ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარებისას:

- ა) დასაშვებია მხოლოდ ისეთი სათავსებით სარგებლობა, რომლებიც უზრუნველყოფილია დაპროექტების ნორმების მოთხოვნების შესაბამისი არანაკლებ ორი საევაკუაციო გასასვლელით, არ გააჩნია გისოსები ფანჯრებზე და განთავსებულია წვადი გადახურვების მქონე შენობის მხოლოდ პირველ ან მეორე სართულზე;
- ბ) ნაძვის ხე უნდა დაიდგას მყარ სადგარზე და მისი ტოტები არ უნდა ეხებოდეს კედელსა და ჭერს;
- გ) სათავსებში ელექტროგანათების უქონლობისას ღონისძიებები ნაძვის ხესთან უნდა ჩატარდეს მხოლოდ დღის სინათლეზე;
- დ) ილუმინაცია უნდა იყოს შესრულებული „ელექტროდანადგარების მოწყობის წესების“ დაცვით. ნაძვის ხეზე ძაბვის დამწვევი ტრანსფორმატორების გარეშე ელექტროგანათების მოწყობის შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ მიმდევრობით ჩართული 12 ვ-მდე ძაბვის ნათურებიანი გირლანდების გამოყენება, ნათურების სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს 25 ვტ;
- ე) ილუმინაციაში გაუმართაობის აღმოჩენის შემთხვევაში (გაყვანილობის გადახურება, ნათურის ციმციმი, ნაპერწკლიანობა და სხვა) ის დაუყოვნებლივ უნდა იყოს გამორთული.

28. საახალწლო დღესასწაულების და სხვა ხალხმრავალი ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარებისას აკრძალულია:

- ა) ღონისძიებების ჩატარება სათავსებში, თუ ფანჯრების გასაშლელი გისოსები ჩაკეტილია;
- ბ) სათავსებში რკალური პროექტორების, სანთლების და ტკაცუნების გამოყენება, ფიერვერკების მოწყობა და ხანძრის გამომწვევი სხვა ხანძარსაშიმი სპეცეფექტების მოწყობა;
- გ) ცელულოიდის სათამაშოებით, აგრეთვე ცეცხლდამცავი შედგენილობებით გაუქვინთავი ზამბითა და მარლით ნაძვის ხის მორთვა;
- დ) საბავშვო კოსტუმებისათვის ადვილად წვადი მასალების გამოყენება;
- ე) ცეცხლთან დაკავშირებული, სამღებრო და სხვა აფეთქებახანძარ- და ხანძარსაშიმი სამუშაოების ჩატარება;
- ვ) ფანჯრებზე დარაბების გამოყენება სათავსის დასაბნელებლად;
- ზ) რიგებს შორის გასასვლელების სიგანის შემცირება და გასასვლელებში სავარძლების, სკამების და ა.შ. დამატება;
- თ) სპექტაკლებისა და სანახაობების დროს სათავსებში შუქის მთლიანად ჩაქრობა;
- ი) სათავსებში ადამიანების ნორმით დადგენილზე მეტი ოდენობით შეშვება.

29. ღონისძიებების ჩატარებისას სცენაზე და დარბაზებში უნდა იყოს ორგანიზებული მოხალისე მეხანძრეთა მორიგეობა.

მუხლი 4. საევაკუაციო გზები

1. საევაკუაციო გზების და გასასვლელების ექსპლუატაციისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საპროექტო გადაწყვეტების და სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვა, აგრეთვე ამ გზებზე სახანძრო უსაფრთხოების ნიშნების არსებობა.

2. საევაკუაციო გზებზე გამავალი ყველა კარი უნდა იღებოდეს თავისუფლად შენობიდან გასვლის მიმართულებით, გარდა კარებისა, რომელთა გაღება არ არის ნორმირებული სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებით. საევაკუაციო გასასვლების კარებზე არსებული საკეტები თავისუფლად უნდა იღებოდეს შიგნიდან, გასაღების გარეშე, შენობაში მყოფი ადამიანების მიერ.

3. საევაკუაციო გზების და გასასვლელების ექსპლუატაციისას აკრძალულია:

- ა) საევაკუაციო გზების და გასასვლელების (დერეფნების, ტამბურების, გალერეების, ლიფტის ჰოლების, კიბის ბაქნების, კიბის საფეხურების, კარებისა და საევაკუაციო ლიუკების) სხვადასხვა მასალით, ნაკეთობებით, მოწყობილობებით, საწარმოო ნარჩენებით, ნაგვით და სხვა საგნებით ჩახერგვა, აგრეთვე საევაკუაციო გასასვლელის კარების აკეცვა;



ბ) გასასვლელების ტამბურებში (გარდა ბინებისა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა) ტანსაცმლის საკიდების, ნებისმიერი კონსტრუქციის საშრობებისა და გარდერობების მოწყობა, ყოველგვარი ინვენტარისა და მასალის შენახვა;

გ) საევაკუაციო გზებზე ზღურბლების (გარდა კარების ღიობების ზღურბლებისა), ტურნიკეტების, გასაწევი, ასაწევი და მბრუნავი კარების და ადამიანთა თავისუფალი ევაკუაციის სხვა დამაბრკოლებლების მოწყობა;

დ) საევაკუაციო გზებზე კედლებისა და ჭერის, აგრეთვე კიბის საფეხურებისა და ბაქნების გასაწეობად, მოსაპირკეთებლად და შესაღებად წვადი მასალების გამოყენება (გარდა ცეცხლმედეგობის V ხარისხის შენობებისა);

ე) კიბის უჯრედების, დერეფნების, ჰოლებისა და ტამბურების თვითმამკეტი კარების ღია მდგომარეობაში ფიქსირება (თუ ამ მიზნისთვის არ გამოიყენება ხანძრის შემთხვევაში ავტომატური ამოქმედების მოწყობილობა), აგრეთვე მათი მოხსნა;

ვ) დაუკვალიანებელ კიბის უჯრედებში საპაერო ზონის შემინვა ან ჟალუზების დაკეტვა;

ზ) კარების და ფრამუგების შემინვისას არმირებული მინის ჩვეულებრივით შეცვლა.

4. სათავსებში ტექნოლოგიური, საგამოფენო და სხვა მოწყობილობების განლაგებისას (დაპროექტების ნორმების შესაბამისად) სათავსებში უნდა იყოს უზრუნველყოფილი კიბის უჯრედებისა და სხვა საევაკუაციო გზებისკენ მიმავალი საევაკუაციო გასასვლელით.

5. ადამიანთა მასობრივი თავშეყრის შენობებში, ელექტროენერჯის გამორთვის შემთხვევაში მომსახურე პერსონალს უნდა ჰქონდეს ელექტროფარნები, რომელთა რაოდენობა დგინდება ობიექტის თავისებურებების, მორიგე პერსონალის, შენობაში მყოფი ადამიანების რაოდენობის გათვალისწინებით, მაგრამ არანაკლებ ერთის თითოეულ მორიგე პერსონალზე.

6. ადამიანთა მასობრივი თავშეყრის სათავსებში ხალიჩები და იატაკის სხვა საფენები საიმედოდ უნდა იყოს დამაგრებული იატაკზე.

მუხლი 5. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ელექტროდანადგარებისათვის

1. ელექტროქსელის, ელექტროდანადგარებისა და ელექტროტექნიკური ნაკეთობების დაპროექტება, მონტაჟი და ექსპლუატაცია, აგრეთვე მათ ტექნიკურ მდგომარეობაზე კონტროლი უნდა განხორციელდეს შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების თანახმად.

2. სათავსებში, რომლებშიც სამუშაოს დამთავრების შემდეგ არ იმყოფებიან ადამიანები, ელექტროდანადგარები და საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოები უნდა იყოს გაუდენურებული (მორიგე განათების, ხანძრის ჩაქრობის და ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების დანადგარების, აგრეთვე სახანძრო და სახანძრო-დამცავი სიგნალიზაციის გარდა). სხვა ელექტროდანადგარები და ელექტროტექნიკური ნაკეთობები (მათ შორის საცხოვრებელ სათავსებში) შეიძლება იმყოფებოდნენ ძაბვის ქვეშ, თუ ეს განპირობებულია მათი ფუნქციონალური დანიშნულებით და/ან გათვალისწინებულია ექსპლუატაციის შესახებ ინსტრუქციის მოთხოვნებით.

3. დაუშვებელია ელექტროგადამცემი საპაერო ხაზების (მათ შორის, დროებითის და კაბელით გაყვანილის) წვადი სახურავების, ფარდულების და წვადი ნივთიერებების, მასალების და ნაკეთობების (შტაბელების, ზვინების) ღია საწყობების ზემოდან გადატარება და ექსპლუატაცია.

4. ელექტროდანადგარების ექსპლუატაციის დროს აკრძალულია:

ა) ელექტრომიმდებების ისეთ პირობებში გამოყენება, რომლებიც არ შეესაბამება დამამზადებელი საწარმოების რეკომენდაციებს (ინსტრუქციებს), ან აქვთ გაუმართაობები, რომლებმაც ექსპლუატაციის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად შეიძლება გამოიწვიონ ხანძარი; აგრეთვე დაზიანებული ან იზოლაციის დამცავი თვისებებდაკარგული სადენებისა და კაბელების ექსპლუატაცია;

ბ) დაზიანებული როზეტების, გამითივებლების და სხვა ელექტროსაწარმის გამოყენება;

გ) ელექტროლამპებზე და სანათებზე ქაღალდის, ქსოვილის და სხვა წვადი მასალის შემოხვევა, აგრეთვე მათი ექსპლუატაცია მოხსნილი ხუფებით; ელექტროთოების, ელექტროდუმელების, ელექტროჩაინდნების და სხვა ელექტროგამახურებელი ხელსაწყოების გამოყენება უწყვი თბომიზოლირებული მასალისგან (რომლებიც გამორიცხავენ ხანძრის გაჩენის საშიშროებას) დაშვადებული ქვესადგამების გარეშე;

დ) არასტანდარტული (თვითნაკეთი) ელექტროგამახურებელი ხელსაწყოების გამოყენება, გადატვირთვებისგან და მოკლე ჩართვებისგან დამცავი არაკაბლირებული დნობადი ჩასადგმელების ან სხვა თვითნაკეთი აპარატების ხმარება;

ე) ელექტროფარნებთან, ელექტროძრავებთან და გამშვებ აპარატურასთან წვადი (მათ შორის, ადვილადღებადი) მასალებისა და ნივთიერების დაწყობა.

5. საევაკუაციო გზებზე მოწყობილი სახანძრო უსაფრთხოების მოცულობითი თვითმანათობელი მაჩვენებლები, როგორც ავტონომიური კვებით, ასევე ელექტროქსელში ჩართული (მათ შორის, შუქმაჩვენებლები „საევაკუაციო (სათადარიგო) გასასვლელი“, „საევაკუაციო გასასვლელის კარები“), უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში და მუდმივად ჩართული. მაყურებელთა, სადემონსტრაციო, საგამოფენო და სხვა დარბაზებში მათი ჩართვა შეიძლება მხოლოდ ღონისძიებების ჩატარების დროს (ადამიანთა თავშეყრისას). მუშა განათების ელექტროკვების შეწყვეტისას საევაკუაციო განათება უნდა ირთებოდეს ავტომატურად.

6. სოფიტების მოწყობისას და ექსპლუატაციისას წვადი მასალების გამოყენება აკრძალულია. მანძილი პროექტორებიდან და სოფიტებიდან წვად კონსტრუქციებამდე და მასალებამდე უნდა იყოს არანაკლებ 0,5 მ, ხოლო ლინზური პროექტორებიდან – არანაკლებ 2 მ. პროექტორების და სოფიტების შუქის ფილტრები უნდა იყოს უწყვი მასალების.

7. ელექტროგამაცხელებელი მოწყობილობების ექსპლუატაცია კონსტრუქციით გათვალისწინებული თერმორეგულატორების გარეშე ან მათი დაზიანების შემთხვევაში აკრძალულია.

8. შენობა-ნაგებობებში ელექტროკაბელებისა და მავთულების (პირველად გაყვანის ან არსებული შეცვლის დროს) ხანძარსაწინააღმდეგო ზღუდებთან გადაკვეთის ადგილებში არსებული ღრეჩოები უნდა ამოივსოს ცეცხლმედეგი მასალით, ელექტროქსელის ჩართვამდე.

მუხლი 6. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები გათბობის და ვენტილაციის სისტემებისათვის

1. გათბობის სეზონის დაწყებამდე ღუმელები, საქვაბები, თბოგენერატორები და კალორიფერული დანადგარები, გათბობის სხვა ხელსაწყოები და სისტემები უნდა იყოს შემოწმებული და შეკეთებული. გაუმართავი ღუმელების და გათბობის სხვა ხელსაწყოების ექსპლუატაცია დაუშვებელია.

2. ღუმელებსა და გათბობის სხვა ხელსაწყოებს უნდა ჰქონდეთ წვადი კონსტრუქციებიდან ნორმებით დადგენილი ხანძარსაწინააღმდეგო დაცილება, აგრეთვე ამოუწყავი და დაუზიანებელი არანაკლებ 0.5X0.7მ ზომის საცეცხლესწინა ფურცელი (ხის ან სხვა წვადი მასალის იატაკზე).

3. კვამლსადენების და ღუმელების გასუფთავება ჰვარტლისგან აუცილებელია გათბობის სეზონის დაწყებამდე, აგრეთვე მთელი სეზონის განმავლობაში არანაკლებ შემდეგი სიხშირით:

ა) გათბობის ღუმელები – სამ თვეში ერთხელ;

ბ) უწყვეტი მოქმედების ღუმელები და კერები – ორ თვეში ერთხელ;



გ) სამზარეულოს ქურები და სხვა უწყვეტი (ხანგრძლივი) გათბობის ღუმელები – თვეში ერთხელ.

4. სათბობსადენზე, საქვების და თბოგენერატორის დანადგარების ყოველ მფრქვევანასთან უნდა იყოს დაყენებული არანაკლებ ორი ვენტილი: ერთი – საცეცხლსთან, მეორე – საწვავის ავზთან.

5. ობიექტების და დასახლებული პუნქტების საქვაბეებისა და სხვა თბომწარმოებელი დანადგარების ექსპლუატაციისას დაუშვებელია:

ა) სამუშაოდ იმ პირთა დაშვება, რომლებსაც არა აქვთ გავლილი სპეციალური სწავლება და მიღებული შესაბამისი საკვალიფიკაციო მოწმობები;

ბ) საქვებისა და თბოგენერატორების სათავსებში თხევადი საწვავის შენახვა;

გ) სათბობად ნავთობპროდუქტების ნარჩენებისა და სხვა ადვილალეზადი და წვადი სითხეების გამოყენება, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მოწყობილობის ექსპლუატაციის ტექნიკური პირობებით;

დ) თბომწარმოებელი დანადგარების ექსპლუატაცია საწვავიმწოდებელი სისტემიდან თხევადი საწვავის გაჟონვის (აირის გაპარვის) შემთხვევაში;

ე) საწვავის მიწოდება მფრქვევანების ან აირის სანთურის ჩაქრობისას;

ვ) დანადგარების ანთება მათი წინასწარი განიავების (გაქრევის) გარეშე;

ზ) მუშაობა ქარხანა-დამამზადებლის მიერ გათვალისწინებული საკონტროლო და მარეგულირებელი ხელსაწყოების გაუმართაობისას ან გამორთვისას;

თ) საქვაბეებზე და ორთქლსადენებზე რაიმე წვადი მასალების გაშრობა.

6. ღუმელით გათბობისას აკრძალულია:

ა) ანთებული ღუმელების უმეტესაწილად დატოვება, აგრეთვე მათზე მეთვალყურეობის დავლება მცირეწლოვან ბავშვებზე;

ბ) საწვავის, სხვა წვადი ნივთიერებების და მასალების საცეცხლსწინა ფურცელზე დაწობა;

გ) ღუმელების დასანთებად ბენზინის, ნავთის, დიზელის საწვავისა და სხვა ადვილალეზადი და წვადი სითხეების გამოყენება;

დ) ნახშირით, კოქსით და აირით ისეთი ღუმელების დანთება, რომლებიც ამ სახის საწვავებისთვის არ არის განკუთვნილი;

ე) სათავსებში მასობრივი ღონისძიებების ჩატარების დროს ღუმელების დანთება;

ვ) სავენტილაციო და აირის არხების კვამლსადენებად გამოყენება, ღუმელების გადახურება.

7. შენობა-ნაგებობებში (გარდა საცხოვრებელი სახლებისა) ღუმელების დანთება უნდა შეწყდეს სამუშაოს დამთავრებამდე არანაკლებ ორი საათით ადრე, სავადმყოფოებსა და დღეღამის განმავლობაში მომუშავე სხვა ობიექტებზე – ძილის წინ ორი საათით ადრე, ხოლო საბავშვო დაწესებულებებში – ბავშვების მოსვლამდე ერთი საათით ადრე.

8. საცეცხლეებიდან გამონახვეტ ნაცარს და წიდას უნდა დაესხას წყალი და გატანილ იქნეს მათთვის სპეციალურად გამოყოფილ უსაფრთხო ადგილზე.

9. დაუშვებელია ლითონის ღუმელების დადგმა, რომლებიც არ პასუხობენ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

10. საერთო საცხოვრებლების სათავსებში, ადმინისტრაციულ, საზოგადოებრივ და დამხმარე შენობებში, აგრეთვე საცხოვრებელ სახლებში ლითონის დროებითი და ქარხნული წესით დამზადებული სხვა ღუმელების დადგმისას უნდა იყოს შესრულებული ამ სახის პროდუქციის დამამზადებელი საწარმოების მითითებები (ინსტრუქციები), აგრეთვე გათბობის სისტემების დაპროექტების ნორმების მოთხოვნები.

11. მანძილი ღუმელებიდან პროდუქციამდე, სტელაჟებამდე, ვიტრინებამდე, დახლებამდე, კარადებამდე და სხვა მოწყობილობამდე უნდა იყოს არანაკლებ 0,7 მ, ხოლო საცეცხლე ღობეებიდან – არანაკლებ 1,25 მ.

12. სხვენებში ყველა საკვამლე მილი და კედელი, რომლებშიც გადის საკვამლე არხები, უნდა იყოს შეეთერებული.

13. მყარ საწვავზე მომუშავე საქვაბე დანადგარების საკვამლე მილები უნდა იყოს მოწყობილი ნაპერწკალსაქრობებით და იწმინდებოდეს ჭკვარტლისგან ამ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად. სავაჭრო დაწესებულებების შენობებში ჩაშენებული საქვაბეების გადაყვანა მყარი სათბობიდან თხევადზე დაუშვებელია.

14. ჰაერსადენებში ცეცხლდამჭერი მოწყობილობები (საფარები, შიბერები, სარქველები და სხვა), ხანძრის ჩაქრობის ავტომატური დანადგარებიანი ან სახანძრო სიგნალიზაციის მქონე სავენტილაციო სისტემის ბლოკირების მოწყობილობები, ხანძრის შემთხვევაში ვენტილაციის ავტომატური გამორთვის მოწყობილობები უნდა შემოწმდეს დადგენილ ვადებში და იყოს გამართულ მდგომარეობაში.

15. ჰაერის ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემების ექსპლუატაციისას აკრძალულია:

ა) სავენტილაციო კამერების კარების ღია დატოვება;

ბ) გამწოვი არხების, ხვრელების და გისოსების დაკეტვა;

გ) აირსათბობი ხელსაწყოების ჰაერსადენებთან შეერთება;

დ) ჰაერსადენებში დაგროვილი ცხიმოვანი დანალექების, მტვერისა და სხვა წვადი ნივთიერების ამოწვა.

16. სავენტილაციო კამერები, ციკლონები, ფილტრები, ჰაერსადენები უნდა გასუფთავდეს წვადი მტვერისგან და საწარმოო ნარჩენებისგან დადგენილ ვადებში. აფეთქებახანძარ- და ხანძარსაშიში სათავსებისთვის უნდა შემუშავდეს სავენტილაციო სისტემების გაწმენდის წესის უსაფრთხო ხერხები.

17. აფეთქებახანძარსაშიში სათავსებში (დანადგარებში) ტექნოლოგიური მოწყობილობების მუშაობა ჰიდროფილტრების, მშრალი ფილტრების, მტვერდამჭერების და ვენტილაციის (ასპირაციის) სისტემების სხვა დანადგარების გაუმართაობის და გამორთვის შემთხვევაში დაუშვებელია.

18. წვადი მტვერის მომშორებელ ვენტილატორებში ბოჭკოსა და სხვა ნარჩენების მოხვედრის თავიდან ასაცილებლად ვენტილატორების წინ დაყენებული უნდა იქნეს ქვადამჭერები, ხოლო ლითონის საგნების ამოსადებად – მაგნიტური დამჭერები.

19. პნევმატური ტრანსპორტის მილსადენებზე და ადგილობრივი გაწოვის სისტემების ჰაერსადენებზე პერიოდული დათვალისწინებისათვის, სისტემების გასაწმენდად და ხანძრის შემთხვევაში მის ჩასაქრობად უნდა იყოს გათვალისწინებული დასათვალისწინებელი ფანჯრები. ეს ფანჯრები უნდა განლაგდეს ერთმანეთისგან არა უმეტეს 15 მ დაშორებით, აგრეთვე სამკაპებთან, მოსახვევებში, მილსადენების კედლებთან და გადახურვებთან კვეთის ადგილებში.

20. ტექნოლოგიური დანადგარებიდან გამოდევნილი წვადი ნარჩენებით დაბინძურებული ჰაერის გამწმენდი ფილტრები უნდა განთავსდეს იზოლირებულ სათავსებში, ხოლო ციკლონები – შენობებს გარეთ.



მუხლი 7. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები სხვადასხვა სახის საინჟინრო დანადგარებისათვის

1. აკრძალულია დაზიანებული გაზის ხელსაწყოების გამოყენება, აგრეთვე ავეჯის, სხვა წვადი საგნების და მასალების განლაგება გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებიდან ჰორიზონტალურად – 0,2 მ და ვერტიკალურად – 0,7 მ ნაკლებ მანძილზე (თუ ეს საგნები და მასალები საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების თავზეა ჩამოკიდებული).

2. მშენებლობის, კაპიტალური რემონტის, რეკონსტრუქციის და (ან) ტექნიკური გადაიარაღების დასრულების შემდეგ ექსპლუატაციაში მისაღებ ობიექტებზე საყოფაცხოვრებო და საწარმოო ხელსაწყოებთან გაზის მიმწოდებელი მილსადენები უნდა იყოს მოწყობილი თერმომგრძობიარე ჩამკეტებით (სარქველებით), რომლებსაც აქვთ გაზის მაგისტრალის ავტომატური გადაკეტვის უნარი ხანძრის დროს სათავსში ტემპერატურის 100°C-მდე მიღწევასა. აღნიშნული ჩამკეტები (სარქველებით) უნდა მოეწყოს სათავსში, უშუალოდ გაზის მაგისტრალის ონკანის წინ.

3. თერმომგრძობიარე ჩამკეტების (სარქველებით) მოწყობა არ არის გათვალისწინებული V ხარისხის ცეცხლმდეგობის შენობებში, აგრეთვე შენობებში, რომლის გახსადენების ელექტრომაგნიტური სარქველი შენობის გარეთაა და გაზის ანალიზატორისა და სახანძრო სიგნალიზაციის ამოქმედებისას კეტავს გახსადენს. თერმომგრძობიარე ჩამკეტების (სარქველებით) მოწყობა არ არის გათვალისწინებული საშიში საწარმოო ობიექტების შენობებშიც, რომელთა გახსადენებზეც მოწყობილია ელექტრომაგნიტური სარქველი, ხოლო სათავსები, სადაც განთავსებულია გაზის ხელსაწყოები, დაცულია ხანძრის ჩაქრობის ავტომატური დანადგარებით.

4. ჰიდრავლიკური სარქველები (სიფონები), რომლებიც გამორიცხავენ ცეცხლის გავრცელებას იმ შენობა-ნაგებობების სანიაღვრე და საწარმოო კანალიზაციის მილსადენებში, სადაც გამოიყენება ადვილალეზაბადი და წვადი სითხეები, მუდმივად უნდა იმყოფებოდნენ გამართულ მდგომარეობაში. ადვილალეზაბადი და წვადი სითხეების ჩაღვრა საკანალიზაციო ქსელში (მათ შორის, ავარიის დროს) აკრძალულია.

5. ნავისა და თეთრეულის სატარებს უნდა ჰქონდეს პროექტით გათვალისწინებული სარქველები, რომლებიც უნდა იყოს მუდმივად მჭიდროდ დაკეტილი და გამართული.

6. ნაგავსატარების საკნების კარები უნდა იყოს მუდმივად ჩაკეტილი.

მუხლი 8. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების ქსელებისათვის

1. ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენის ქსელი უნდა იყოს გამართული და უზრუნველყოფდეს ხანძრის ჩაქრობისათვის წყლის ნორმით საჭირო ხარჯს, მათი მუშაუნარიანობის შემოწმება უნდა ჩატარდეს წელიწადში არანაკლებ ორჯერ (გაზაფხულზე და შემოდგომაზე).

2. სახანძრო ჰიდრანტები უნდა იყოს გამართული, ხოლო ზამთრის პერიოდში უნდა იყოს დათბუნებული და იწმინდებოდეს თოვლისა და ყინულისაგან. სახანძრო ჰიდრანტების ჭების სახურავებზე ავტოტრანსპორტის გაჩერება აკრძალულია. ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების წყაროებთან გზები და მისასვლელები უნდა უზრუნველყოფდეს მათთან სახანძრო ტექნიკის მისვლას წელიწადის ნებისმიერ დროს.

3. წყალსადენის ქსელის უბნების და ჰიდრანტების გამორთვის ან ქსელში წნევის ვარდნის შესახებ ინფორმაცია აუცილებლად უნდა გადაეცეს სახანძრო დაცვის შესაბამის სამსახურებს.

4. სახანძრო ტუმბოების ელექტროძრავები უნდა იყოს უზრუნველყოფილი შეუფერხებელი კვებით.

5. ჰიდრანტებთან და წყალსატევებთან (წყლის წყაროებთან), აგრეთვე მათთან მისასვლელ გზებზე უნდა იყოს დაყენებული შესაბამისი მაჩვენებლები (მოცულობითი შუქსიგნალიანი ან ბრტყელი, დამზადებული შუქამრეკლი საფარების გამოყენებით). მათზე გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული წყლის წყარომდე მანძილის მაჩვენებელი ციფრები.

6. შიგა ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენის სახანძრო ონკანები უნდა იყოს დაკომპლექტებული სახელოებით და ლულებით. სახანძრო სახელო უნდა იყოს შეერთებული ონკანზე და ლულაზე. არანაკლებ წელიწადში ერთხელ აუცილებელია სახელოების ხელახალი გადახვევა.

7. სატუმბო სადგურების სათავსებში უნდა იყოს გამოკრული ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების საერთო და ტუმბოების შემოკვრის სქემები. ყოველ საკვალთეზე და წნევის ამწეე სახანძრო ტუმბოზე უნდა იყოს ნაჩვენები მათი დანიშნულება. წნევის ამწეე სახანძრო ტუმბოების ჩართვის წესი უნდა განისაზღვროს ინსტრუქციით.

8. დასახლებული პუნქტების ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სატუმბო სადგურების სათავსებს უნდა ჰქონდეთ პირდაპირი სატელეფონო კავშირი სახანძრო დაცვის სამსახურებთან.

9. წყალსაზომი მოწყობილობების შემოვლით ხაზებზე დაყენებული ელექტროამრავებიანი საკვალთეები უნდა შემოწმდეს მუშაუნარიანობაზე არანაკლებ წელიწადში ორჯერ, ხოლო სახანძრო ტუმბოები – ყოველთვიურად. აღნიშნული მოწყობილობები მუდმივად უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში.

10. ობიექტის ტერიტორიაზე ან მის ახლოს (200 მ რადიუსში) ბუნებრივი ან ხელოვნური წყლის წყაროების არსებობისას (მდინარეები, ტბები, აუზები, შხეფსაცვივრები და სხვა) უნდა მოეწყოს მათთან მისასვლელები არანაკლებ 12x12მ ზომის მყარსაფარიანი მოედნებით (პირსებით), სახანძრო ავტომობილების დასაყენებლად და წლის ნებისმიერ დროს წყლის ასაღებად.

11. ხელოვნური წყალსატევების, წყლის წყაროებთან მისასვლელების და წყლის ამოსაქაჩი მოწყობილობების მუდმივი მზადყოფნის შენარჩუნება ეკისრება შესაბამის სამსახურებს (დასახლებულ პუნქტებში – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს).

12. წყალსადაწნეო კომპლექსები უნდა იყოს მოწყობილი ისე, რომ შესაძლებელი იქნეს სახანძრო ტექნიკით წყლის აღება წლის ნებისმიერ დროს. ხანძრის ჩაქრობისათვის განკუთვნილი წყლის მარაგის გამოყენება სამეურნეო და საწარმოო მიზნებისთვის დაუშვებელია.

მუხლი 9. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები სახანძრო სიგნალიზაციისათვის

1. სახანძრო სიგნალიზაციისა და ხანძრის ჩაქრობის ავტომატური დანადგარების, კვამლსაწინააღმდეგო დაცვის, ხანძრის შემთხვევაში მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემების ტექნიკური მომსახურება და გეგმურ-გამაფრთხილებელი რემონტი უნდა განხორციელდეს წლიური გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, რომელიც შედგენილია ქარხანა-დამამზადებლის ტექნიკური დოკუმენტაციისა და სარემონტო სამუშაოების ჩატარების ვადების გათვალისწინებით. ტექნიკური მომსახურება და გეგმიურ-გამაფრთხილებელი რემონტი უნდა შესრულდეს სპეციალურად მომზადებული მომსახურე პერსონალის ან სპეციალიზებული ორგანიზაციის მიერ.

2. ტექნიკური მომსახურების ან სარემონტო სამუშაოების შესრულების პერიოდში, რომელიც დაკავშირებულია დანადგარების (გალკული ხაზების, მაუწყებლების) გამორთვისთან, ობიექტის ხელმძღვანელმა უნდა მიიღოს საჭირო ზომები შენობა-ნაგებობების, სათავსების, ტექნოლოგიური მოწყობილობების ხანძრისაგან დასაცავად.

3. სადისპეტჩერო პუნქტის სათავსში (სახანძრო საგუმავოში) უნდა იყოს გამოკრული ინსტრუქცია ხანძრის შესახებ სიგნალის და სახანძრო ავტომატიკის დანადგარების (სისტემების) გაუმართაობისას ოპერატიული (მორიგე) პერსონალის მოქმედების წესის შესახებ. სადისპეტჩერო პუნქტი (სახანძრო საგუმავო) უნდა იყოს უზრუნველყოფილი სატელეფონო კავშირით და გამართულ ელექტროფარები (არანაკლებ 3 ვალი).



4. სახანძრო ავტომატიკის დანადგარები უნდა იყოს გამართული, მუდმივ მზადყოფნაში და შესაბამებოდეს დაპროექტების დოკუმენტაციას. დაუშვებელია დანადგარის გადაყვანა ავტომატურიდან ხელით გაშვებაზე, გარდა ნორმებით და წესებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. ხანძრის ჩაქრობის დანადგარების ბალონები და ავზები, რომლებშიც ცეცხლმაქრი ნივთიერების მასა და წნევა საანგარიშო მნიშვნელობაზე 10%-ით ნაკლებია, ექვემდებარება კმამუხტვას ან გადამუხტვას.

6. სპრინკლერული (დრენჩერული) დანადგარების სარწყავების ის ადგილები, სადაც არის მექანიკური დაზიანების საშიშროება, უნდა იყოს დაცული საიმედო გადამლობით, რომელიც არ მოქმედებს სითბოს გავრცელებაზე და არ ცვლის მორწყვის რუკას. გახსნილი და გაუმართავი სარწყავების ნაცვლად საცობების და სახშობების დაყენება დაუშვებელია.

7. ხანძრის ჩაქრობის საგულშაფო უნდა იყოს უზრუნველყოფილი შემოკვრის სქემით და ხანძრის შემთხვევაში დანადგარის მართვის ინსტრუქციით. თითოეულ მართვის კვანძთან უნდა იყოს გამოკრული დასაცავი სათავსების, დანადგარის სექციაში სარწყავების ტიპის და რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. საკვალთები და ონკანები უნდა იყოს დანომრილი შემოკვრის სქემის შესაბამისად.

8. ხანძრის შესახებ მაუწყებლობის სისტემებმა უნდა უზრუნველყონ საევაკუაციო გეგმების შესაბამისად შეტყობინების სიგნალების გადაცემა ერთდროულად მთელ შენობაში (ნაგებობაზე) ან შერჩევით მათ ცალკეულ ნაწილებში (სართულები, სექციები და სხვა). სამკურნალო და საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში, აგრეთვე სკოლა-ინტერნატების საძინებელ კორპუსებში სიგნალი ეუწყებათ მხოლოდ მომსახურე პერსონალს.

9. მაუწყებლობის სისტემების გამოყენების წესი უნდა იყოს განსაზღვრული მათი ექსპლუატაციის ინსტრუქციებში და საევაკუაციო გეგმებში, სადაც აღნიშნულია სისტემების მოქმედებაში მოყვანაზე უფლებამოსილი პირები.

10. შენობებში, სადაც არ არის ხანძრის შესახებ მაუწყებლობის ტექნიკური საშუალებები, ობიექტის ხელმძღვანელმა უნდა დაადგინოს ხანძრის შესახებ მაუწყებლობის წესი და დანიშნოს პასუხისმგებელი პირები.

11. მაუწყებლებს (ხმამალამოლაპარაკებს) არ უნდა ჰქონდეს ხმის რეგულატორი და შეერთებული უნდა იყოს ქსელთან გასართი მოწყობილობის გარეშე.

12. მაუწყებლობის ტექსტების გადაცემისა და ევაკუაციის მართვის მიზნით დასაშვებია შიგა რადიოსატრანსლიაციო ქსელისა და ობიექტზე არსებული სხვა სამაუწყებლო ქსელების გამოყენება.

მუხლი 10. სახანძრო ტექნიკისა და ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების მოვლა-პატრონობა

1. სახანძრო ავტომობილები უნდა განთავსდეს სახანძრო დეპოებში ან სპეციალურად ამ მიზნისთვის განკუთვნილ ბოქსებში, სადაც არის გათვალისწინებული ელექტრომომარაგება, სატელეფონო კავშირი, მყარსაფარიანი იატაკები, დათბუნებული კარები და მუშაობისთვის ნორმალური და უსაფრთხო პირობების უზრუნველსაყოფად საჭირო სხვა დანადგარები და მოწყობილობები. დაუშვებელია სახანძრო ავტომობილებიდან სახანძრო-ტექნიკური შეიარაღების მოხსნა და სახანძრო ტექნიკის გამოყენება არადანიშნულებისამებრ.

2. სახანძრო ტექნიკა უნდა იყოს დაკომპლექტებული სახანძრო-ტექნიკური შეიარაღებით, შევსებული საწვავით, ცეცხლმაქრი ნივთიერებებით და იმყოფებოდეს გამართულ მდგომარეობაში. ხანძრის ჩაქრობაში სახანძრო ტექნიკის მონაწილეობა განისაზღვრება ხანძარზე გასვლის განრიგით და ხანძრის ჩაქრობაში ძალებისა და საშუალებების ჩაბმის გეგმით, რომლებსაც ამტკიცებენ ადგილობრივი თვითმართველობისა და მმართველობის ორგანოები.

3. თითოეულ სახანძრო მოტოპომპაზე, ხანძრის ჩაქრობისათვის გამოყენებულ (გადაკეთებულ) ტექნიკაზე უნდა იყოს მიმაგრებული მძლარი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება. ობიექტებზე შემუშავებული უნდა იყოს ხანძრის კერამდე სახანძრო მოტოპომპის მიტანის წესი.

4. სათავსები და შენობა-ნაგებობები უნდა იყოს უზრუნველყოფილი ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით დანართი 3-ის თანახმად. ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები უნდა ინახებოდეს მათი საპასპორტო მონაცემების შესაბამისად და დანართ 3-ში მოყვანილი დებულებების გათვალისწინებით.

მუხლი 11. ხანძრის შემთხვევაში მოქმედების წესი

1. თითოეული მოქალაქე ხანძრის ან წვის ნიშნების (დაკვამლიანების, დამწვრის სუნის, ტემპერატურის აწევის და ა.შ.) აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია:

- ა) დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ სახანძრო დაცვის დანაყოფს (ამასთან, აუცილებელია დაასახელოს ობიექტის მისამართი, ხანძრის გაჩენის ადგილი, აგრეთვე შეატყობინოს თავისი გვარი, სახელი);
- ბ) შეძლებისდაგვარად მონაწილეობა მიიღოს ადამიანთა ევაკუაციაში, მატერიალურ ფასეულობათა გადარჩენასა და ხანძრის ჩაქრობაში.
- 2. ხანძრის ადგილზე მისული ქონების მფლობელობაზე, სარგებლობასა ან განკარგვაზე უფლებამოსილი და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე დადგენილი წესით დანიშნული პასუხისმგებელი პირები, აგრეთვე ობიექტების ხელმძღვანელები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან:
 - ა) შეატყობინონ ხანძრის გაჩენის შესახებ სახანძრო დაცვას, აგრეთვე ობიექტის ხელმძღვანელობასა და მორიგე სამსახურებს;
 - ბ) არსებული ძალებისა და საშუალებების გამოყენებით დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ადამიანთა გადასარჩენად;
 - გ) შეამოწმონ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ავტომატური სისტემის (ხანძრის შესახებ მაუწყებლობის, ხანძრის ჩაქრობის, კვამლსაწინააღმდეგო დაცვის) მუშაუნარიანობა;
 - დ) საჭიროების შემთხვევაში გამორთონ ელექტროენერგია (გარდა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისა), შეაჩერონ გადასატანი მოწყობილობების, აგრეგატების, აპარატების მუშაობა, გადაკეტონ ნედლეულის, გაზის, ორთქლის და წყლის კომუნიკაციები, შეაჩერონ ავარიულ და მასთან მომიჯნავე სათავსებში სავენტილაციო სისტემების მუშაობა, შეასრულონ სხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს შენობის სათავსებში ხანძრის გავრცელებისა და დაკვამლიანების თავიდან აცილებას;
 - ე) შეწყვიტონ შენობაში ყველა სამუშაო (თუ ეს წარმოების ტექნოლოგიური პროცესით დასაშვებია), გარდა სამუშაოებისა, რომლებიც დაკავშირებულია ხანძრის ლიკვიდაციასთან;
 - ვ) გაიყვანონ სამიში ზონის ფაეგლებს გარეთ ყველა მუშაკი, რომელიც არ მონაწილეობს ხანძრის ჩაქრობაში;
 - ზ) სახანძრო დაცვის დანაყოფის მოსვლამდე განახორციელონ ხანძრის ჩაქრობის საერთო ხელმძღვანელობა (ობიექტის სპეციალისტების თავისებურებების გათვალისწინებით);
 - თ) უზრუნველყონ ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეთა მიერ უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დაცვა;
 - ი) ხანძრის ჩაქრობასთან ერთად ორგანიზება გაუწიონ მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაცია და დაცვა;



კ) ორგანიზება გაუწიონ სახანძრო დაცვის დანაყოფების შეხვედრას და მათთვის დახმარების აღმოჩენას ხანძრის კერასთან მისასვლელი უმოკლესი გზების შერჩევამ;

ლ) პირადი შემადგენლობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიაწოდონ ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამშველო სამუშაოებში მონაწილე სახანძრო დაცვის დანაყოფებს ცნობები იმ საშიში (ფეთქებადსაშიში), ფეთქებადი, ძლიერმოქმედი მომწამლავი ნივთიერებების შესახებ, რომლებიც ინახება ან გადამამუშავდება ობიექტზე.

3. სახანძრო დაცვის დანაყოფის მისვლისთანავე ობიექტის ხელმძღვანელი (ან მისი შემცველი პირი) ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელს ობიექტის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური თავისებურებების, მომიჯნავე შენობებისა და ნაგებობების შესახებ, შენახული და გამოსაყენებელი ნივთიერებების, მასალების, ნაწარმის რაოდენობასა და ხანძარსაშიშ თვისებებზე და ხანძრის წარმატებით ლიკვიდაციისთვის საჭირო სხვა მონაცემებზე, აგრეთვე გაუწიოს ორგანიზება ობიექტის ძალებისა და საშუალებების ჩამოსა ხანძრის ჩაქრობასთან დაკავშირებული აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებაში.

თავი II

დასახლებული პუნქტები, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობები

მუხლი 12. დასახლებული პუნქტები. საერთო მოთხოვნები

1. ტყის მასივებში განაშენიანებული დასახლებული პუნქტებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უნდა იყოს შემუშავებული და შესრულებული ღონისძიებები, რომლებიც გამორიცხავენ ტყეში ხანძრის შემთხვევისას ცეცხლის შენობა-ნაგებობებზე გადასვლის შესაძლებლობას (დამცავი ხანძარსაწინააღმდეგო ზოლის მოწყობა, ფოთლოვანი ნარგავების დარგვა, ზაფხულის პერიოდში გამხმარი მცენარეების მოცილება და ა.შ.).

2. რეკომენდებულია ყოველ საცხოვრებელ ნაგებობასთან წყლის ავზის (კასრის) ან ცეცხლსაქრობის განთავსება.

3. სოფლის დასახლებული პუნქტების, ბლოკ-კონტინერული შენობების, სააგარაკო და მეზღობის დასახლებების ტერიტორიაზე უნდა იყოს ხანძრის მაუწყებლობის ხმოვანი სიგნალიზაცია და ჰქონდეთ ხანძრის ჩასაქრობი წყლის მარაგი, აგრეთვე უნდა იყოს განსაზღვრული სახანძრო დაცვის სამსახურების გამოძახების წესი.

4. საცხოვრებელი, საწარმოო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა შენობა-ნაგებობები უნდა აშენდეს ხანძარსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების მოთხოვნათა დაცვით.

5. ზაფხულის პერიოდში, მშრალი, ცხელი და ქარიანი ამინდის პირობებში ან შტორმის შესახებ გაფრთხილების მიღებისას სოფლის დასახლებულ პუნქტებში და ობიექტებზე, სააგარაკო დასახლებებში, მეზღობების ნაკვეთებზე აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით, დროებით შეიძლება აიკრძალოს კოცონების გაჩაღება, შეჩერდეს განსაზღვრულ მონაკვეთებში ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარება, ღუმელების, სამზარეულო კერების და იმ საქვავებ დანადგარების გახურება, რომლებიც მუშაობენ მყარ საწვავზე. ამ შემთხვევებში აუცილებელია მოსახლეობის და მოხალისე მეხანძრეების ძალებით დასახლებული პუნქტების პატრულირების ორგანიზება ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით, აგრეთვე წყლის მზიდი და მიწის სათხრელი ტექნიკის მომზადება შესაძლო გამოყენებისათვის, შესაბამისი ახსნა-განმარტებითი სამუშაოების ჩატარება სახანძრო უსაფრთხოების ზომების და ხანძრის შემთხვევაში მოქმედებების შესახებ.

6. დასახლებული პუნქტები და ცალკე განლაგებული ობიექტები უნდა იყოს უზრუნველყოფილი გამართული სატელეფონო ან რადიოკავშირით, სახანძრო დაცვის სამსახურებში ხანძრის შესახებ შეტყობინებისათვის. დაუშვებელია დასახლებული პუნქტების სატელეფონო ქსელში ხანძრის შესახებ შეტყობინების მისაღები ერთიანი ნომრის გადაყვანა ფასიან მომსახურებაზე.

მუხლი 13. საცხოვრებელი შენობები

1. საცხოვრებელი სახლების ბინებში, საერთო საცხოვრებლების ოთახებში, სასტუმროების ნომრებში აკრძალულია სხვადასხვა სახის სახელოსნოების და საწყობების მოწყობა, სადაც გამოიყენება და ინახება ფეთქებადსაშიში, აფეთქებადხანძარ- და ხანძარსაშიში ნივთიერებები და მასალები, აგრეთვე ამ ბინების, ოთახების, ნომრების ფუნქციონალური დანიშნულების შეცვლა, მათ შორის, იჯარით გადაცემისას, გარდა დაპროექტების ნორმებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებში, ბინებსა და საცხოვრებელ ოთახებში დასაშვებია არა უმეტეს 10 ლ ადვილაალებადი და წვადი სითხეების შენახვა (გამოყენება) დახურულ ტარაში. 3 ლ-ზე მეტი ოდენობის ადვილაალებადი და წვადი სითხეები უნდა ინახებოდეს უწვი და უმტვრევი მასალებისაგან დამზადებულ ტარაში.

3. დაუშვებელია წვადი გაზის ბალონების შენახვა ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებში, ბინებსა და საცხოვრებელ ოთახებში, აგრეთვე სამზარეულოებში, ევაკუაციის გზებზე, ცოკოლის სართულებში, სარდაფის და სხვენის სათავსებში, აივნებსა და ლოჯიებში.

4. გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყობებისათვის (სამზარეულოს ქურები, წყლის გამაცხელებელი საქვავები, გაზის გამაცხელებელი) განკუთვნილი გაზის ბალონები (მუშა და სათადარიგო), როგორც წესი, უნდა მოთავსდეს გარე კედლის ყრუ ნაწილის უწვ მინაშენებში (ყუთებში ან საჩხში, რომელიც ფარავს ბალონის თავს და რედუქტორს) შენობის, ცოკოლისა და სარდაფის შესასვლელებიდან არანაკლებ 5მ დაშორებით. გაზის ბალონებისათვის განკუთვნილი კარადები და მინაშენები უნდა იკეტებოდეს, ჰქონდეს ჟალუზები განიავებისათვის და გამაფრთხილებელი წარწერები „ცეცხლსაშიშია. გაზი.“

5. გაზბალონიანი დანადგარების (ორ ბალონზე მეტი) განლაგება და ექსპლუატაცია, აგრეთვე საცხოვრებელი შენობების შიგნით დანადგარების მოწყობა და ექსპლუატაცია უნდა გახორციელდეს გაზის მეურნეობაში უსაფრთხოების შესახებ მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა დაცვით. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების (მათ შორის, კოტეჯების, აგარაკების), აგრეთვე შენობა-ნაგებობების სათავსებში შესასვლელებთან, რომლებშიც გამოიყენება გაზის ბალონები, უნდა იყოს სახანძრო უსაფრთხოების გამაფრთხილებელი ნიშანი წარწერით „ცეცხლსაშიშია. ბალონები გაზით“.

6. წვადი აირის დანადგარების გამოყენებისას აკრძალულია:

- ა) გაზის ხელსაწყობის ექსპლუატაცია აირის გაჟონვისას;
- ბ) გაზის არმატურის მიერთება ნაპერწკალწარმოქმნელი ხელსაწყოს საშუალებით;
- გ) დია ცეცხლის წყაროთი (ასანთი, სანთებელა, სანთელი) შეერთებების ჰერმეტიკის გამოყენება;
- დ) საცხე გაზის ბალონების შეკეთება.

7. აგარაკების და მეზღობის სახლების ხანგრძლივი დროით დაკეტვის შემთხვევაში ელექტროქსელი უნდა იყოს გამორთული, ხოლო გაზის ბალონების სარქველები – მჭიდროდ დაკეტილი. ონლაინ კონსულტაცია (<https://chat.matsne.gov.ge/index.php/chat?locale=ka&style=matsne&name=>)



8. სასტუმროების, კემპინგების, მოტელების და საერთო საცხოვრებლების ნომრებში უნდა იყოს გამოკრული ხანძრის შემთხვევაში ევაკუაციის გეგმა.

9. სასტუმროში, ავტოპანსიონატში, მოტელში, კემპინგში, საერთო საცხოვრებელში შემოსული ყველა მოქალაქე უნდა გაეცნოს (ხელის მოწერით) სახანძრო უსაფრთხოების წესებს, სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ სამახსოვრო უნდა მომზადდეს რამოდენიმე ენაზე.

11. შენობების საცხოვრებელ სათავსებში (სასტუმროების, მოტელის, კემპინგების, საერთო საცხოვრებლების, სკოლა-ინტერნატების, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისა და მოხუცებულთა თავშესაფარი, ბავშვთა სახლები და სხვა შენობები, გარდა საცხოვრებელი სახლებისა) აკრძალულია ისეთი ელექტროგამაბურებელი მოწყობილობების (მადუღარების, ელექტროჩაიდნების, უთოების, ელექტროღუმელების) გამოყენება, რომლებსაც არ გააჩნია თბოდაცავი მოწყობილობა და უწყვი თბომამოხორციელებელი მასალის ქვესადგამი (ხანძრის გაჩენის საშიშროების გამომრიცხავი).

12. მე-11 პუნქტში მოყვანილი შენობების მომსახურე პერსონალი უნდა იყოს უზრუნველყოფილი სასუნთქი ორგანოების დამცავი, ფილტრაციის უნარის მქონე ინდივიდუალური საშუალებებით, რომლებიც უნდა ინახებოდეს მომსახურე პერსონალის სამუშაო ადგილზე. აღნიშნული შენობები (ხუთსართულიანი და მეტი) უნდა იყოს უზრუნველყოფილი ინდივიდუალური მამველი მოწყობილობებით (სამაშველო აღჭურვილობის კომპლექტით ან სამაშველო კიბით), ანგარიშით – შენობის სართულზე მყოფ ყოველ 30 ადამიანზე ერთი მოწყობილობა. ინდივიდუალური მამველი მოწყობილობები უნდა ინახებოდეს თითოეული ადამიანისათვის ადვილად მისაღებ და სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი ნიშნის მქონე ადგილზე. თითოეულ მოწყობილობას უნდა ჰქონდეს წარწერა იმ ორი უახლოესი სათავსის მინიშნებით, სადაც ინახება მოწყობილობების სამაგრი საშუალებები.

13. სოცურუნველყოფის დაწესებულებებში (სკოლები, რომლებიც ახორციელებენ პანსიონურ მომსახურებას, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისა და მოხუცებულთა თავშესაფარი, ობოლ და შშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება) უნდა იყოს ორგანიზებული მომსახურე პერსონალის სადღეღამისო მორიგეობა. მორიგე ვალდებულია თან იქონიოს საევაკუაციო გასასვლელი კარების ყველა გასაღების კომპლექტი, ხოლო მეორე კომპლექტი უნდა ინახებოდეს სამორიგეოში. თითოეულ გასაღებზე აღნიშნული უნდა იყოს შესაბამისი კარის ნომერი. დამის მორიგეებს უნდა ჰქონდეთ ხელის ელექტროფარნები და იმყოფებოდნენ სათავსებში, რომლებიც უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირით. დაუშვებელია დერეფნებში, ჰოლში და სხვა საევაკუაციო გზებზე საწოლების დადგმა.

მუხლი 14. სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებები

1. საცდელ (ექსპერიმენტულ) დანადგარებზე აფეთქებადხანძარ- და ხანძარსაშიში ნივთიერებების და მასალების გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ მათი ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ.

2. ექსპერიმენტული გამოკვლევების ხელმძღვანელმა (პასუხისმგებელმა შემსრულებელმა) გამოკვლევების ჩატარების დროს უნდა მიიღოს საჭირო ზომები სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

3. ადვილადლეზადი და წვადი სითხეების შენახვა ლაბორატორიებსა და სხვა სათავსებში დასაშვებია იმ რაოდენობით, რომელიც არ აღემატება ერთი სამუშაო დღის მოთხოვნებს. სითხეების შემოტანა უნდა განხორციელდეს დახურული უსაფრთხო ტარით.

4. დაუშვებელია გამწვავ კარადაში სამუშაოების ჩატარება, თუ მასში მოთავსებულია ნივთიერებები, მასალები და მოწყობილობები, რომლებიც არ მიეკუთვნება შესასრულებელ ოპერაციებს, აგრეთვე თუ კარადა გამოსულია მწყობრიდან და გამორთულია სავენტილაციო სისტემა. მაგიდის კონსტრუქციამ უნდა გამორიცხოს სითხის იატაკზე დაღვრა.

5. გამოყენებული ადვილადლეზადი და წვადი სითხეები სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ უნდა შეგროვდეს სპეციალურ დახურულ ტარაში და გატანილ იქნეს ლაბორატორიიდან, შემდგომი უტილიზაციისთვის. ადვილადლეზადი და წვადი სითხეების კანალიზაციაში ჩაღვრა დაუშვებელია.

6. ჭურჭელი, რომელშიც ჩატარდა სამუშაოები ადვილადლეზადი და წვადი სითხეების გამოყენებით, ცდების დამთავრების შემდეგ უნდა გაირეცხოს ხანძარუსაფრთხო ხსნარით.

7. სასწავლო წლის დაწყების წინ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, აგრეთვე სკოლისგარეშე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების შენობები უნდა შემოწმდეს დაწესებულების დირექციის მიერ ამ წესების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. დირექციის მიერ ამ მიზნით შექმნილ კომისიამ შეიძლება მოწვეულ იქნეს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ორგანოს წარმომადგენელი.

8. სასწავლო კლასებსა და კაბინეტებში სასკოლო ინვენტარის (მერხების, მაგიდების და ა.შ..) რიცხვმა არ უნდა გადააჭარბოს დაპროექტების ნორმებით დადგენილ რაოდენობას.

9. სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლებისათვის შესაბამისი ორგანიზაციების ადმინისტრაციების მიერ უნდა იყოს ორგანიზებული მეცადინეობები სახანძრო უსაფრთხოების წესების შესასწავლად.

10. მეცადინეობების დამთავრებისას კაბინეტებში, ლაბორატორიებსა და სახელოსნოებში ყველა აფეთქებადხანძარ- და ხანძარსაშიში ნივთიერება და მასალა უნდა იყოს გატანილი სპეციალურად მოწყობილ სათავსებში.

მუხლი 15. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საზაფხულო საბავშვო აგარაკების შენობები

1. საზაფხულო საბავშვო აგარაკების შენობებს უნდა ჰქონდეთ არანაკლებ ორი საევაკუაციო გასასვლელი უშუალოდ გარეთ.

2. საზაფხულო საბავშვო აგარაკების ხის შენობები უნდა იყოს ერთსართულიანი. კარკასული და პანელური შენობები უნდა იყოს გალესილი და ჰქონდეთ უწყვი სახურავი არაორგანული მათბუნებლით.

3. აკრძალულია:

- ა) შენობების გადახურვა ადვილადლეზადი მასალებით (თივით, ლელქაშით და ა.შ.);
- ბ) ბავშვების განთავსება ხის შენობების მანსარდებში, აგრეთვე იმ სართულზე, შენობებსა და სათავსებში, რომლებიც არ არის უზრუნველყოფილი ორი საევაკუაციო გასასვლელით;
- გ) სააგარაკო ხის შენობებში სამზარეულოს, სამრეცხაოს მოწყობა;
- დ) 50-ზე მეტი ბავშვის განთავსება ხის ან სხვა წვადი მასალებით ნაგებ შენობებში;
- ე) ზაფხულის პერიოდში ღუმელის დანთება, ნავთის და ელექტროგამათბობელი ხელსაწყოების გამოყენება იმ შენობებში, სადა იმყოფებიან ბავშვები.

4. საზაფხულო საბავშვო აგარაკი უნდა იყოს უზრუნველყოფილი სატელეფონო კავშირით და ხანძრის შემთხვევაში განგაშის სიგნალით. ამ შენობებში უნდა იყოს დაწესებული მომსახურე პერსონალის სადღეღამისო მორიგეობა დამის საათებში მიღის უფლებების გარეშე. სამორიგეოში უნდა იყოს ტელეფონი.



მუხლი 16. კულტურულ-საგანმანათლებლო და სანახაობითი დაწესებულებები

1. მუზეუმებსა და სურათების გალერეებში უნდა იყოს შემუშავებული ექსპონატების და სხვა ფასეულობათა ევაკუაციის გეგმა, ხოლო ცირკებსა და ზოოპარკებში – ცხოველთა ევაკუაციის გეგმა.
2. ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო და სანახაობითი დაწესებულება სეზონის გახსნამდე უნდა იყოს შემოწმებული სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შესაბამისობაზე.
3. კულტურულ-საგანმანათლებლო და სანახაობითი დაწესებულების მაცურებელთა დარბაზებში და ტრიბუნებზე ყველა სავარძელი და სკამი უნდა იყოს ერთმანეთთან შეერთებული რიგებად და იატაკზე მყარად დამაგრებული. სავარძლები (სკამები) შესაძლებელია იატაკზე არ დამაგრდეს არა უმეტეს 12- ადგილიან ლოჯებში, თუ ლოჯებს აქვს დამოუკიდებელი გასასვლელი. არა უმეტეს 200-ადგილიან მრავალფუნქციურ მაცურებელთა დარბაზებში შესაძლებელია სკამები იატაკზე არ დამაგრდეს, მხოლოდ ერთმანეთთან აუცილებლად უნდა შეერთდეს რიგებად.
4. სცენის კოლოფის ხის კონსტრუქციები (ცხაურები, კიდული ხიდები, სამუშაო გალერეები და ა.შ.), წვადი დეკორაციები, სასცენო და საგამოფენო გაფორმება, აგრეთვე დრაპირება მაცურებელთა და საექსპოზიციო დარბაზებში, ფოიესა და ბუფეტებში უნდა იყოს დამუშავებული ცეცხლდამცავი შემადგენლობით. ობიექტის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს ამ სამუშაოების შემსრულებელი ორგანიზაციის შესაბამისი აქტი გაყენების თარიღისა და მისი მოქმედების ვადის აღნიშვნით.
5. თეატრალურ-სანახაობით დაწესებულებათა სცენის კოლოფის ფარგლებში ერთდროულად შეიძლება იყოს მოთავსებული არა უმეტეს ორი სპექტაკლის დეკორაციები და მოწყობილობები. დაუშვებელია დეკორაციების, ბუტაფორიის, ხის დაზგების, ფარდების, ინვენტარის და სხვა ქონების შენახვა ტრიუმფში, ცხაურებსა და სამუშაო მოედნებზე (გალერეებში), კიბის საფეხურებისა და ბაქნების ქვეშ, აგრეთვე მაცურებელთა დარბაზის ქვეშ მდებარე სარდაფებში.
6. დადგმების გაფორმებისას სცენის პლანშეტის ირგვლივ უზრუნველყოფილი უნდა იყოს არანაკლებ 1 მ-ის სიგანის თავისუფალი წრიული გასასვლელი. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ყველა დეკორაცია და ბუტაფორია უნდა იყოს დაშლილი და გატანილი სცენიდან სპეციალურ საწყობებში (საკუჭნაობებში, ფარდულეებში, სეიფებში და ა.შ.).
7. სცენაზე აკრძალულია თამბაქოს მოწევა, ღია ცეცხლის (ჩირადენების, სანთლების, კანდელებების და ა.შ.), რკალური პროექტორების, შუშუნების და ცეცხლის ეფექტების მქონე სხვა სახის საშუალებების გამოყენება.
8. სცენის პლანშეტზე უნდა იყოს გავლებული ხანძარსაწინააღმდეგო ფარდის ჩამოშვების საზღვრის აღნიშვნელი წითელი ხაზი. დეკორაციები და სასცენო გაფორმების სხვა საგნები არ უნდა სცდებოდეს ამ ხაზს.
9. სპექტაკლის (რეპეტიციის) დამთავრების შემდეგ ხანძარსაწინააღმდეგო ფარდა უნდა დაეშვას. ხანძარსაწინააღმდეგო ფარდა სცენის პლანშეტთან შემჭიდროებული უნდა იქნეს ქვიშის საკეტის (ელასტიური ბალიშის) მეშვეობით. ამწვე-ჩამომშვები მექანიზმის დაშვების სიჩქარე უნდა იყოს არანაკლებ 0,2 მ/წმ.
10. ზამთრის პერიოდში საკვამლე ლუკების სარქველები უნდა იყოს დათბუნებული და შემოწმებული შეუფერხებელ მუშაობაზე არანაკლებ 10 დღეში ერთხელ.
11. პიროტექნიკური ნაკეთობების შენახვა და გამოყენება უნდა განხორციელდეს სპეციალური წესების მოთხოვნათა ზუსტი დაცვით. მათი კუსტარული წესით დამზადება, აგრეთვე სანახაობით დაწესებულებებში, შენობებსა და სტადიონების ტრიბუნებზე, კულტურისა და დასვენების პარკებში, ადამიანთა მასობრივი თავშეყრის სხვა ადგილებში შენახვა დაუშვებელია.
12. ღია მოედნებზე სპეციალური ცეცხლის ეფექტების ჩვენების აუცილებლობისას პასუხისმგებელი დამდგმელის (მთავარი რეჟისორის, სამხატვრო ხელმძღვანელის) მიერ სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით უნდა იყოს შემუშავებული და განხორციელებული ხანძრის თავიდან აცილების ღონისძიებები.

მუხლი 17. სავაჭრო ობიექტები

1. წვადი მასალების, ნარჩენების, შეფუთვების და კონტინერების დროებითი შენახვა სავაჭრო დარბაზებსა და საევაკუაციო გზებზე დაუშვებელია. ისინი უნდა იყოს გატანილი ყოველდღიურად, დაგროვებისთანავე. წვადი მასალების, ნარჩენების, შეფუთვების და კონტინერების შენახვა დასაშვებია ამ მიზნებისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.
2. დაუშვებელია წვადი საქონლის ან წვად შეფუთვაში მოთავსებული უწყვი საქონლის შენახვა სათავსებში, რომლებსაც არ გააჩნიათ ფანჯრები ან კვამლგამდენი შახტები.
3. ასანთი, ოდეკოლონი, სუნამო, აეროზოლური შეფუთვები და სხვა ხანძარსაშიში საქონელი უნდა ინახებოდეს სპეციალურად მოწყობილ სათავსებში, სხვა საქონლიდან განცალკევებით.
4. სავაჭრო დაწესებულებებში აკრძალულია:
 - ა) საცეცხლე სამუშაოების ჩატარება სავაჭრო დარბაზებში მომხმარებელთა ყოფნის დროს;
 - ბ) ადვილალეზადი, წვადი სითხეებით და წვადი გაზით (გაზბალონები, საღებავები, გამხსნელები, საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონელი და ა.შ.), საბრძოლო მასალებით და პიროტექნიკური ნაწარმით ვაჭრობა, თუ სავაჭრო ობიექტები განთავსებულია სხვა დანიშნულების შენობებში;
 - გ) ხანძარსაშიში საქონლით მოვაჭრე სექციების განთავსება გასასვლელებთან, კიბის უჯრედებთან და სხვა საევაკუაციო გზებთან 4 მ-ზე ახლოს;
 - დ) სავაჭრო დარბაზებში წვადი გაზის ბალონების დადგმა საჭაერო ბუშტების შესასვლელად ან სხვა მიზნებისათვის;
 - ე) სავაჭრო, სათამაშო აპარატების განლაგება და საქონლით ვაჭრობა კიბის უჯრედის ბაქნებზე, ტამბურებსა და სხვა საევაკუაციო გზებზე;
 - ვ) 15 000-ზე მეტი აეროზოლური შეფუთვის შენახვა.
5. სარეკლამო აქციებისა და ადამიანთა მასობრივი თავშეყრის სხვა ღონისძიებების ჩატარებისას ობიექტის ხელმძღვანელმა უნდა მიიღოს დამატებითი ზომები (დარბაზებში მომსვლელთა ან მომხმარებელთა შესვლის შეზღუდვა, დამატებითი მორიგების გამოყოფა და ა.შ.) მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
6. ღია მოედნებზე ან შენობებში (ნაგებობებში) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნებართვით მოწყობილი სასაქონლო ბაზრობები უნდა პასუხობდეს სახანძრო უსაფრთხოების შემდეგ მოთხოვნებს:
 - ა) სავაჭრო დანადგარები უნდა განლაგდეს საევაკუაციო გასასვლელებისაკენ მიმართული რიგების გასწვრივ (არანაკლებ 2 მ-ის თავისუფალი გასასვლელის უზრუნველყოფით);
 - ბ) სავაჭრო რიგის ყოველ 30 მ-ში უნდა იყოს არანაკლებ 1,4 მ განივი გასასვლელი;
 - გ) კიბის უჯრედებზე, ჰოლბებსა და დერეფნებში ვაჭრობა დაუშვებელია;



დ) შენობა-ნაგებობებში ბაზრობების მოწყობამ არ უნდა გაზარდოს მათი სახანძრო საშიშროება და არ უნდა არღვევდეს ამ შენობებისთვის დადგენილ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

7. შენობა-ნაგებობებში ჩადგმული ჯიხურები და ფარდულები (თუ ეს არ ეწინააღმდეგება ნორმატიულ დოკუმენტებს) უნდა იყოს უწყვი მასალების.

8. სამუშაო საათებში საქონლის ჩატვირთვა და ტარის გადმოტვირთვა უნდა განხორციელდეს იმ გზებით, რომლებიც არ არის დაკავშირებული მყიდველთათვის განკუთვნილ სავაჭურავიო გასასვლელებთან.

9. დაუშვებელია საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონლით, ლაქებით, საღებავებით და სხვა ადვილალეზადი და წვადი სითხეებით ვაჭრობა, რომლებიც თითოეული ერთ ლიტრზე მეტი ტევადობის მინის ტარაშია დაფასოებული, ასევე დაუშვებელია ხანძარსაშიში საქონლით ვაჭრობა გამაფრთხილებელი წარწერიანი ეტიკეტების („ცეცხლსაშიშია“, „არ გააფრქვიოთ ცეცხლთან ახლოს“ და ა.შ.) გარეშე. ხანძარსაშიში საქონლის დაფასოება უნდა განხორციელდეს სპეციალურად მოწყობილ სათავსებში.

10. ნავთისა და სხვა წვადი სითხეების შენახვა და გაყიდვა დასაშვებია მხოლოდ ცალკე მდგომ შენობებში, რომლებიც აგებულია უწყვი მასალებისგან, იატაკის ჩათვლით. ამ შენობებში იატაკის დონე უნდა იყოს მომიჯნავე გეგმარებით ნიშნულზე დაბლა, ისეთი გაანგარიშებით, რომ გამოირიცხოს სითხის განდვრა ავარიის შემთხვევაში. აღნიშნულ შენობებში დაუშვებელია ღუმელით გათბობა.

11. სავაჭრო დარბაზები გამოყოფილი უნდა იყოს ნავთისა და სხვა წვადი სითხეების სავაჭრისაგან ხანძარსაწინააღმდეგო ტიხრებით. ჭურჭლის (რეზერვუარების, კასრების) მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 5 მ³.

12. რეზერვუარებიდან სარიგებელ ავზებში წვადი სითხეების მიმწოდებელი მილსადენი უნდა იყოს უძრავად დამაგრებული და ჰქონდეს ვენტილები სარიგებელ ავზთან და ჭურჭელთან. სარიგებელი ავზის ტევადობა არ უნდა აღემატებოდეს 100 ლ-ს. მილსადენები და ჭურჭელი უნდა იყოს დამიწებული არანაკლებ ორ ადგილას. დამიწების საიმედოობა ელექტრული წინააღმდეგობის გაზომვით უნდა შემოწმდეს წელიწადში ერთხელ.

13. ნავთის გასაყიდი დახლი უნდა იყოს გადაკრული ლითონის ფურცლით, რომელიც გამორიცხავს ნაპერწკლის გაჩენას დარტყმის შემთხვევაში.

14. სათავსებში, სადაც ხდება ნავთით ვაჭრობა, შესაფუთი მასალის (ბურბუშელა, ჩალა, ქაღალდი და ა.შ.) შენახვა დაუშვებელია. ნავთისა და სხვა წვადი სითხეების ტარა უნდა იყოს შენახული მხოლოდ სპეციალურ, შემოღობილ მოედნებზე.

15. ავტოცისტერნებიდან ნავთის გაყიდვა უნდა წარმოებდეს უახლოესი შენობებიდან არანაკლებ 15 მ-ის დაშორებით, ადგილის რელიეფის გათვალისწინებით, იმ უბნებზე, რომელიც გეგმარებითი ნიშნულები არ აღემატება მომიჯნავე შენობა-ნაგებობების და ღია საწყობების გეგმარებით ნიშნულებს.

16. საბრძოლო მასალების (დენთი, კავსულები, დატენილი ვაზნები) და პიროტექნიკური ნაწარმის გაყიდვა დასაშვებია მხოლოდ სპეციალიზებულ მაღაზიებში ან სექციებში. ამასთან ერთად, საბრძოლო მასალებისა და პიროტექნიკური ნაწარმის სექციები უნდა იყოს განლაგებული მაღაზიების ბოლო სართულზე.

17. საბრძოლო მასალები და პიროტექნიკური ნაწარმი უნდა ინახებოდეს ხანძარსაწინააღმდეგო ტიხრებით შემოსაზღვრულ სათავსებში დადგმულ ლითონის კარაღებში. ამ ნაწარმის სარდაფებში შენახვა დაუშვებელია.

18. დენთისა და კავსულების ან დატენილი ვაზნების კარადაში ერთად შენახვა დაუშვებელია.

19. დენთის გაყიდვა დასაშვებია მხოლოდ ქარხნული შეფუთვით. საბრძოლო მასალისა და ყუთების შეფუთვის გახსნა საწყობებში დაუშვებელია.

20. უშუალოდ მაღაზიის შენობებში დასაშვებია არა უმეტეს ერთი ყუთი კვამლიანი დენთის (50 კგ), ერთი ყუთი უკვამლო დენთის (50 კგ) და 15 000 დატენილი ვაზნის შენახვა. დამამზადებელ პუნქტებს უფლება აქვთ შეინახონ 200 კგ დენთი.

მუხლი 18. სტაციონარის მქონე სამკურნალო დაწესებულებები

1. სოფლის ტერიტორიაზე განლაგებულ სამკურნალო დაწესებულებებს უნდა ჰქონდეს მისადგმელი კიბეები, შენობაზე ერთი კიბის გაანგარიშებით.

2. საავადმყოფოების და სხვა დაწესებულებების შენობები, სადაც მუდმივად იმყოფებიან ადამიანები, რომლებსაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილება, უნდა იყოს უზრუნველყოფილი საკაცებით, ხუთ პაციენტზე (შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირზე) ერთი საკაცის გაანგარიშებით. პალატები მიძიმე ავადმყოფებისათვის და ბავშვებისათვის უნდა იყოს განთავსებული ქვედა სართულებზე.

3. საავადმყოფოს პალატებში საწოლებს შორის მანძილი უნდა იყოს არანაკლებ 1,2 მ-ისა, ხოლო ცენტრალური ძირითადი გასასვლელის სიგანე უნდა იყოს აგრეთვე არანაკლებ 1,2 მ. სავაჭურავიო გასასვლელები და გამოსასვლელები არ უნდა იყოს ჩახერგილი სკამებით, ტუმბოებით და სხვა ავეჯით.

4. ჟანგბადის მიწოდება პალატებში, როგორც წესი, უნდა ხდებოდეს ცენტრალიზებულად, სამკურნალო დაწესებულებების ტერიტორიაზე ცალკე მდგომი ბალონური დანადგარიდან (თუ ბალონების რაოდენობა არ აღემატება 10-ს) ან ჟანგბადის ცენტრალური პუნქტიდან (თუ ბალონების რაოდენობა 10-ზე მეტია). ჟანგბადის ცენტრალიზებული მიწოდების სისტემის არარსებობისას ჟანგბადის ბალიშების გამოყენების წესი განისაზღვრება დაწესებულების ბრძანებით. დასაშვებია ჟანგბადის ერთბალონიანი რამპის დადგმა შენობის გარე უწყვედელთან, უწყვ კარადაში.

5. აკრძალულია:

ა) პალატებიან კორპუსებში ისეთი სათავსების მოწყობა და გამოყენება, რომლებიც არ არის დაკავშირებული სამკურნალო პროცესთან (გარდა დაპროექტების ნორმებით დადგენილისა);

ბ) დერეფნებში, ჰოლბესა და სავაჭურავიო გზებზე საწოლების დადგმა;

გ) პალატებისა და მომსახურე პერსონალის სათავსების ფანჯრებზე რკინის გისოსების ან ჟალუზების დაყენება;

დ) ხის კედლებზე და ჭერზე შპალერის გაკვრა ან მათი შეღებვა ნიტრო ან ხეთოვანი საღებავით;

ე) შენობების მოსაპირკეთებლად ისეთი მასალების გამოყენება, რომლებიც წვის დროს გამოყოფენ ტოქსიკურ ნივთიერებებს;

ვ) სამკურნალო დაწესებულებების შენობებში ჟანგბადის ბალონების დადგმა და შენახვა;

ზ) რუხინის ან პლასტმასის მილების გამოყენება ბალონებიდან საავადმყოფოს პალატებში ჟანგბადის მისაწოდებლად;

თ) გაუმართავი სამკურნალო ელექტრომოწყობილობებით სარგებლობა;

ი) საავადმყოფოს პალატებში ღუმელების საცეცხლე ლიბების მოწყობა;

კ) სამკურნალო დაწესებულებების სარდაფებსა და ცოკოლის სართულზე სახელოსნოების, საწყობების, საკუქნაობების მოწყობა.



6. მადულარების, წყლის გამაცხელებლების და ტიტანების დადგმა, სამედიცინო ხელსაწყოების სტერილიზაცია, აგრეთვე პარაფინისა და ოზოკერიტის გაცხელება დასაშვებია მხოლოდ სპეციალურად ამ მიზნებისათვის მოწყობილ სათავსებში. ხელსაწყოების და შუასადებების გამოსახარშად უნდა იყოს გამოყენებული დახურულ სპირალეზიანი სტერილიზატორები. ნავთგაზქურების, ნავთქურების და პრიმუსების გამოყენება ამ მიზნებისათვის დაუშვებელია.

7. ლაზორატორებში, სამკურნალო განყოფილებებში, ექიმების კაბინეტებში დასაშვებია ადვილ-აალეზად და წვად სითხეებს მიკუთვნებული მედიკამენტების და რეაქტივების (სპირტი, ეთერი და ა.შ.) შენახვა სპეციალურ ჩასაკეტ ლითონის კარადებში, საერთო რაოდენობით არა უმეტეს 3 კგ-ისა, მათი შეთავსებადობის გათვალისწინებით.

8. დაუშვებელია 25-ზე მეტი პაციენტის და ბავშვის მოთავსება ხის ისეთ შენობებში, რომელთა გათბობა გათვალისწინებულია ღუმელებით.

9. 300კგ-ზე მეტი ტევადობის რენტგენის ფირების არქივსაცავი უნდა იყოს განთავსებული ცალკე მდგომ შენობებში, ხოლო 300კგ-მდე ტევადობისა დასაშვებია განთავსდეს შენობების სათავსებში, რომლებიც გამოყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო კედლებითა და I ტიპის გადახურვებით. მანძილი არქივსაცავებიდან მეზობელ შენობებამდე უნდა იყოს არანაკლებ 15 მ.

10. არქივსაცავის ერთ სექციაში დასაშვებია არა უმეტეს 500 კგ ფირის შენახვა. ყველა სექციას უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი გამწოვი ვენტილაცია. კარი სექციიდან უნდა იღებოდეს გარეთ. არქივებში ფანჯრების ფართობის შეფარდება იატაკის ფართობთან უნდა იყოს არანაკლებ 1:8.

11. არქივსაცავების გათბობა უნდა იყოს ცენტრალური. დაუშვებელია მათი ორთქლით გათბობა, ლითონის ღუმელების და ლითონის მილებიანი დროებითი ღუმელების დადგმა, აგრეთვე ელექტროფარების, გამთიშველი მოწყობილობების, ელექტროზარების და სამტევსელები შეერთებების დაყენება. არასამუშაო საათებში ელექტროგაყვანილობა საცავებში უნდა იყოს გაუდენურებული.

12. სათავსო 4კგ-მდე ფირებისა და რენტგენოგრაფების შენახვა დასაშვებია არქივსაცავების გარეთ, ლითონის კარადში (ყუთში), თუ კარადა მოთავსებულია სათბობი ხელსაწყოებიდან არანაკლებ 1 მ-ის დაშორებით. ამ სათავსებში დაუშვებელია თამბაქოს მოწევა და ნებისმიერი ტიპის გამაცხელებელი ხელსაწყოების გამოყენება.

13. არქივსაცავები უნდა იყოს მოწყობილი ლითონის (ლითონით გადაკრული ხის) ფილმოსტატებით ან კარადებით, რომლებიც დაყოფილია არა უმეტეს 0,5 მ სიღრმის და სიგრძის სექციებად. მანძილი კარადებიდან კედლებამდე, ფანჯრებამდე, ჭერამდე და იატაკამდე უნდა იყოს არანაკლებ 0,5 მ.

თავი III სამრეწველო ობიექტები

მუხლი 19. ზოგადი დებულებანი

1. ტექნოლოგიური პროცესები უნდა ჩატარდეს რეგლამენტების, ტექნიკური ექსპლუატაციის წესებისა და დადგენილი წესით დამტკიცებული სხვა ნორმატიულ-ტექნიკური და საექსპლუატაციო დოკუმენტაციის შესაბამისად, ხოლო აფეთქებახანძარ და ხანძარსაშიში ნივთიერებებისა და მასალების გამოსაყენებლად განკუთვნილი მოწყობილობები უნდა შეესაბამებოდეს საკონსტრუქტორო დოკუმენტაციას.

2. თითოეულ ობიექტზე უნდა იყოს მონაცემები ტექნოლოგიურ პროცესებში გამოსაყენებელი ნივთიერებებისა და მასალების ხანძარსაშიშირობის მაჩვენებლების შესახებ. აფეთქებახანძარ და ხანძარსაშიში ნივთიერებებთან და მასალებთან მუშაობისას დაცული უნდა იქნეს მარკირების და შეფუთვაზე მოცემული გამაფრთხილებელი წარწერების ან თანმხლებ საბუთებში აღნიშნული მოთხოვნები.

3. დაუშვებელია ისეთი ნივთიერებების და მასალების ერთობლივი გამოყენება (თუ ეს არ არის გათვალისწინებული ტექნოლოგიური რეგლამენტით), შენახვა და ტრანსპორტირება, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთმოქმედებისას იწვევენ აალებას, აფეთქებას ან წარმოქმნიან წვად და ტოქსიკურ აირებს (ნარევეს).

4. მოწყობილობების გეგმური რემონტი და მათი პროფილაქტიკური დათვალიერება უნდა ჩატარდეს დადგენილ ვადებში და ექსპლუატაციის შესახებ შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებული სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესრულებით.

5. გამწოვი მოწყობილობების (კარადების, სამღებროების, საშრობი კამერების და ა.შ.), აპარატებისა და მილსადენების კონსტრუქციამ უნდა უზრუნველყოს ხანძარსაშიში დანალექების დაგროვების თავიდან აცილება და მათი გაწმენდა ხანძარუსაფრთხო ხერხებით. საწმენდი სამუშაოები უნდა ჩატარდეს ტექნოლოგიური რეგლამენტების შესაბამისად და დაფიქსირდეს ჟურნალში.

6. ტექნოლოგიურ დანადგარებზე, მილსადენებზე და სხვა ადგილებში დამონტაჟებული ნაპერწკალსაქრობები, ნაპერწკალსაჭერები, ცეცხლშემჩერებელი, ცეცხლმზლუდი, მტვერ- და ლითონმჭერი და აფეთქებასაწინააღმდეგო მოწყობილობები, სტატიკური ელექტრობისგან დამცავი სისტემები უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში.

7. მოწყობილობების, ნაკეთობების და დეტალების გასარეცხად და ცხიმის გასაცლელად, როგორც წესი, გამოიყენება უწყვი ტექნიკური სარეცხი საშუალებები, აგრეთვე ხანძარუსაფრთხო დანადგარები და ხერხები.

8. გაყინული პროდუქტის, ყინულის, კრისტალოჰიდრატული და სხვა საცობების გაღობა მილსადენებში უნდა განხორციელდეს ცხელი წყლით, ორთქლით ან სხვა უსაფრთხო ხერხებით. ამ მიზნებისთვის ღია ცეცხლის გამოყენება დაუშვებელია.

9. რეზერვუარებიდან (ჭურჭლიდან ან ტევადობიდან) ადვილაალებადი და წვადი სითხეების ნიმუშების აღება და დონის გაზომვა უნდა განხორციელდეს დღის სინათლეზე. დაუშვებელია აღნიშნული ოპერაციების შესრულება ჭექა-ქუხილის, აგრეთვე პროდუქტის დატუმბვის ან ამოტუმბვის დროს. დაუშვებელია ამგვარი სითხეების მიწოდება რეზერვუარებში (ჭურჭლში ან ტევადობაში) „გარდნილი ნაკადით“. რეზერვუარის შევსებისა და დაცლის სიჩქარე არ უნდა აღემატებოდეს რეზერვუარებზე დაყენებული სასუნთქი საარქველების (სავენტილაციო მილყელბის) ჯამურ გამტარუნარიანობას.

10. მტვერშემკრები კამერებისა და ციკლონების ექსპლუატაციისას მათი კარები და ლიუკები უნდა იყოს დახურული. კამერებსა და ციკლონებში მორგოვლი წვადი ნარჩენები დროულად უნდა იქნეს გატანილი.

11. საწარმოო შენობების ტერიტორიაზე განლაგებული საწყობების საცხოვრებლად გამოყენება, აგრეთვე საწყობებში საწარმოო სახელოსნოების განთავსება დაუშვებელია.

12. საწყობებსა და საწარმოო სათავსებში არ უნდა იყოს გაყვანილი სატრანზიტო ელექტროქსელი, აგრეთვე წვადი აირების, ადვილაალებადი, წვადი სითხეებისა და წვადი მტვრის მილსადენები.

13. ფეთქებადნაძარსაშიში უბნებზე, საამქროებსა და სათავსებში უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ იმ მასალისაგან დამზადებული ინსტრუმენტი, რომელიც არ აჩენს ნაპერწკალს ან აფეთქებაუსაფრთხოა.



14. სათავსებში, სადაც ხდება წვადი მტვრის, ბურბუშელას და ა.შ. გამოყოფა კედლები, ჭერი, იატაკი, კონსტრუქციები და მოწყობილობები სისტემატურად უნდა დასუფთავდეს. დასუფთავების პერიოდულობა დგინდება საწარმოს ბრძანებით. დასუფთავების მეთოდი უნდა გამორიცხავდეს მტვრის ავარდნას და მტვერ-ჰაერის ფეთქებადსაშიში ნარევეების წარმოქმნას.

15. ადვილალუბადი, წვადი სითხეებისა და წვადი აირების მიწოდება სამუშაო ადგილებზე უნდა ხორციელდებოდეს ცენტრალიზებულად. დასაშვებია მცირე რაოდენობის ადვილალუბადი და წვადი სითხეების სამუშაო ადგილებზე მიწოდება სპეციალური უსაფრთხო ტარით. ღია ტარის გამოყენება დაუშვებელია.

16. კედლებსა და გადახურვებში ტექნოლოგიური ღიობები უნდა იყოს დაცული ცეცხლშემზლული მოწყობილობებით.
17. ნახევარფაბრიკატების ტარის გარეშე ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი შახტური ამწეების ჩამტვირთავი მოწყობილობები უნდა იყოს აღჭურვილი საფარებით, რომლებიც იხსნება მხოლოდ დატვირთვის დროს.

18. ხანძარსაწინააღმდეგო კარების თვითჩამკეტი მექანიზმები უნდა იყოს გამართული. სამუშაო დღის დამთავრებისთანავე ცეცხლგადამღობი მოწყობილობები უნდა დაიკეტოს.

19. ხაზებსა და აღსორბერებზე აფეთქების საწინააღმდეგო სარქველების დამცველი მემბრანები მასალის სახისა და სისქის მიხედვით უნდა შეესაბამებოდეს საპროექტო მონაცემებს.

20. აუცილებელია ცეცხლგადამღობების, აგრეთვე მემბრანაინი სარქველების გამართულობის რეგულარულად შემოწმება და მათი ცეცხლჩამკრობი საცმის გაწმენდა. შემოწმების ვადები უნდა იყოს აღნიშნული სამქროს ინსტრუქციაში.

21. აღსორბერებმა უნდა გამორიცხონ მათში არსებული აქტივირებული ნახშირის თვითწვა, რისთვისაც ისინი უნდა იყოს შევსებული მხოლოდ სტანდარტული, დადგენილი მარკის აქტივირებული ნახშირით.

22. ჰიდროსისტემებში, სადაც გამოიყენება წვადი სითხეები აუცილებელია დაწესდეს კონტროლი ავზში ზეთის დონეზე და არ დაიშვას სისტემაში ზეთის წნევის პასპორტით გათვალისწინებული მნიშვნელობის გადატეება. ჰიდროსისტემებიდან ზეთის ჟონვა დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

23. დაუშვებელია ჩარჩობერების, მრგვალსახერხი, საფრეზავსახერხი და სხვა ჩარხების და აგრეგატების ექსპლუატაცია:
- ა) ხერხების შემოღობვაზე შეხებისას;
 - ბ) არასაკმარისი ან არათანაბარი კბილგასაყარის და მსხვილი ხიწვების მქონე ხერხების გამოყენებისას;
 - გ) შესაზეთი და გამაციებელი სისტემების დაზიანებისას;
 - დ) გამაციებელი და შესაზეთი სისტემების გაუმართაობისა და გამაციებელ სისტემაში პასპორტით გათვალისწინებულზე დაბალი წნევის დროს ჩარჩობერების ავტომატური გამორთვის უზრუნველყოფი მოწყობილობების უქონლობისას;
 - ე) სახერხი ჩარჩოს გადახრისას, ცოციების მოშვებისას და არასწორი მორგებისას;
 - ვ) საკისრების გაცხელებისას 70°C-ზე ზევით.

24. საჭრელ (საკავველ) მანქანაში ნედლეულის მიმწოდებელი კონვეიერები უნდა იყოს აღჭურვილი ლითონდამჭერებით, რომლებიც ავტომატურად გამორთავენ კონვეიერებს და იძლევიან ხმოვან სიგნალს ლითონის საგნების მოხვედრის შემთხვევაში.

25. საჭრელი მანქანის ჩასატვირთი ძაბრის გასაწმენდად ლითონის საგნების გამოყენება დაუშვებელია.

26. ტექნოლოგიური ნაფოტი დამუშავებამდე, აგრეთვე ბურბუშელა პრესში შეტანამდე უნდა გატარდეს ლითონდამჭერებში.

27. მერქანბურბუშელის ფილების სახეხი ჩარხების წინ უნდა იყოს დაყენებული ლითონის მადიებლები, რომლებიც აღჭურვილია სიგნალიზაციით და დაბლოკირებულია მიმწოდებელ მოწყობილობებთან.

28. ხის ნარჩენების ბუნკერები და მაფორმირებელი მანქანები აღჭურვილი უნდა იყოს ასპირაციის სისტემით და შევსების შესახებ მაუწყებლებით.

29. ცხელი დაწნევის წნეხისა და ჩამტვირთავ-განმტვირთავი თაროედის ზემოთ უნდა იყოს მოწყობილი გამწოვი ქოლგა, რომელიც არ დაუშვებს სათავსში მტვრისა და გაზის დაგროვებას ფილების დახურვისას (მერწყმისას) და გაღებისას. ქოლგის კონსტრუქციამ არ უნდა შეაფერხოს წნეხისა და თვით ქოლგის მომსახურება და გასუფთავება.

30. დოლური საშრობი, მშრალი ბურბუშელისა და მტვრის ბუნკერები უნდა იყოს აღჭურვილი ხანძრის ჩაქრობის ავტომატური დანადგარებით და აფეთქებასაწინააღმდეგო მოწყობილობებით.

31. ბურბუშელისა და მტვრისებრ მასალათა ტრანსპორტირების სისტემები უნდა იყოს აღჭურვილი ცეცხლის გავრცელების თავიდან ასაცილებელი საშუალებებით და წაკიდების ლიკვიდაციისათვის საჭირო ლიუკებით.

32. საასპირაციო და პნევმოსატრანსპორტო სისტემებიდან ხისა და სხვა ფეთქებადსაშიში მტვრის მოსაგროვებელი ტევადობები უნდა იყოს აღჭურვილი აფეთქებასაწინააღმდეგო მოწყობილობებით.

33. ფილების თერმული დამუშავების კამერები უნდა გასუფთავდეს აქროლადი ფისის გამონაყოფის, მერქანის პიროლიზის პროდუქტების, მტვრისა და სხვა ნარჩენებისგან არანაკლებ ერთხელ დღე-ღამეში.

34. ხის ბურბუშელის ფილების თერმული დამუშავების კამერები უნდა იყოს აღჭურვილი ფეთქებადსაშიში აირების გამწოვი მილის შიბერის გაღები ავტომატური მოწყობილობით, რომელიც გაიღება 2-3 წთ-ით ყოველ 15 წთ-ში. ფხვიერი ნაწიბურებიანი არასრულად დაწნეხილი ფილების თერმული დამუშავება დაუშვებელია.

35. თერმული დამუშავების შემდეგ (ფილების დაწყობამდე), მათი თვითაალების გამორიცხვის მიზნით, ფილები უნდა გაგრილდეს ღია საბუფერო მოედნებზე.


36. დამუშავების კამერებსა და ზეთის აბაზანებში ტემპერატურა უნდა გაკონტროლდეს ავტომატურად.

37. საწვავ აირებზე მომუშავე საშრობ დოლებს უნდა ჰქონდეთ ნაპერწკალსაჭერები.

38. დაწნეხვის შემდეგ ხის ფენოვანი პლასტიკების დაჭრა დასაშვებია ტექნოლოგიური რეგლამენტით დადგენილი დროის გავლის შემდეგ.

39. სამუშაოს დამთავრების შემდეგ საუფნთი და გამაციებელი წვადსითხეებიანი აბაზანები უნდა დაიხუროს ხუფებით.

40. საუფნთ, საწრთობ და წვად სითხეებიან სხვა აბაზანებს უნდა ჰქონდეთ შენობის გარეთ, მიწის ქვეშ განთავსებული ტევადობები, ავარიული ჩამოსასხამი მოწყობილობებით. თითოეულ აბაზანას უნდა ჰქონდეს წვადი აირების ადგილობრივი გამწოვი.

41. პერიოდული მოქმედების საშრობი კამერები და კალორიფერები ყოველი ჩატვირთვის წინ უნდა გასუფთავდეს ნა  და მტვრისაგან.

42. ორთქლსაპაერო და გაზის კამერების მომდენ და გამწოვ არხებზე უნდა იყოს მოწყობილი სპეციალური ფარსაკეტები (შიბერები), რომლებიც დაიკეტება ხანძრის გაჩენისთანავე.

43. გაზით საშრობი კამერები უნდა იყოს აღჭურვილი მოწყობილობებით, რომლებიც ავტომატურად შეწყვეტენ საწვავი აირების მიწოდებას ვენტილაციის გაჩერების შემთხვევაში. გაზით საშრობ კამერებს უნდა ჰქონდეთ ნაპერწკალსაჭერები კამერებში ნაპერწკლის მოხვედრის ასაცილებლად.

44. ალიბჭეების, აირით საშრობი მოწყობილობის ნაპერწკალსაჭერების ტექნიკური მდგომარეობა რეგულარულად უნდა შემოწმდეს. საშრობი მოწყობილობის ექსპლუატაცია ნაპერწკალსაჭერის გარეშე ან ალიბჭეების ზედაპირის ბზარით დაუშვებელია.

45. მყარ და თხევად საწვავზე მომუშავე გაზის საშრობი კამერების საცეცხლე მოწყობილობები უნდა გაიწმინდოს მურისაგან არანაკლებ ორჯერ თვეში.

46. საცეცხლე-საშრობი განყოფილება დაკომპლექტებული უნდა იყოს საშრობი აგენტის ტემპერატურის კონტროლის გამართული ხელსაწყოებით.

47. რბილი ხის ბოჭკოს ფილების საშრობი კამერები უნდა დასუფთავდეს ხის ნარჩენებისგან არანაკლებ ერთხელ დღე-ღამეში. კონვეიერის 10 წთ-ზე მეტი დროით გაჩერებისას, საშრობი კამერის გახურება უნდა შეწყდეს.

48. საშრობი კამერები უნდა იყოს აღჭურვილი მოწყობილობებით, რომლებიც კამერაში ცეცხლის გაჩენისას გამორთავენ კალორიფერების ვენტილატორებს და ჩართავენ ხანძრის ჩაქრობის სტაციონარულ საშუალებებს.

49. ნახევარფაბრიკატების, შეღებილი მზა ნაწარმის და ნედლეულის საშრობი კამერები (სათავსები, კარადები), უნდა იყოს აღჭურვილი ტემპერატურის დაშვებულზე ზევით მომატების შემთხვევაში გაცხელების გამომრთველი ავტომატიკით.

50. მაღალი სიხშირის დენის საშრობებში მერქნის შტაბელუბად დაწყობამდე უნდა გამოირიცხოს მასში ლითონის საგნების მოხვედრა. დაუშვებელია საშრობ კამერებში ადამიანთა ყოფნა და სპეცტანსაცმლის გაშრობა.

მუხლი 20. ენერგეტიკის ობიექტები

1. საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების და მართვის მოწყობილობების სათავსები უნდა იყოს გამოყოფილი აირმარეგულირებელი პუნქტებიდან და აირმარეგულირებელი დანადგარებიდან აირშეუღწევი კედლებით, რომლებშიც არ შეიძლება იყოს გამჭოლი ხვრელები და ნაპრალები. კედელში კომუნკაციების გატარება დასაშვებია მხოლოდ სპეციალური მოწყობილობების (ჩოხალების) გამოყენებით.

2. აირსაშიმი სამუშაოები უნდა ჩატარდეს უსაფრთხოების წესების შესაბამისად. მომსახურე ბრიგადის წევრები სამუშაოდ დაიშვებიან მხოლოდ სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ინსტრუქტაჟის გავლის შემდეგ.

3. აირმარეგულირებელი პუნქტის (აირმარეგულირებელი დანადგარის) სავენტილაციო სისტემის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში უნდა იყოს მიღებული ზომები სათავსში აირის ფეთქებადსაშიში კონცენტრაციის გამოსარიცხად. დაუშვებელია მოწყობილობების და აირსადენების შეკეთება ან მონტაჟი სათავსში, გაუმართავი ვენტილაციის პირობებში.

4. დაუშვებელია 45°C-ზე დაბალი აფეთქების ტემპერატურის თხევადი საწვავის გამოყენება. ელექტროსადგურებში ასეთი საწვავის მიღების შემთხვევაში მისი ჩამოსხმა დაუშვებელია.

5. ზეთის გასუფთავებისას უნდა იყოს დაწესებული მუდმივი კონტროლი წნევაზე, ტემპერატურასა და ზეთგამაცხელებლებში ზეთის უწყვეტ მიწოდებაზე.

6. საწვავის დაყრის კვანძებზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ასპირაციული ან მტვრის ჩამხშობი დანადგარების ნორმალური მუშაობა წვრილადგაფრქვეული წყლის, ჰაერმექანიკური ქაფის ან წყლის ორთქლის გამოყენებით.

7. საწვავის მიწოდებისას უნდა მუშაობდეს საწვავმიწოდების ტრაქტზე მოთავსებული გაუმტვერულების ყველა საშუალება, აგრეთვე საწვავიდან ლითონის, ნაფოტების და სხვა უცხო საგნების დამჭერი მოწყობილობა.

8. მტვრის დაგროვების თავიდან აცილების მიზნით საწვავმიწოდების ტრაქტი რეგულარულად უნდა შემოწმდეს და დროულად ჩაუტარდეს მიმდინარე რემონტი და ტექნიკური მომსახურება. კონვეიერების გალერეის კედლები უნდა იყოს მოპირკეთებული გლუვი ფილებით ან შეღებილი ღია ფერის წყალგამძლე საღებავით.

9. საწვავმიწოდების ტრაქტის სათავსებში უნდა იყოს დაცული სისუფთავე, რეგულარულად გაიწმინდოს მტვრისგან, მყარი საწვავის ტიპის, მისი ჟანგვისადმი მიდრეკილების და სათავსის დამტვერიანებიდან გამომდინარე, ჰიდროგარეცხვით ან მექანიზებული საშუალებით. საჭიროების შემთხვევაში ხელით წმენდა დასაშვებია მხოლოდ დანამვის შემდეგ.

10. საწვავმიწოდების ტრაქტში გამავალ საკაბელო ტრასებზე მტვრის დაგროვების შესამცირებლად კაბელები ერთმანეთისგან უნდა იყოს დაცილებული.

11. საკონვეიერო ლენტები უნდა ჩაიტვირთოს ისე, რომ კონვეიერის მოძრაობისას მყარი საწვავი არ გაიფანტოს. გაფანტული საწვავი უნდა იქნეს აღებული სამუშაო ცვლის განმავლობაში. დაუშვებელია საწვავის დაგროვება კონვეიერის ლენტების ქვეშ.

12. საწვავით დატვირთული კონვეიერების გაჩერება დაუშვებელია, გარდა ავარიული სიტუაციისა. ავარიული გაჩერების შემთხვევაში საკონვეიერო ლენტები უნდა იყოს გათავისუფლებული (დაცილი) საწვავისგან უმოკლეს ვადებში.

13. ელექტროსადგურების გადასვლისას მახუთის ან აირის ხანგრძლივ წვაზე და შესაბამისი მოწყობილობების კაპიტალური რემონტის ჩატარებამდე დაუშვებელია საწვავის ბუნკერები უნდა დაიცალოს.

14. კონვეიერებზე სავულკანიზაციო სამუშაოების ჩატარებამდე ლენტის არანაკლებ 10 მ-ის მონაკვეთი უნდა გასუფთავდეს მტვრისაგან (საჭიროების შემთხვევაში უნდა ჩატარდეს ჰიდროგაწმენდა), შემოიღობოს უწვი ფარებით და უზრუნველყოფილი იქნეს ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით.

15. დახურული გამანაწილებელი მოწყობილობების სათავსებსა და დერეფნებში დაუშვებელია საკუქნაობის მოწყობა, აგრეთვე ელექტროტექნიკური მოწყობილობის, სათადარიგო ნაწილების, წვადსითხეებიანი ჭურჭლის და სხვადასხვა სახის გაზის ბალონების შენახვა.

16. საკაბელო ნაგებობების ყოველ 60 მ-ზე უნდა იყოს დაყენებული უახლოესი გასასვლელის მაჩვენებლები. სექციების ტიხრების კარებზე უნდა იყოს გამოკრული მოძრაობის მაჩვენებლები (სქემა) უახლოეს გასასვლელამდე. საკაბელო ნაგებობების გასასვლელ ლიუკებთან მოწყობილი კიბეები არ უნდა აფრხვბდეს გვირაბებში (სართულებზე) გასვლას.

17. დაუშვებელია შენობის შიგნით ჯავშნიანი კაბელების გაყვანა წვადი ჯუთის საფარის მოუხსნელად.

18. საკაბელო ნაგებობების სექციების ტიხრების კარები უნდა იყოს თვითჩამკეტი, იღებოდეს უახლოესი გასასვლელის მიმართული და იკეტებოდეს მჭიდროდ. საკაბელო ნაგებობების ექსპლუატაციისას აღნიშნული კარები უნდა იყოს დაკეტილი.

19. საკაბელო სათავსების ვენტილაციის მიზნით, დასაშვებია კარების ღია მდგომარეობაში დაფიქსირება, ამასთან ერთად ისინი ავტომატურად უნდა იკეტებოდეს სახანძრო სიგნალიზაციის იმპულსით. კარების თვითჩამკეტი მოწყობილობები უნდა იყოს ტექნიკურად გამართული.



20. ლითონის ყუთებში საკაბელო ხაზები უნდა შემჭიდროვდეს უწყვი მასალებით და განცალკევდეს არანაკლებ 0,75 სთ-ის ცეცხლმედეგობის ტიხრებით, შემდეგ ადგილებში:

- ა) სხვა საკაბელო ნაგებობებში შეყვანისას;
- ბ) საკაბელო ყუთების ჰორიზონტალური მონაკვეთების ყოველ 30 მ-ზე, აგრეთვე კაბელების ძირითადი ნაკადების სხვა ყუთებში განშტოებისას;
- გ) საკაბელო ყუთების ვერტიკალური მონაკვეთების ყოველ 20 მ-ზე.

21. საკაბელო ხაზების გადახურვებში გაყვანისას ასეთივე ცეცხლმედეგი შემჭიდროება დამატებით უნდა მოეწყოს გადახურვის ყოველ ნიშნულზე. ლითონის ყუთებში გატარებული საკაბელო ხაზების შემჭიდროების ადგილები ყუთების გარე კედლებზე უნდა აღინიშნოს წითელი ზოლებით. საჭიროების შემთხვევაში უკეთდება განმარტებითი წარწერები.

22. რეკონსტრუქციის ან შეკეთების დროს წვადი პოლიეთილენის იზოლაციის მქონე კაბელების გამოყენება დაუშვებელია.

23. კაბელების ლითონის გარსი და ლითონის ზედაპირი უნდა იყოს დაცული უწყვი ანტიკოროზიული საფარებით.

24. ზეთავსებული კაბელების მკვებავი მოწყობილობების სათავსებში დაუშვებელია იმ წვადი და სხვა მასალების შენახვა, რომლებიც არ ეკუთვნიან მოცემულ მოწყობილობას.

25. გამანაწილებელ მოწყობილობებსა და სხვა სათავსებში საკაბელო არხები და ორმაგი იატაკები უნდა გადაიფაროს ასახდელი უწყვი ფილებით. მართვის ფარების პარკეტის იატაკიან სათავსებში ხის ფარები ქვევიდან უნდა შემოიჭედოს ლითონის ფურცლებით ან სხვა ცეცხლდამცავი მასალით. ასახდელ უწყვი ფილებს და მთლიან ფარებს უნდა ჰქონდეს ხელით სწრაფად ასახდელი მოწყობილობა.

26. რეკონსტრუქციისა და შეკეთებისას საკაბელო ნაგებობებში სატრანზიტო კომუნიკაციისა და სალტესადენების გაყვანა დაუშვებელია.

27. ტრანსფორმატორებისა და რეაქტორების ქვეშ მდებარე ზეთმიმღები მოწყობილობა, ზეთსარიწები (ან სპეციალური დრენაჟები) უნდა იყოს გამართული, ავარიის შემთხვევაში ზეთის დაღვრის და საკაბელო არხებში და სხვა ნაგებობებში მისი მოხვედრის გამორიცხვის მიზნით.

28. ზეთმიმღების გვერდითი შემოღობვის შიგნით ხრემის ყრილი უნდა იყოს სუფთა და არანაკლებ ერთხელ წელიწადში გაირეცხოს. ხრემის ყრილი დაბინძურების (მტვერით, სილით და სხვ.) ან გაზეთიანების შემთხვევაში უნდა გაირეცხოს როგორც წესი გაზაფხულსა და შემოდგომასზე. ხრეში უნდა გამოიგვალოს მასზე ნავთობპროდუქტების 3 მმ-ზე მეტი სისქის მყარი დანალექების, მცენარეების გაჩენის ან გარეცხვის შეუძლებლობის შემთხვევაში.

29. ტრანსფორმატორების და ზეთიანი რეაქტორების ზეთმიმღების შემოსაღობად საკაბელო არხების კედლების გამოყენება დაუშვებელია.

30. მოძრავი სახანძრო ტექნიკის განთავსების ადგილებზე უნდა იყოს მოწყობილი დამიწება და შესაბამისად აღნიშნული. ეს ადგილები უნდა განისაზღვროს ენერგეტიკის ობიექტების სპეციალისტების მიერ სახანძრო დაცვის წარმომადგენლებთან ერთად.

მუხლი 21. პოლიგრაფიული მრეწველობა

1. მაგიდები და კარადები ასოთასაწყობ განყოფილებებში უნდა იყოს დაფარული ფურცლოვანი უქანგავი ან მოთუთიებული ფოლადით ან თერმომედეგი პლასტმასით.

2. მჭიდები, მატრიცები და სოლები უნდა გაიწმინდოს ადვილალეზადი და წვადი სითხეებით იზოლირებულ, შესაბამისი ვენტილაციით მოწყობილ სათავსში. ცალკეულ შემთხვევებში გაწმენდა დასაშვებია უშუალოდ ლინოტიპის განყოფილებაში დადგმულ სპეციალურ უწყვი კარადაში, რომელშიც მოწყობილია სპეციალური გამწოვები.

3. აკრძალულია:

- ა) ჩამოსახმელი მანქანების ლითონმიმწოდებელზე ნამიანი ზოდების ჩამოკიდება;
- ბ) ჩამოსახმელი ქვაბის დატვირთვა ასაწყობი მასალებით, რომლებიც დასვრილია საღებავებით და წვადი ნივთიერებებით;
- გ) წვადი სარეცხი მასალების და ზეთიანი საზეთურების დატოვება ასაწყობ მანქანებზე ან მათთან ახლოს შენახვა;
- დ) წვადი სითხეებით გაყვანილი სპეცტანსაცმლით ჩამოსახმელ აპარატებთან მისვლა და მანქანაზე მუშაობა;
- ე) ანაწყობისა და ფორმების გასარეცხად ბენზინის, ბენზოლის, აცეტონისა და სკიპიდარის გამოყენება.

4. ჰარტსადნობ განყოფილებებში იატაკი უნდა იყოს უწყვი ცეცხლმედეგი მასალების.

5. სამატრიცო მასალების (ვინილასტი, ცვილის მასა, ტყვია) დასველება ბენზინ-კაუჩუკის ხსნარით და საფილტრავი მუყაოს გაყვანილ ბაკელების ლაქით უნდა განხორციელდეს ქვედა და ზედა გამწოვებიან უწყვი კარადაში ან სპეციალურ უწყვი მაგიდებზე, რომლებიც აღჭურვილია გვერდული გამწოვებით.

6. ცვილის მასის გაცხელებისას ტემპერატურა თერმოსტატში არ უნდა აღემატებოდეს 80°C.

7. სამატრიცო მასალის გრაფიტირება უნდა წარმოებდეს სპეციალურ დახურულ აპარატში, ჩართული გამწოვი ვენტილაციის პირობებში.

8. დაუშვებელია წნეხის ან გამაცხელებელი მოწყობილობის ტრალერზე სამატრიცო მასალის დასველება ბენზინ-კაუჩუკის ხსნარით ან გრაფიტირება ღია წესით, აგრეთვე მისი გაშრობა გამთბობი და გამახურებელი ხელსაწყოებით.

9. ფოტოფირების მონაჭრები უნდა შეგროვდეს მჭიდროდ ჩამკეტ ხუფებიან უწყვი ყუთებში.

10. გასამყვანებელი მოწყობილობების მქონე ფოტოლაზორატორებსა და სათავსებში სამუშაოს დამთავრებისთანავე გამყვანებელი ფირები უნდა ჩაბარდეს არქივს შესანახად. დასაშვებია 10 კგ-დე რაოდენობის ფირის შენახვა უწყვი კარადაში.

11. სამონტაჟო და რეტუშირების პულტის მაგიდის ფარები უნდა იქნას ორმაგად შემინული. დაუშვებელია მუშაობა სამონტაჟო მაგიდებზე გატეხილი მქრქალი მინით და მისი შეცვლა ქაღალდის განმზღველიანი ჩვეულებრივი გამჭვირვალე მინით.

მუხლი 22. ასანთის წარმოება

1. ასანთის წარმოებისას ღერებისა და კოლოფების საშრობი აპარატები უნდა იყოს აღჭურვილი შრობის ტემპერატურული რეჟიმის საკონტროლო ხელსაწყოებით. შრობის ტემპერატურის 110°C-ზე ზევით გადამეტება დაუშვებელია.

2. ღერების სახეხი აპარატები უნდა იყოს აღჭურვილი მტვერმოსაცილებელი სისტემით.

3. მოწყობილობა და მექანიზმები, აგრეთვე სათავსების იატაკი და კედლები აუცილებელად უნდა გასუფთავდეს და გაიწმინდოს წყლით მათზე ამთები მასის და პარაფინის მოხვედრის შემთხვევაში.

4. ავტომატური საამქროს იატაკი უნდა დასუფთავდეს და გაირეცხოს არანაკლებ ორჯერ ცვლაში. საკანალიზაციო ჭას უნდა იქნას სალექარი, რომელიც აუცილებელია გაიწმინდოს საამქროს იატაკის ყოველი გასუფთავებისა და გარეცხვის შემდეგ.

5. ავტომატში მოთავსებული ამთები მასის მარაგი არ უნდა აღემატებოდეს ერთი ჩასხმისთვის საჭირო რაოდენობას.

6. ჩასაწობ გობში ასანთის ღერებიდან ჩამოცვენილი მასა უნდა გასუფთავდეს ფერადი ლითონის ზადისებრი ნიჩბით.



7. ასანთის ავტომატის გაჩერება დასვენების დღეებში, პროფილაქტიკურ რემონტზე ან ავარიის აღმოფხვრისთვის დასაშვებია მხოლოდ მასში ასანთის უქონლობისას. ავტომატის ხანმოკლე გაჩერებისას ჩასაწობი ფილა უნდა იყოს ჩაშვებული ჩასაწობ გომში.

8. დაუშვებელია ამნთები მასის ტრანსპორტირება მზა პროდუქციის შენახვის ადგილების და წაცხების განყოფილებების გავლით, აგრეთვე საშრობი მოწყობილობების ახლოს, ხოლო ფოსფორის მასისა – საავტომატო საამქროსა და გაფანტული ასანთის ღერების სათავსებში.

9. საფეკვაი განყოფილების იატაკი აუცილებელია მუდმივად დაინამოს. ამნთები და ფოსფორის მასის დამამზადებელ საამქროში ცვლის მოთხოვნილებაზე ზევით მასალათა მარაგის შენახვა დაუშვებელია. მარაგის საცავები უნდა იყოს დაკეტილი.

10. მასის დამზადებისათვის და შენახვისათვის 50 კგ-ზე მეტი ტევადობის ჭურჭლის გამოყენება დაუშვებელია. ჭურჭელი უნდა იყოს დამზადებული ფერადი ლითონისაგან და ჰქონდეს სახელური მისი გადაადგილებისათვის.

11. დაბნეული ბერტოლეს მარილი დაუყოვნებლივ უნდა მოთავსდეს სპეციალურ წყლიან ჭურჭელში.

12. ბურთულებიან წისქვილში ბერტოლეს მარილისა და გოგირდის მშრალი სახით დაფეკვა დაუშვებელია.

13. ფოსფორისა და ამნთები მასის ასანთის ღერებით, ასანთებით და სხვადასხვა ნარჩენებით დანაგვიანება დაუშვებელია.

14. ასანთის მასებისათვის ქიმიკატების ნაწილ-ნაწილ აწონვა უნდა განხორციელდეს გამწოვი ვენტილაციით აღჭურვილ სპეციალურ კარადებში.

15. ასანთის მასის დამამზადებელ და საავტომატო საამქროს მომუშავეთა სპეცტანსაცმელი უნდა იყოს გაჟღენთილი ცეცხლდამცავი შედგენილობით. გარეცხვის შემდეგ ცეცხლდამცავი შედგენილობით გაუჟღენთავი სპეცტანსაცმლის გამოყენება დაუშვებელია.

16. გაფანტული ასანთის ღერების შემკეტებ სათავსებში და თითოეულ ავტომატთან კასეტებში ჩაწობილი ასანთის მარაგი არ უნდა აღემატებოდეს 10 პატარა ან 5 დიდ კასეტას.

17. ასანთის მარაგი კოლოფის გამკვებ მანქანებთან არ უნდა აღემატებოდეს 3 პატარა კასეტას.

18. ასანთებიანი კასეტები უნდა ინახებოდეს თაროებზე და დაეწყოს არა უმეტეს ორ რიგად სიმაღლეში, მათ შორის მოთავსებული ფერადი ლითონის შუასადებებით.

19. კასეტებით შევსებულ თაროებს შორის მანძილი უნდა იყოს არანაკლებ 2 მ.

20. საამქროში 10 პატარაზე ან 5 დიდზე მეტი ასანთებიანი კასეტების ერთ ადგილას შენახვა არ დაიშვება.

21. მზა ასანთის მარაგი, კოლოფის შემღებავი და საფუთავი მანქანების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს 20 ყუთს ერთ მანქანაზე.

22. მზა პროდუქციის რაოდენობა შუალედური შენახვის უბანზე არ უნდა აღემატებოდეს ცვლის განმავლობაში ერთი ავტომატის გამომუშავებას.

23. ასანთის მასის ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირებისა და განადგურებისთვის წარმოებაში უნდა იყოს შემუშავებული და დამტკიცებული შესაბამისი ინსტრუქცია.

24. ასანთის მასის ნარჩენები და ხის ტარა უნდა დაიწყოს წარმოების ტერიტორიის გარეთ სპეციალურად მოწყობილ მოედნებზე.

25. ასანთის მასის ნარჩენებისა და ხის ტარის დასაწყავი მოედნები უნდა იყოს შემოღობილი და ჰქონდეს მყარი საფარი.

26. დაწვის ადგილზე უნდა იყოს მიტანილი წყალში განზავებული ასანთის მასის ნარჩენები. ნარჩენების დაწვა აუცილებლად უნდა მოხდეს მიტანისთანავე.

თავი IV

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ობიექტები

მუხლი 23. ძირითადი წარმოების ობიექტები

1. მეცხოველეობის და მეფრინველეობის ფერმების შენობებში საკვების დასამზადებლად (ვაკუუმ-ტუმბოებისა და თბოგენერატორების გამოყენებით, ცეცხლზე შეთბობით) განკუთვნილი სათავსების, აგრეთვე მიშენებული ან ჩაშენებული უბეში საკვების მარაგის სათავსების კედლები და გადახურვები უნდა იყოს ხანძარსაწინააღმდეგო. აღნიშნულ სათავსებს გამოსასვლელები უნდა ჰქონდეთ უშუალოდ გარეთ.

2. ცხოველებისა და ფრინველისათვის განკუთვნილ სათავსებში დაუშვებელია სახელოსნოების, საწყოების, აგრეთვე ავტოტრანსპორტის, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სადგომის მოწყობა და სხვა რაიმე სამუშაოს წარმოება, რომელიც არ არის დაკავშირებული ფერმების მომსახურებასთან. ამ სათავსებში დაუშვებელია ტრაქტორების, ავტომანქანების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესვლა ნაპერწკალსაქრობი მოწყობილობის გარეშე.

3. სარძევე-სასაქონლო ფერმებში (კომპლექსებში) 20 და მეტი რაოდენობის პირუტყვის არსებობისას საჭიროა ჯგუფური დაბმის ხერხის გამოყენება.

4. ფერმების სხვენის სათავსებში უბეში საკვების შენახვის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს:

- ა) უწვი მასალის სახურავის მოწყობა;
 - ბ) სხვენის ხის გადახურვის და წვადი მათბუნებლის ცეცხლისაგან დაცვა სხვენის სათავსების მხრიდან 3 სმ სისქის თიხის საგლესით (ან ტოლფასი ცეცხლდამცავით) ან უწვი მათბუნებელი;
 - გ) სხვენში ელექტროგაყვანილობის დაცვა მექანიკური დაზიანებებისაგან;
 - დ) კვამლსადენების შემოღობვა პერიმეტრის გასწვრივ 1 მ-ის დაშორებით.
5. ელექტრობრუნდერების მოწყობის და ექსპლუატაციისას უნდა იყოს დაცული შემდეგი მოთხოვნები:
- ა) მანძილი თბოგამაცხელებელი ელემენტებიდან საგებლამდე და წვად საგნებამდე უნდა იყოს ვერტიკალურად არანაკლებ 80 სმ და ჰორიზონტალურად – არანაკლებ 25 სმ;
 - ბ) გამაცხელებელი ელემენტები უნდა იყოს ქარხნული წარმოების და მოწყობილი ისე, რომ გამოირიცხოს გავარვარებული ნაწილაკების ამოცვენა. ღია გამაცხელებელი ელემენტების გამოყენება დაუშვებელია;
 - გ) ელექტროენერგია უზრუნველყოფა უნდა ხორციელდებოდეს დამოუკიდებელი ხაზებით გამანაწილებელი ფარიდან. თითოეულ ბრუნდერს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი ამომრთველი;
 - დ) გამანაწილებელ ფარს უნდა ჰქონდეს გამთიშველი მთელი ელექტროქსელის გაუდენურებისთვის, აგრეთვე მოკლე ჩართვისაგან, გადატვირთვისაგან და ა.შ. დამცავი მოწყობილობები;
 - ე) ბრუნდერის ქვეშ ტემპერატურული რეჟიმის შენარჩუნება უნდა ხდებოდეს ავტომატურად.

6. მოძრავი ულტრაიისფერი დანადგარები და მათი ელექტრომოწყობილობა უნდა იყოს დაცული წვადი მასალებისაგან არანაკლებ 1 მ-ით.



7. ელექტრობრუნდებთან და ულტრაიისფერ დანადგარებთან სადენები უნდა იყოს გაყვანილი იატაკის დონიდან არანაკლებ 2,5 მ-ზე და დაცვითი წვადი კონსტრუქციებიდან 10 სმ-ით.

8. საკრეჭი აგრეგატის ბენზინის ძრავა აუცილებლად უნდა იყოს დადგმული ბალახისა და ნაგვისაგან გასუფთავებულ მოედანზე შერობებიდან 15 მ-ის დაშორებით. საწვავ-საპოხი მარაგი უნდა ინახებოდეს დახურულ ლითონის ტარაში საკრეჭი პუნქტიდან და შერობებიდან 20 მ-ის დაშორებით.

9. საკრეჭი პუნქტში დაუშვებელია ცვლის გამომუშავებაზე მეტი რაოდენობის მატყლის დაგროვება და მატყლიანი ბარდანებით გამოსავლელების ჩახერგვა.

10. მეცხოველეობის და მეფრინველეობის სათავსები, მათში საქონლისა და ფრინველის ყოფნისას, ღამის საათებში უნდა იყოს დარაჯების და მესაქონლეების მეთვალყურეობის ქვეშ.

11. ამიაკის გვარჯილა უნდა ინახებოდეს დამოუკიდებელ, I და II ხარისხის ცეცხლმედეგობის, უსხვენო, უწყ იატაკიან, ერთსართულიან შენობებში. გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია გვარჯილის შენახვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მინერალური სასუქის (თუ საწყობის შენობა I და II ხარისხის ცეცხლმედეგობისა) საერთო საწყობის ან სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში. ძლიერმოქმედი დამჟანგველები (მაგნიუმის და კალციუმის ქლორატები, წყალბადის ზეჟანგი და ა.შ.) უნდა იყოს შენახული I, II და III ხარისხის ცეცხლმედეგობის შენობების განცალკევებულ ნაკვეთურებში.

12. საველე პირობებში ნავთობპროდუქტების შენახვა და ჩასხმა უნდა ხორციელდებოდეს ხმელი ბალახისაგან, წვადი ნაგვისაგან გასუფთავებულ სპეციალურ მოედნებზე, პერიმეტრზე არანაკლებ 4 მ სიგანის მოხსული ზოლით ან სახნავებზე – კალოდან, თივისა და ჩალის ზვინებიდან, ხორბლის მასივებიდან 100 მ და ნაგებობებიდან არანაკლებ 50 მ-ის დაშორებით.

მუხლი 24. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება

1. მუშაობის დაწყებამდე მარცვლასწმენდი და სალეწი მანქანები უნდა იყოს დარეგულირებული საჭაერო რეჟიმზე სასპირაციო არხებში, რაც უზრუნველყოფს მარცვლის ხარისხიან აეროდინამიკურ გასუფთავებას და გამორიცხავს მტვერის გამოყოფას სათავსებში. ფეთქებაგანმუხტველები უნდა იყოს გამართული.

2. ციცხვებიანი ელევატორები 50 ტ/სთ მეტი წარმადობით უნდა იყოს აღჭურვილი ავტომატური სამუხრუჭე მოწყობილობებით, რომლებიც გაჩერების დროს დაიცავს ლენტს უკუსვლისაგან. დაუშვებელია ხის და სხვა წვადი მასალების გამოყენება ციცხვებიანი ელევატორების და ცალკეული ნაწილების მოსაწყობად.

3. გაუწმენდავი მარცვლებისათვის ხორბლის კონვეიერი უნდა იყოს მოწყობილი მსხვილი მინარევების დამჭერი გისოსებითა და დამცველი სარკველებით, რომლებიც იხსნება დაგროვილი პროდუქტის სიმძიმით. გისოსების გაწმენდის პერიოდულობას ადგენს ობიექტის ხელმძღვანელი. ყველა სოლვედური გადამცემის ღვედების დაჭიმულობა უნდა იყოს თანაბარი. დაუშვებელია მუშაობა სოლისებრი ღვედების არასრული კომპლექტით ან ისეთი პროფილიანი ღვედების გამოყენება, რომლებიც არ შეესაბამება შვივის დარს. სოლისებრი ღვედების შეცვლა უნდა განხორციელდეს შესაბამისი სრული კომპლექტით.

მუხლი 25. მარცვლეულის აღება და საკვების დამზადება

1. მოსავლის აღებამდე მასში მონაწილე ყველა პირმა უნდა გაიაროს ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი, ხოლო მოსავლის ამღები აგრეგატები და ავტომობილები უნდა იყოს აღჭურვილი ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით (ყველა ტიპის კომბაინები და ტრაქტორები – ორი ცეცხლსაქრობით, ორი ხიშტა ნიჩაბით და ორი ცოცხით), გამართული ნაპერწკალსაქრობებით და კვების, ანთების და საზეითი სისტემებით.

2. თავთავიანი კულტურების დათესვა რკინიგზისა და გზატკეცილების გასხვისების ზოლებში დაუშვებელია. ამ ზოლებში მოთიბული ბალახის ბულულები თავთავიანი კულტურების მასივებიდან დაცილებული უნდა იყოს არანაკლებ 30 მ-ით.

3. დამწიფებამდე, პურის ყანები უნდა იყოს მოთიბული და მოხსული არანაკლებ 4 მ სიგანის ზოლით ტყისა და ტორფის მასივების, საველე ზოლის, საავტომობილო და სარკინიგზო გზების მომიჯნავე ადგილებში.

4. მარცვლეულის აღება უნდა დაიწყოს პურის მასივების არა უმეტეს 50 ჰა ფართობის ნაკვეთებზე დასაწყისით. ნაკვეთებს შორის უნდა იყოს არანაკლებ 8 მ-ის ლესურები. ლესურებიდან მოთიბული ხორბალი უნდა იყოს დაუყოვნებლივ აღებული. ლესურებში უნდა იყოს არანაკლებ 4 მ სიგანის ხნული.

- 5. დროებითი საველე ბანაკები უნდა იყოს დაშორებული პურის მასივებიდან, კალოებიდან და ა.შ არანაკლებ 100 მ-ით.
- 6. მოსავლის აღების დროს 25 ჰა-ზე მეტი ფართობის პურის მასივებთან უნდა იდგეს ტრაქტორი და გუთანის ხანძრის შემთხვევისათვის.
- 7. ნამკალის, ნამწვერალი ნარჩენების დაწვა და კოცონების დანთება მინდორში დაუშვებელია.
- 8. მარცვლეულის კალოები უნდა განლაგდეს შენობა-ნაგებობებიდან არანაკლებ 50 მ, ხოლო პურის მასივებიდან - 100 მ-ის დაშორებით.
- 9. მარცვლეულის აღების და საკვების დამზადების პერიოდში აკრძალულია:
 - ა) ტრაქტორების, თვითმავალი მარის და ავტომობილების მუშაობა კაპოტის გარეშე ან ღია კაპოტით;
 - ბ) მრავების რადიატორებში მტვერის ამოსაწვავად სარჩილი ლამპის გამოყენება;
 - გ) ღამის საათებში ავტომანქანების გამართვა საველე პირობებში.
- 10. მოსავლის ამღები მანქანების ძრავების რადიატორები, ბიტერების, ჩალის სატენების, ტრანსპორტიორების და ამკრებების ლილვები, კონვეიერი და სხვა კვანძები დროულად უნდა გასუფთავდეს მტვერის, ჩალისა და მარცვლისაგან.

მუხლი 26. ვიტამინიანი ბალახის ფქვილის დამზადება და შენახვა

1. ბალახის ფქვილის დამამზადებელი აგრეგატები უნდა იყოს მოწყობილი ფარდულში ან სათავსებში. ფარდულების და სათავსების წვადი კონსტრუქციები უნდა დამუშავდეს ცეცხლდამცავი შედგენილობებით.

2. ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები ბალახის ფქვილის დამამზადებელი პუნქტიდან შენობა-ნაგებობებამდე და საწვავ-საპოხი მასალების ცისტერნებამდე უნდა იყოს არანაკლებ 50 მ, ხოლო უხეში საკვების ღია საწყობებიდან – არანაკლებ 150 მ.

3. სათავსში, სადაც მოთავსებულია ბალახის ფქვილის დამამზადებელი აგრეგატი, დაუშვებელია საწვავის შენახვა. საწვავის მიღებს უნდა ჰქონდეთ არანაკლებ ორი ვენტილი (ერთი – აგრეგატთან, მეორე – ავზთან).

4. საშრობ დოლში ცეცხლის გაჩენის შემთხვევაში, ხანძრამდე დამზადებული არანაკლებ 150 კგ და ხანძრის ლიკვიდაციის შემთხვევაში – 200 კგ პროდუქტი უნდა იყოს გატანილი უსაფრთხო ადგილზე და დაწესდეს მეთვალყურეობა 48 სთ-ის განმავლობაში.

5. დამზადებული და ტომრებში ჩაყრილი ფქვილი აუცილებლად უნდა დაყოფილდეს ფარდულში არანაკლებ 48 სთ-ის განმავლობაში ტემპერატურის დასაწევად.

6. ფქვილი უნდა ინახებოდეს ცალკე საწყობში, ან ხანძარსაწინააღმდეგო კედლებითა და გადახურვებით გამოყოფილ ნაკვეთურებში, რომლებსაც გააჩნიათ საიმედო ვენტილაცია, სხვა ნივთიერებებისა და მასალებისგან განცალკევებით. საწყობის დანესტიანება და ფქვილის ყრილად შენახვა დაუშვებელია.

7. ფქვილით სავსე ტომრები უნდა დაეწყოს არა უმეტეს 2 მ სიმაღლის შტაბელზე, ორ-ორი ტომარა რიგში. რიგებს შორის უნდა იყოს არანაკლებ 1 მ, ხოლო კედლების გასწვრივ – 0,8 მ სივანის გასასვლელები.

8. საწყობში პერიოდულად უნდა შემოწმდეს ფქვილის ტემპერატურა თვითანთების თავიდან აცილების მიზნით.

თავი V ტრანსპორტის ობიექტები

მუხლი 27. საავტომობილო ტრანსპორტი

1. 25 ერთეულზე მეტი რაოდენობის სატრანსპორტო საშუალებების სადგომი სათავსებისთვის უნდა იყოს შემუშავებული სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების გეგმა, ხანძრის შემთხვევაში მათი ევაკუაციის რეგისტრის და წესის აღწერით.

2. სატრანსპორტო საშუალებათა სადგომი (ინდივიდუალური გარდა) სათავსები და ღია მოედნები უნდა იყოს აღჭურვილი საბუქსირო გვარლებითა და შტანგებით, 10 ერთეულზე ერთი გვარლის (შტანგის) გაანგარიშებით.

3. ტრანსპორტის სადგომ სათავსებში, ფარდულეებში და ღია მოედნებზე აკრძალულია:

ა) სატრანსპორტო საშუალებების ნორმაზე მეტი რაოდენობით დაყენება, მათი განლაგების გეგმის დარღვევა, ავტომობილებს შორის მანძილის შემცირება;

ბ) გამოსასვლელი ჭიშკრებისა და გასასვლელების ჩახერგვა;

გ) სამჭედლო, თერმული, სამემდლუბლო, სამღებრო და ხის დასამუშავებელი სამუშაოების წარმოება, აგრეთვე დეტალების გარეცხვა ადვილალებადი და წვადი სითხეებით;

დ) სატრანსპორტო საშუალებების დგომა საწვავის ავზების ღია ყელით, აგრეთვე საწვავისა და ზეთის ჟონვის შემთხვევაში;

ე) სატრანსპორტო საშუალებების საწვავით გამართვა და მისი ჩამოსხმა;

ვ) საწვავის ტარის, საწვავისა და ზეთის შენახვა (გარდა ინდივიდუალური ტრანსპორტის გარაჟებისა);

ზ) აკუმულატორების დამუხტვა უშუალოდ სატრანსპორტო საშუალებებზე;

თ) ძრავების შეთობა ღია ცეცხლით (კოკონი, ჩირაღდანი, სარჩილი ლამპა), გასანათებლად ღია ცეცხლის გამოყენება;

ი) საერთო სადგომებზე ადვილალებადი და წვადი სითხეების, აგრეთვე წვადი აირების გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებების დაყენება.

4. ინდივიდუალური სარგებლობის გარაჟებში ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებთან ერთად აგრეთვე დაუშვებელია ავეჯის, წვადი მასალებისაგან დამზადებული საოჯახო ნივთების, 20 ლ-ზე მეტი საწვავისა და 5 ლ-ზე მეტი ზეთის მარაგის შენახვა.

მუხლი 28. მეტროპოლიტენი

1. თითოეულ სადგურზე უნდა იყოს:

ა) ხანძრის ჩაქრობის ოპერატიული გეგმა;

ბ) ინსტრუქცია სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ;

გ) მგზავრთა ევაკუაციის გეგმა;

დ) ინსტრუქცია მეტროპოლიტენის მუშაკთა მოქმედების წესის შესახებ, დაკავშირების ან ხანძრის შემთხვევაში გვირაბის სავენტილაციო შახტების მუშაობისას.

2. აღნიშნული დოკუმენტები უნდა ინახებოდეს სადგურის მორიგის სათავსოში, ხოლო ხანძრის ჩაქრობის ოპერატიული გეგმის მეორე ეგზემპლარი – სალაროში უფროს მოლარესთან და გაიცეს ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელის მოთხოვნისთანავე.

3. მოქმედი გვირაბები და სადგურები უნდა გაიმიჯნოს მშენებარე და რეკონსტრუირებადი ობიექტებისაგან უწყვი კვამლშეუღწევი ტიხრებით, მშენებლობის და სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყებამდე. მეტროპოლიტენის მოქმედი ხაზების მომიჯნავე ადგილებში სამუშაოების წარმოებისას უნდა მოეწყოს სატელეფონო კავშირი მორიგე პერსონალთან.

4. საევაკუაციო გზების (დერეფნები, კიბის უჯრედები, ვესტიბიულები, ჰოლები და ა.შ.) კედლებისა და ჭერის მოსაპირკეთებლად, აგრეთვე მიწისქვეშა სათავსებსა და სადგურების ვესტიბიულებში რეკლამის მოწყობისას დასაშვებია მხოლოდ უწყვი მასალების გამოყენება.

5. მეტროპოლიტენის მიწისქვეშა სათავსებში ტანსაცმლის კარადები უნდა იყოს უწყვი მასალის.

6. სადგურის მიწისქვეშა ნაგებობებში, სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებულ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, დასაშვებია არა უმეტეს ორი აირბალონის შენახვა, თითოეულის ტევადობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ლ.

7. მეტროპოლიტენის მიწისქვეშა ნაგებობებში ღია ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოები ტარდება მხოლოდ ღამის საათებში, ელექტროქსელში ძაბვის მოხსნის შემდეგ, გარდა ავარიული ხასიათის სამუშაოებისა, რომლებიც სრულდება სამსახურთა ხელმძღვანელების განკარგულებით.

8. მოქმედ გვირაბებში აირსამემდლუბლო და ელექტროსამემდლუბლო სამუშაოების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ მოძრავ ტრანსპორტზე დადგმული სპეციალური აგრეგატებით.

9. საწვავ-საპოხი მასალების შემოხიდავა გვირაბებში უნდა განხორციელდეს სარიგებელი ჭურჭელით მოწყობილი სპეციალური მოტორელსური ტრანსპორტით, ღამის საათებში (მეტროპოლიტენში მგზავრთა არყოფნისას).

10. გვირაბებში საწვავ-საპოხი მასალების გადასაზიდად განკუთვნილი ტრანსპორტი უნდა იყოს აღჭურვილი ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით.

11. სადგურების სათავსებსა და საკაბელო კოლექტორებში ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის შესამოწმებლად, სადგურების კაბინებში საავარიო დაფებზე უნდა ინახებოდეს სათავსების ნუმერაციის შესაბამისად მარკირებული გასაღებები. ამ სათავსების უნდა განხორციელდეს სადგურის მორიგის ან სამსახურის წარმომადგენელის თანდასწრებით.

12. მიწისქვეშა განლაგებულ ტექნიკურ კაბინეტებში სასწავლო კლასების ტევადობა არ უნდა აღემატებოდეს 30 კაცს (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/70018>)

13. მეტროპოლიტენის მიწისქვეშა სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას უნდა იყოს გამოყენებული ლითონის ხარაჩოები.



14. მოქმედ გვირაბებში აკრძალულია სამუშაოების ჩატარება აირგენერატორებით, აგრეთვე ბიტუმის შეთბობა.

15. დაუშვებელია ესკალატორებისა და სამანქანო დარბაზების სათავსებში, დემონტაჟის კამერებში სათადარიგო ნაწილების, საპოხი და სხვა მასალების დაწყობა.

16. გვირაბებში საკაბელო ხაზების შედგენა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დამის საათებში, სამსახურების ხელმძღვანელების ნებართვით და სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

17. ელექტრომატარებლების ვაგონები უნდა იყოს აღჭურვილი „მგზავრი-მემანქანე“ კავშირის გამართული მოწყობილობით და ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით.

18. მემანქანეთა კაბინებში დაყენებული ელექტროღუმელები უნდა იყოს კარგად დამაგრებული და გააჩნდეს დამოუკიდებელი დაცვა. ღუმელებზე და მათთან ახლოს დაუშვებელია წვადი მასალების მოთავსება.

19. სავაჭრო ჯიხურების დადგმა დასაშვებია მხოლოდ სადგურების მიწისზედა ვესტიბიულებსა და მიწისქვეშა გადასასვლელებში. ჯიხურები უნდა იყოს უწყვი მასალების და განლაგებული ისეთი გაანგარიშებით, რომ არ შეფერხდეს მგზავრების მოძრაობა.

20. ჯიხურების გასათბობად უნდა იყოს გამოყენებული ზეთის ელექტრორადიატორები ან გამთბობი ელექტროპანელები.

21. ჯიხურები უნდა იყოს აღჭურვილი ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებითა და სახანძრო-დამცავი სიგნალიზაციით, სიგნალის გამოყვანით სათავსში, სადაც დღე-ღამის განმავლობაში იმყოფება მორიგე პერსონალი.

22. აკრძალულია:

ა) ადვილალუბადი, წვადი სითხეებით, წვადი აირებით, აეროზოლური შეფუთვის მქონე საქონლით, პიროტექნიკური ნაწარმითა და სხვა ხანძარსაშიში მასალებით ვაჭრობა და მათი გამოყენება;

ბ) სადგურების სათავსებში საქონლის, შესაფუთი მასალის, სავაჭრო ინვენტარის და ა.შ. შენახვა.

მუხლი 29. რკინიგზის ტრანსპორტი

1. ხელბარგის შესანახ საკნებსა და საბარგო განყოფილებებში სტელაჟები უნდა იყოს უწყვი მასალების. დაუშვებელია ანტრესოლების მოწყობა.

2. საორთქმავლო დეპოებსა და სათადარიგო ლოკომოტივების (ორთქმავლების) ბაზებში აკრძალულია:

ა) ორთქმავლების გაჩერება დანთებული საცეცხლეებით, აგრეთვე საცეცხლეების დანთება გამწოვი ქოლგების ფარგლებს გარეთ;

ბ) საცეცხლეებისა და სანაცრეების გაწმენდა დეპოს სადგომებსა და იმ ადგილებში, რომლებიც ამ მიზნისთვის არ არის განკუთვნილი;

გ) ადვილალუბადი და წვადი სითხეებით, საშიში და სხვა წვადი მასალებით დატვირთული მოძრავი შემადგენლობის გაჩერება ორთქმავლის საცეცხლეს გასაწმენდად დადგენილი ადგილიდან 50 მ-ზე ახლოს;

დ) დეპოს სადგომებში ადვილალუბადი და წვადი სითხეებიანი ცისტერნების, აგრეთვე გამოსაცარიელებელი ცისტერნების გაჩერება მათი წინასწარი გაორთქვლის გარეშე.

3. წიდის გამწმენდი არხები უნდა იყოს გაყვანილი წვადი მასალების შესანახი საწყობებიდან და IV, IVა და V ხარისხის ცეცხლმდეგობის შენობებიდან არანაკლებ 50 მ-ის დაშორებით. საცეცხლეების გაწმენდის ადგილებში წიდას და ნაძწვს უნდა დაესხას წყალი და რეგულარულად იქნეს გატანილი.

4. სათადარიგო ლოკომოტივების (ორთქმავლების) ბაზები უნდა განლაგდეს მთავარი ლიანდაგებიდან მოშორებით და ჰქონდეთ საიმედო შემოღობვა და გარე განათება.

5. სარეცხ-საორთქლებელი სადგურებისთვის (პუნქტებისთვის) გამოყოფილი მოედნები უნდა პასუხობდეს სადგურების ტიპური ტექნოლოგიური პროცესის მოთხოვნებს და განლაგებული იყოს რკინიგზის ლიანდაგებიდან, სადგურის და დეპოს ახლომდებარე ლიანდაგებიდან არანაკლებ 30 მ-ის, ხოლო რკინიგზის შენობა-ნაგებობებიდან – არანაკლებ 50 მ-ის დაშორებით.

6. ტერიტორიის უზნებს, სადაც ხორციელდება ცისტერნების დამუშავება, უნდა ჰქონდეს მყარი საფარი, რათა გამოირიცხოს ნავთობპროდუქტების გრუნტში შეღწევა.

7. ცისტერნების მიწოდება მათი დამუშავების ადგილებამდე წარმოებს მხოლოდ ნაპერწკალსაქრობებით მოწყობილი თბომავლებით (მრავამავლებით), ცისტერნებსა და თბომავალს შორის უნდა ჩაებას არანაკლებ ორი ოთხღერძიანი ვაგონი. დასუფთავების ადგილებთან თბომავლების მიახლოება 20 მ-ზე ახლოს დაუშვებელია, რაც უნდა იყოს აღნიშნული შემდგომი მოძრაობის ამკრძალავი სიგნალით.

8. სარეცხ-საორთქლებელ სადგურებში (პუნქტებში) დასამუშავებლად მიწოდებული ცისტერნების ჩამოსასხმელი ხელსაწყოები, ხუფებისა და ჩამტვირთავი ლიუკების სახურავები უნდა იყოს დახურული. დამუშავებული ცისტერნების ჩამკეტი არმატურა უნდა იყოს გამართული.

9. ლიანდაგებზე, სადაც ხდება ცისტერნების გამართვა, უნდა იყოს ნავთობპროდუქტების ნარჩენების დამჭერი ღარები და სხვა მოწყობილობები. სალექარებზე და მილსადენებზე ლიუკები და თანაორმოები უნდა იყოს მუდმივად დახურული სახურავებით. ცისტერნების გამართვისას უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ აკუმულატორული ფარნები და ნაპერწკალ-უსაფრთხო ხელსაწყოები.

10. სტატიკური ელექტრობის ასარიდებლად რეზერვუარები, მილსადენები, ესტაკადები, ჩამოსხმისთვის გამზადებული ცისტერნები და სათანადო ლიანდაგები უნდა იყოს უზრუნველყოფილი საიმედო დამიწებით.

11. ლითონის გადასატანი და მოძრავი კიბეები უნდა იყოს მოწყობილი სპილენძის კაუჩუკებითა და პირაპირების ქვეშ რეზინის ბალიშებით.

12. ცისტერნების და ქვაბების შიგნით განათება დასაშვებია მხოლოდ აკუმულატორული ფარნით, რომლის ანთება და ჩაქრობა უნდა ხდებოდეს ცისტერნებს გარეთ.

13. ესტაკადები და მოედნები უნდა გასუფთავდეს ნავთობპროდუქტების ნარჩენებისაგან და გაირეცხოს ცხელი წყლით არანაკლებ ერთხელ ცვლაში.

14. სარეცხ-საორთქლებელი სადგურების (პუნქტების) ტერიტორიაზე აკრძალულია:

ა) ლიანდაგების და შენობა-ნაგებობების გადაკვეთა საპარო ელექტროხაზებით;

ბ) ცისტერნის და ქვაბის შიგნით სამუშაოების ჩატარებისას ფოლადის ფირფიტებიანი ან ლურსმნებიანი ფეხსაცმლით სარგებლობა;

გ) ადვილალუბადი და წვადი სითხეების ნარჩენების გადაღვრა წყალთან და კონდენსატთან ერთად საერთო საკანალიზაციო ქსელში, ღია თხრილებში, კიუვეტებში, ფერდობის ქვეშ და ა.შ.;

დ) ცისტერნაში ჩასასვლელად გადასატანი ფოლადის კიბეების, აგრეთვე ფოლადით გადაკრული ხის კიბეების გამოყენება;

ე) საწმენდი მასალების დატოვება ცისტერნების შიგნით და გარე ნაწილებზე;

ვ) ლოკომოტივების შესვლა გაწმენდის დეპოებში და ესტაკადების ქვეშ.

15. რკინიგზის სარინი ზოლი უნდა იყოს გაწმენდილი ჩინჩხვარის, ნაფოტებისა და ბუჩქნარისგან, ძველი შპალებისა და სხვა წვადი ნაკვსიგან.



16. ლიანდაგებზე დადგრილი ადვილაალებადი და წვადი სითხეები უნდა დაიფაროს სილით, მიწით და გატანილ იქნეს სარინი ზოლის გარეთ.

17. გადასარბენებზე, სადგურებსა და სამწყობო ბაზებში შპალები და ძელები უნდა ინახებოდეს შტაბელებად. შტაბელების განსათავსებელი მოედანი და მიმდებარე ტერიტორია (არანაკლებ 3 მ-ზე) უნდა იყოს გასუფთავებული მშრალი ბალახის და სხვა წვადი მასალისგან, შემობარული ან შემოხნული.

18. შპალებისა და ძელების შტაბელები შეიძლება დალაგდეს ლიანდაგების პარალელურად არანაკლებ 30 მ-ის დაშორებით შენობა-ნაგებობებიდან, 10 მ – მატარებლების მოძრაობის გზებიდან, 6 მ – სხვა გზებიდან და ელექტროგადამცემი საყრდენის არანაკლებ ერთნახევარი სიმაღლის მანძილზე ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზების ღერძიდან. შპალების შტაბელებს შორის მანძილები უნდა იყოს არანაკლებ 1 მ, ხოლო შტაბელების ყოველ წვეილს შორის – არანაკლებ 20 მ-დან.

19. შპალებისა და ძელების ხანგრძლივად ან 10 000 მ³ მეტი მოცულობით საწყობებში შენახვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხე-ტყის მასალათა საწყობების დაპროექტების ნორმების ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები.

20. დაუშვებელია თივის, ჩაღის და შეშის დაწყოება ხიდებიდან, სალიანდაგო ნაგებობებიდან და მატარებლების მოძრაობის გზებიდან 50 მ-ზე ახლოს, აგრეთვე ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზების სადენების ქვეშ.

21. სარინ ზოლში დაუშვებელია კოცონების დანთება და ფიჩხების, ნაფოტების დაწვა, აგრეთვე ზეხმელი ხეების და ბუჩქნარის დატოვება.

22. ხიდებს ტყის მასივებში უნდა ჰქონდეს გარს შემოვლებული არანაკლებ 1,4 მ-ის სიგანის მინერალიზებული ზოლი სარინი ზოლის გარე პერიმეტრზე. ხიდების ქვეშ მიწის ნაკვეთები 50 მ-ის რადიუსში უნდა იყოს გასუფთავებული ხმელი ბალახისგან, ბუჩქნარისგან, ჩინჩხვარისგან, წვადი ნაგვისგან და ა.შ.

23. რკინიგზის ლიანდაგების ზევით განლაგებულ ხის გზაგამტარებს ქვევიდან უნდა გადაეკრას საბურთულე ფოლადი არანაკლები 4 მ-ის სიგანეზე, ორივე მხრიდან 30 სმ ჩამოშვებული ნაპირებით.

24. ყველა ხიდსა და გზაგამტარზე აკრძალულია:

- ა) მათ ქვეშ ან ახლოს მასალათა საწყობების, გემების, ტივების, ბარჯებისა და ნავეების სადგომების მოწყობა;
- ბ) ნავთის ფარნებისა და ბენზომრავიანი აგრეგატების გამართვა;
- გ) ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული მალების და სხვა კონსტრუქციების გაუწმენდავად დატოვება;
- დ) ხიდების ქვეშ ხმელი ბალახის, აგრეთვე ბუჩქნარისა და სხვა წვადი მასალის დაწვა;
- ე) ცეცხლის გამოყენებით სამუშაოების ჩატარება სახანძრო დაცვის სამსახურებთან შეუთანხმებლად.

25. სალიანდაგო სამანქანო სადგურების ვაგონების გასაჩერებელ ლიანდაგებზე უნდა იყოს მოწყობილი ისრის გადასაყვანები, ხანძრის შემთხვევაში მოძრავი შემაღენლობის გაყვანისა და გამორიშორების უზრუნველსაყოფად.

26. ვაგონები, რომლებშიც განთავსებულია საწარმოო სახელოსნოები, სკოლები, საბავშვო დაწესებულებები და ა.შ., უნდა იდგეს ცალკე ჯგუფებად საცხოვრებელი სახლებიდან არანაკლებ 10 მ-ის დაშორებით.

27. სალიანდაგო სამანქანო სადგურების ტერიტორიაზე წყალმომარაგების ხელოვნური და ბუნებრივი წყაროების არარსებობისას უნდა იყოს გათვალისწინებული წყლის მარაგი ხანძრის ჩასაქრობად, (რკინიგზის ცისტერნებსა და სხვა ტევადობებში) ვაგონების ყოველ ჯგუფზე (15-20 ერთეული) 50 მ³ გაანგარიშებით.

28. ყოველ მოძრავ შემაღენლობას უნდა ჰქონდეს სატელეფონო კავშირი უახლოეს რკინიგზის სადგურთან სახანძრო დაცვის სამსახურის გამოსაძახებლად. პუნქტებში, სადაც დგას სალიანდაგო სამანქანო სადგურების ვაგონები უნდა იყოს მოწყობილი ხანძრის მაუწყებელი სიგნალიზაცია.

თავი VI

ფეთქებადხანძრისაში და ხანძარსაში ნივთიერებების და მასალების ტრანსპორტირება

მუხლი 30. ძირითადი მოთხოვნები

1. საშიში ტვირთის გადაზიდვა უნდა განხორციელდეს ამ პროდუქციისათვის სტანდარტებით და ტექნიკური პირობებით გათვალისწინებულ ტარასა და შეფუთვაში.

2. ტარა და შეფუთვა უნდა იყოს მყარი, დაუზიანებელი, მთლიანად უნდა გამორიცხავდეს ტვირთის დაქცევას და გაფანტვას, უზრუნველყოფდეს ტვირთის დაცვასა და გადაზიდვის უსაფრთხოებას. შესაფუთი მასალა და ტარა უნდა იყოს შიგთავსის მიმართ ინერტული.

3. ადვილაალებადი და წვადი სითხეების გადაზიდვი ავტოცისტერნები უნდა იყოს საიმედოდ დამიწებული, აღჭურვილი ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით და მარკირებული ტვირთის საშიშროების ხარისხის შესაბამისად, ხოლო გამოსაბოლქვი მილები უნდა იყოს მოწყობილი გამართული ნაპერწკალსაქრობებით.

4. ავტოცისტერნებით ადვილაალებადი და წვადი სითხეების, თხევადი ნახშირწყალბადის, მსუბუქი ნახშირწყალბადის ნედლეულის და პენტანოვის ჯგუფის ნახშირწყალბადის, აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტით თხევადი ნახშირწყალბადის ბალონებში გადატანის ორგანიზება უნდა განხორციელდეს საავტომობილო ტრანსპორტით საშიში ტვირთის გადატანის წესებისა და დადგენილი წესით დამტკიცებული სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა დაცვით.

5. ფეთქებადხანძრისაში ნივთიერებები და მასალები, რომლებიც გამოყოფენ ადვილაალებად, შხამიან, მწვავე, კოროზიულ ორთქლს ან აირებს, გამოშრობისას ხდებიან ფეთქებადი, სახიფათოდ ურთიერთმოქმედებენ ჰაერთან და ტენთან, აგრეთვე მყანავი თვისებების მქონე ტვირთი უნდა იყოს ჰერმეტიკულად შეფუთული.

6. მინის ტარაში მოთავსებული საშიში ტვირთი უნდა იყოს შეფუთული მყარ ყუთებში ან ლარტყულებში (ხის, პლასტმასის, ლითონის), ცარიელი სივრცე უწვი საფენით და შემწოვი მასალებით შევსებული. ყუთების და ლარტყულების კედლების სიმაღლე 5 სმ უნდა აღემატებოდეს ზოთლებს და ქილებს. მინის ტარაში მოთავსებული საშიში ტვირთი, მცირე პარტიებად გადაზიდვისას, უნდა იყოს შეფუთული თავსახურებიან მჭიდრო ხის ყუთებში.

7. ლითონის ან პლასტმასის ქილებში, ბიდონებში და კანისტრებში მოთავსებული საშიში ტვირთი დამატებით უნდა იყოს შეფუთული ხის ყუთებში ან ლარტყულებში.

8. ტომრებში მოთავსებული მყარი ფხვიერი საშიში ტვირთი, თუ ასეთი შეფუთვები გათვალისწინებულია სტანდარტებით ან ტექნიკური პირობებით, უნდა გადაიზიდოს ვაგონებით. ასეთი ტვირთის მცირე პარტიებად გადაზიდვისას ტვირთი დამატებით უნდა შეიფუთოს ხის სატრანსპორტო ტარაში (ლითონის ან ფანერის დოლებში).



9. გადასაზიდი თხევადი საშიში ტვირთის ტარა უნდა შეივსოს ამ პროდუქციისათვის სტანდარტებით ან ტექნიკური პირობებით დადგენილ ნორმამდე.

10. სხვადასხვა ჯგუფების საშიში ტვირთის, აგრეთვე ერთობლივი გადაზიდვისათვის დაუშვებელი ერთი ჯგუფის ზოგიერთი საშიში ტვირთის ერთ ვაგონში ან კონტეინერში ჩატვირთვა დაუშვებელია.

11. ვაგონებში ჩატვირთვისას მყავათი შეესებულებული ყუთები უნდა დაიწყოს ადვილალეზადი და წვადი სითხეების ყუთების მოპირდაპირე მხარეს. ყველა ყუთი უნდა იყოს ერთმანეთზე მჭიდროდ დადგმული და საიმედოდ დამაგრებული.

12. ბალონები შხამიანი (ქვეკლასი 2.2) და ადვილალეზადი მომწამლავი აირებით (ქვეკლასი 2.4), აგრეთვე ამ აირების ცარიელი ბალონები უნდა გადაიზიდოს მხოლოდ ვაგონებით ან კონტეინერებით (საშიში ტვირთის კლასიფიკაცია მოყვანილია დანართ 2-ში).

13. წვადი და მომწამლავი აირებიანი ბალონების ჩატვირთვა ხდება ჰორიზონტალურ მდგომარეობაში (დამცავ ხუფებს უნდა ჰქონდეთ ერთი მიმართულება). ვერტიკალურ მდგომარეობაში აირის ბალონები შეიძლება ჩატვირთოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ბალონს აქვს დამცავი რგოლები და მათი მჭიდრო ჩატვირთვა გამორიცხავს ბალონების გადაადგილების ან წაქცევის შესაძლებლობას. კარების ღიობები უნდა შემოიზღუდოს არანაკლებ 40 მმ სისქის ფიცრებით, ტვირთით ჩახერგვის თავიდან ასაცილებლად. როგორც გამონაკლისი, გადაზიდვისას დასაშვებია დამცავი რგოლების გარეშე ბალონების ჩატვირთვა, თუ ბალონების რიგებს შორის მოწყობილია ფიცრის შუასადებები, ბალონებისათვის ბუდეების ჭრილებით.

14. ბალონებს (ჭურჭლებს) შორის თივის, ჩალის და სხვა ადვილალეზადი მასალების საფენებად გამოყენება დაუშვებელია.

15. ადვილალეზადი და წვადი სითხეების გადაზიდვა უნდა განხორციელდეს სტანდარტულ ჰერმეტიკულ, დაპლომბილ კასრებში.

16. იზოპროპილიტრატის და სამინის გადასაზიდ ვაგონებს როგორც დატვირთულს, ისე ცარიელს, უნდა ახლდეს ტვირთგამზავნ (ტვირთმიმღებ) სპეციალისტთა ბრიგადა.

17. სამუშაო ადგილებამდე ადვილალეზადი, წვადი სითხეების და წვადი აირების მიწოდება უნდა განხორციელდეს ტრანსპორტირების ცენტრალიზებული საშუალებებით. დაუშვებელია ღია ტარის გამოყენება ადვილალეზადი და წვადი სითხეების მისაწოდებლად.

18. შენობა-ნაგებობებში წვადი აირების, ადვილალეზადი და წვადი სითხეების მილსადენების გაყვანისას აუცილებელია:

ა) სამშენებლო კონსტრუქციებში მილსადენების გატარების ადგილებში ღიობების (ღრეჩოების, არამჭიდრო ადგილების და ა.შ.) კედლის მთელ სისქეზე უწვი მასალებით ჰერმეტიკულად შევსება;

ბ) ერთი სათავსიდან მეორეში არხებისა და თხრილების (ღია და დახურული) გადასვლის ადგილებში უწვი მასალებისაგან დამზადებული აირმუღწევი ზღუდეების (დიაფრაგმების) გამოყენება;

გ) მილსადენების შედგება მოქმედი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

19. ადვილალეზადი სითხეების და წვადი აირების გადატუმბვისათვის, როგორც წესი, უნდა იყოს გამოყენებული უჩოხალო ტუმბოები და ტუმბოები ტორსული შემჭიდროებებით. არასრული კვეთით მომუშავე მილსადენებს უნდა ჰქონდეთ ჰიდროსაკეტები.

20. ადვილალეზადი და წვადი სითხეების 10 ლ და მეტი ტევადობის მინის ტარა უნდა იყოს ჩადგმული დაწულ კალათებში ან ხის ლარტყულებში, ხოლო 10 ლ-ზე ნაკლები ტევადობის მინის ტარა – მჭიდრო ხის ყუთებში, საფენი მასალებით. ბიძგების შემსუბუქებისათვის გამოყენებულ მასალებს უნდა ჰქონდეს ტარის მტვრევისას დაქცეული სითხის შეწოვის უნარი.

21. ტრანსპორტიორების, ციხვებიანი ელევატორების, თვითდინებითი და პნევმატიკური მილების ექსპლუატაცია დასაშვებია მხოლოდ მტვრის გამოყოფის ადგილებში გამართული და ჰერმეტიკული საფარების არსებობისას. ვენტილაციამ უნდა უზრუნველყოს საფარებიდან მტვრის მუდმივი და ეფექტური გაწოვა.

22. პნევმოსატრანსპორტო და თვითდინებითი მოწყობილობების ექსპლუატაციის პერიოდში (მილსადენებში პროდუქტის მოძრაობისას) მილსადენებში მტვრის დაგროვება დაუშვებელია. მილსადენების გასუფთავება უნდა ხდებოდეს დამტკიცებული გრაფიკის თანახმად.

23. ტრანსპორტიორების და პნევმოსატრანსპორტო მოწყობილობების გაშვება უნდა განხორციელდეს მხოლოდ უქმი სვლის დროს მათი მდგომარეობის, დაცვის ყველა მოწყობილობის გამართულობის, უცხო საგნების არარსებობის, საკისრებში საპოხის არსებობის შემოწმების შემდეგ.

24. ტექნოლოგიური მოწყობილობების ელექტროძრავების ავტობლოკირება ჰაერსაბერი მანქანების ელექტროძრავებთან, რომლებიდანაც პროდუქტი მიეწოდება შესაბამის პნევმოსატრანსპორტო ქსელს, უნდა იყოს გამართული და შემოწმდეს მოწყობილობის ყოველი გაშვებისას.

25. მოწყობილობებზე ტრანსპორტირებადი ფხვიერი (ფხვნილისებრი) პროდუქტების ჩამოხრების თავიდან ასაცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ავტობლოკირება ტრანსპორტიორების ავარიული გაჩერებისათვის.

26. გაუმართავი ციხვებიანი ელევატორების და ხრახნიანი ტრანსპორტიორების (ხრახნისა და ღარის კედელს შორის ღრეჩოს უქონლობა, ლენტის ხახუნის, ღარის კედლებზე ციხვის წამოდება) ექსპლუატაცია დაუშვებელია.

27. ტრანსპორტიორების გორგოლაჭები და დამჭიმი დოლები უნდა ბრუნავდეს თავისუფლად. ლენტის ბუქსაობა, აგრეთვე ამძრავი დოლების ბიტუმით, კანიფოლით და სხვა წვადი მასალებით გაპოხვა დაუშვებელია.

28. ციხვებიანი ელევატორებში, თვითდინებით და პნევმატიკურ მილებში და სხვა ტრანსპორტიორებზე ცეცხლის გაჩენისას ტექნოლოგიური დანადგარების გასაჩერებლად, აგრეთვე ასპირაციული და სავენტილაციო სისტემების გამოსართავად, ყველა სართულზე, კიბის უჯრედთან უნდა იყოს სპეციალური დილაკები.

29. დაუშვებელია ასპირაციული და დაქუცმაცებული მასალების ტრანსპორტირების ხაზების ექსპლუატაცია, თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები გამართული ან გაუმართავია.

30. ხანძარსაწინააღმდეგო ზღუდეებში ტრანსპორტიორების, კონვეიერების და ა.შ. გასატარებლად მოწყობილი ღიობები უნდა შეივსოს შესაბამისი ტიპის შემავესებელით.

31. ფეთქებადხანძარსაშიში ნივთიერებების გადაზიდვისას სატრანსპორტო საშუალებებზე, აგრეთვე ტვირთისთვის განკუთვნილ ადგილებზე უნდა იყოს უსაფრთხოების ნიშნები.

32. სატრანსპორტო საშუალებებით ფეთქებადხანძარსაშიში ნივთიერებების გადაზიდვისას აკრძალულია:

- ა) ბიძგები და მკვეთრად დამუხრუჭება;
- ბ) დამცავი ბუნიკების გარეშე წვად აირიანი ბალონების ტრანსპორტირება;
- გ) სატრანსპორტო საშუალების უმეთვალყურეოდ დატოვება.

33. ფეთქებადხანძარსაშიში და ხანძარსაშიში ნივთიერების და მასალების ჩატვირთვის და გადმოტვირთვის ადგილები უნდა აღჭურვილი:



ა) სპეციალური სამარჯვებით, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაოების ჩატარებას სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით (კოფოები, დგარები, ფარები და ა. შ.). ამასთანავე, მინის ტარისათვის უნდა იყოს გათვალისწინებული ურიკები ან სპეციალური ბუდეებიანი ჯინები. დასაშვებია მინის ტარის გადატანა გამართულ სახელურებიან კალათებით, რომლებიც იძლევა მათი გადაადგილების საშუალებას ორი კაცის მიერ;

ბ) ხანძრის ჩაქრობის და ავარიული სიტუაციების ლიკვიდაციის საშუალებებით;

გ) გამართული სტაციონარული ან დროებითი განათებით, რომელიც შეესაბამება ზონის კლასს „ელექტროდანადგარების მოწყობის წესების“ მიხედვით.

34. ფეთქებადნარსაში და ხანძარსაში ტვირთების ჩატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების ადგილებში ღია ცეცხლის გამოყენება დაუშვებელია.

35. ჩატვირთვა-გადმოტვირთვის დროს გამოყენებული მექანიზმები უნდა იყოს გამართული.

36. მძღოლებმა და მემანქანებმა ჩატვირთვის ან გადმოტვირთვის დაწყებამდე, აგრეთვე ჩატვირთვა-გადმოტვირთვის დროს არ უნდა დატოვონ უყურადღებოდ სატრანსპორტო საშუალებები.

37. ფეთქებადნარსაში ნივთიერებების და მასალების ჩასატვირთი სატრანსპორტო საშუალებები (ვაგონები, მარები, მისაბმელები, კონტეინერები და ა.შ.) უნდა იყოს გამართული და გაწმენდილი სხვა ნივთიერებისაგან.

38. დაზიანებული ტარა (შეფუთვა) დაუყოვნებლივ უნდა იყოს გატანილი, ხოლო იატაკზე დაყრილი ან დაქცეული ფეთქებადნარსაში და ხანძარსაში ნივთიერებები მოწმენდილი.

39. ფეთქებადნარსაში და ხანძარსაში ტვირთის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის დროს სამუშაოს შემსრულებლებმა უნდა დაიცვან მარკირების ნიშნებისა და შეფუთვებზე გამაფრთხილებელი წარწერების მოთხოვნები.

40. დაუშვებელია ფეთქებადნარსა- და ხანძარსაში ნივთიერებების და მასალების ჩატვირთვა-გადმოტვირთვა ავტომობილების ძრავების მუშაობისას, აგრეთვე წვიმის დროს, თუ ნივთიერებებს და მასალებს წყალთან ურთიერთმოქმედებისას აქვთ თვითაღების უნარი.

41. ვაგონებში, კონტეინერებსა და ავტომობილების ძრავებში ფეთქებადნარსაში და ხანძარსაში ტვირთები უნდა იყოს საიმედოდ დამაგრებული მოძრაობისას მათი გადაადგილების გამორიცხვის მიზნით.

42. ადვილალეზადი და წვადი სითხეების შევსებასთან და ჩამოსხმასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური ოპერაციების ჩატარებისას უნდა შესრულდეს შემდეგი მოთხოვნები:

ა) ლიუკები და სახურავები უნდა გაიხსნას მდორედ, ბიძგების და დარტყმების გარეშე, ნაპერწკალუსაფრთხო ხელსაწყოების გამოყენებით. დაუშვებელია ადვილალეზადი და წვადი სითხეებით დასველებული ტვირთების ჩატვირთვა-გადმოტვირთვა;

ბ) არმატურა (შლანგები, გასართი შეერთებები, სტატიკური ელექტრობისაგან დაცვა და ა.შ.) უნდა იყოს ტექნიკურად გამართული.

43. რეზერვუარების, ცისტერნების, ტარის და ა.შ. სითხით შევსებამდე უნდა შემოწმდეს არსებული გამზომი მოწყობილობის გამართულობა.

44. რეზერვუარში სითხის დონის გაზომვა და სინჯების აღება, როგორც წესი, უნდა მოხდეს დღის სინათლეზე. დამე მუშაობისას გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ აფეთქებადამცავი აკუმულატორული ფარნები. დაუშვებელია ხელით დონის გაზომვა და სინჯების აღება ჭექაქუხილის დროს, აგრეთვე პროდუქტის ჩატუმბვის ან ამოტუმბვისას.

45. საცავების ადვილალეზადი და წვადი სითხეებით შევსება და დაცარიელება უნდა მოხდეს გამართული შეერთებების მქონე მილსადენებით, შლანგებით, და მხოლოდ შესაბამისი საკვალთების გახსნისა და დახურვის სისწორის შემოწმების შემდეგ ჩამკეტი არმატურა მთლიანად უნდა გაიხსნას.

46. რეზერვუარებში, საცავებში და ა.შ. პროდუქტების „ვარდნილი ნაკადით“ მიწოდება დაუშვებელია. რეზერვუარების შევსების (დაცარიელების) სიჩქარე არ უნდა აღემატებოდეს რეზერვუარებზე სასუნთქი და დამცველი სარქველების (ან სავენტილაციო მილყულები) ჯამურ გამტარუნარიანობას.

47. ფეთქებადნარსაში ან ხანძარსაში ტვირთის გადმოტვირთვის დამთავრებისას საჭიროა ვაგონების, კონტეინერების ან ავტომობილის ძარის დათვალიერება, ნივთიერებების ნარჩენებისა და ნაგვის შეგროვება და გადაყრა.

მუხლი 31. გათხევადებული ნახშირწყალბადის ტრანსპორტირება

1. გათხევადებული ნახშირწყალბადის და მისი ნარევიების (პროპანი, ნ-ბუტანი, იზობუტანი, პროპან-ბუტანი, პროპილენი, იზოპენტანი, ნ-პენტანი, ბუტადიენი, იზოპრენი, ნ-ბუტილენი, პროპან-ბუტილენი, ალფა-ბუტილენი, ბეტა-ბუტილენი, ბუტილენ-დივინილის ფრაქცია, იზობუტილენი, იზობუტან-იზობუტილენი, პიპერილენი, ბუტან-იზობუტილენის ფრაქცია, ნამუშევარი ბუტილენ-დივინილის ფრაქცია, პენტან-იზოპენტანი, პენტან-გეკსანი, იზოამილენი, რეფლუქსი, არასტაბილური აირის ბენზინი, ბუტან-ბუტილენის ფრაქცია, პროპან-პროპილენის ფრაქცია, მსუბუქი ნახშირწყალბადის ფართო ფრაქცია, აგრეთვე სხვა ანალოგიური, დადგენილი წესით გადასატანად დაშვებული, პროდუქცია) გადასატანად განკუთვნილი რკინიგზის სპეციალური ვაგონ-ცისტერნების ექსპლუატაცია და მომსახურება უნდა წარმოებდეს ამ თავის მოთხოვნათა დაცვით.

2. მომხმარებლებმა გათხევადებული ნახშირწყალბადის გადასატანი ვაგონ-ცისტერნები უნდა შეინახონ ამ წესების და სხვა შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა დაცვით.

3. გათხევადებული ნახშირწყალბადის ცისტერნებში ჩასხმა-ჩამოსხმა უნდა წარმოებდეს სპეციალურ ესტაკადაზე ამ წესების და დადგენილი წესით დამტკიცებული სხვა შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა დაცვით.

4. ჩასხმა-ჩამოსხმის ესტაკადაზე უნდა იყოს ჩასხმა-ჩამოსხმის მოცულობის შესაბამისი სალიანდაგო განვითარება, ხოლო მილსადენები – აღჭურვილი მანომეტრებით.

5. ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციების ჩასატარებლად უნდა იყოს გამოყენებული დადგენილი სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შესაბამისი შემაერთებული სახელოები, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნული პროცესისათვის საჭირო სახანძრო უსაფრთხოებას.

6. ჩასხმა-ჩამოსხმის თითოეული ოპერაციის ჩატარებამდე შემაერთებული სახელოები უნდა შემოწმდეს გარე დათვალიერებით. კორდის ძაფების გამჭოლი დაზიანების მქონე სახელოები უნდა შეიცვალოს. დაუშვებელია მექანიკური დაზიანებების და გაცვეთილი კუთხვილების მქონე შემაერთებული მოწყობილობის სახელოების ექსპლუატაცია.

7. აკრძალულია ცისტერნების, კომუნკაციების და ჭარბი წნევის ქვეშ მყოფი სახელოების ცალულების კუთხვილიანი და მიწისაგან შეერთებების მოჭერა და მოშვება, აგრეთვე სარტყამი ინსტრუმენტების გამოყენება ქანჩების მოჭერა-მოშვებისას. მილსადენები და სხვა ინსტრუმენტების სახელოები უნდა იყოს დამიწებული.



8. ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციების ჩატარებისას აკრძალულია ცისტერნის კომუნიკაციებთან შეერთება, თუ არ წარმოებს ჩასხმა (ჩამოსხმა). გათხევადებული ნახშირწყალბადის ჩასხმის ან ჩამოსხმის პროცესში ხანგრძლივი შუალედის არსებობისას ცისტერნიდან უნდა იყოს ჩასხნილი შემარეთებელი სახელოები.

9. თხევადი ნახშირწყალბადის ჩასხმა-ჩამოსხმის დროს აკრძალულია:

ა) ხანძარსაშიში საბუშაოების ჩატარება და თამბაქოს მოწვევა ცისტერნიდან 100 მ-ზე ნაკლებ მანძილზე;

ბ) ცისტერნებზე ან მათთან ახლოს სარემონტო, აგრეთვე სხვა სამუშაოების ჩატარება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციებთან;

გ) საავტომობილო და რკინიგზის სამანევრო ტრანსპორტის მისვლა;

დ) ჩასხმა-ჩამოსხმის ესტაკადაზე იმ პირთა ყოფნა, რომლებიც არ მონაწილეობენ ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციებში.

10. მისასვლელი გზების და ლიანდაგების ჩასხმის (ჩამოსხმის) უბანზე, რკინიგზის ლიანდაგების მხრიდან უნდა იყოს 400x500 მმ ზომის გამაფრთხილებელი ნიშნები წარწერით „სდექ! მოძრაობა აკრძალულია, წარმოებს ჩასხმის (ჩამოსხმის) ოპერაცია.“

11. ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციის დაწყებამდე ცისტერნები უნდა იყოს დამიწებული და დამაგრებული ლიანდაგებზე სპეციალური ბუნიკებით. აკრძალულია ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციების ჩატარება ჭექა-ქუხილის დროს.

12. ცისტერნა, ჩასხმის პირველი ოპერაციის ჩატარებამდე ან ქვაბის დეგაზაციით შეკეთების შემდეგ, საჭიროებს გაქრევას ინერტული აირით. გაქრევის შემდეგ ქვაბში ჟანგბადის კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს.

13. აკრძალულია ცისტერნის შევსება, თუ:

ა) ამოწურულია სავალი ნაწილების ქარხანაში და დეპოში შეკეთების ვადები;

ბ) ამოწურულია არმატურის პროფილაქტიკური ან გეგმური შეკეთების, ცისტერნის ქვაბის ტექდათვალიერების ან ჰიდრაულიკური გამოცდის ვადები;

გ) არ არსებობს ან გაუმართავია ქარხანა-დამამზადებლის მიერ გათვალისწინებული დამცავი, ჩამკეტი არმატურა ან საკონტროლო-საზომი ხელსაწყოები;

დ) არ არის დადგენილი ფორმის დამდა, წარწერები და გაურკვეველი ტრაფარეტები;

ე) დაზიანებულია ქვაბის ცილინდრული ნაწილი ან ფსკერის (ბზარი, ფორმის შესამჩნევი ცვლილებები და სხვა);

ვ) ცისტერნები შევსებულია პროდუქტებით, რომლებიც არ მიეკუთვნება გათხევადებულ ნახშირწყალბადს;

ზ) გათხევადებული ნახშირწყალბადის ორთქლის ჭარბი ნარჩენი წნევა 0,05 მპა-ზე ნაკლებია (იმ გათხევადებული ნახშირწყალბადის ორთქლისათვის, რომელთა ორქლის სიმკვრივე ზამთრის პერიოდში დასაშვებია იყოს 0,05 მპა-ზე ნაკლები, გათხევადებული ნახშირწყალბადის ორთქლის ჭარბი ნარჩენი წნევა უნდა იყოს დადგენილი ადგილობრივი ობიექტის ინსტრუქციით), გარდა ცისტერნებისა, რომლებიც ივსება პირველად ან რემონტის შემდეგ.

14. ცისტერნის შევსებამდე ობიექტის ან ქარხანა-დამამზადებლის წარმომადგენლებმა უნდა შეამოწონ მასში ნარჩენი წნევის, წყლის ან გათხევადებული ნახშირწყალბადის არაორთქლებადი ნარჩენების არსებობა. ცისტერნის ქვაბში არსებული წყალი ან არაორთქლებადი ნარჩენები უნდა იყოს მოცილებული ცისტერნის შევსებამდე.

15. წყლისა და გათხევადებული ნახშირწყალბადის არაორთქლებადი ნარჩენების დაწრეტა უნდა წარმოებდეს მხოლოდ მეორე მუშაკის დასწრებით. გათხევადებული ნახშირწყალბადის გაჟონვა დაუყოვნებლივ უნდა იყოს აღმოფხვრილი. ამასთან ერთად საჭიროა ქარპირა მხრიდან დგომა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება.

16. ჩასხმის პროცესში საჭიროა ცისტერნის ქვაბში აირის დონეზე კონტროლის გაწევა, ცისტერნიდან პროდუქტის გაჟონვის შემთხვევაში კი - შევსების პროცესის დაუყოვნებლივ შეწყვეტა, პროდუქტის გადაღვრა, წნევის დაწევა, აგრეთვე გაუმართაობების აღმოსაჩენი და აღმოსაფხვრელი ზომების მიღება.

17. სავსე ცისტერნების მიღებისას საჭიროა შევსების სისწორის შემოწმება. ცისტერნის შევსების მაქსიმალური დონე არ უნდა აღემატებოდეს ცისტერნის ქვაბის მოცულობის 85 %-ს. სავსე ცისტერნებიდან უნდა ჩამოსხმას ზედმეტი პროდუქტი.

18. ჩასხმა-ჩამოსხმის ესტაკადა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით: ფხვნილის ცეცხლმაქრებით, ქვიშით სავსე ყუთებით, ქეჩით. ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების რაოდენობა და მათი შენახვის ადგილები განისაზღვრება დადგენილი წესის შესაბამისად.

19. გათხევადებული ნახშირწყალბადით სავსე ვაგონ-ცისტერნების შემადგენლობის ფორმირება და მათი მოძრაობის ორგანიზება უნდა განხორციელდეს დადგენილი წესით დამტკიცებული შესაბამისი დოკუმენტების მოთხოვნათა დაცვით.

20. გაუმართავი ცისტერნა, რომლის გადაადგილება დანიშნულების ადგილამდე შეუძლებელია, უნდა ჩაიხსნას შემადგენლობიდან და გადაყვანილი იქნეს განცალკევებული ლიანდაგის უსაფრთხო უბანზე. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია საეკიპაჟო ნაწილის შეკეთება ღია ცეცხლის გამოყენების გარეშე, იარაღით, რომელიც არ წარმოქმნის ნაპერწყმებს.

21. გათხევადებული ნახშირწყალბადით სავსე ცისტერნაზე ჰერმეტიზაციის დამრღვევი გაუმართაობის აღმოჩენისას, საჭიროა მისი ჩასხმა შემადგენლობიდან, ცეცხლის პოტენციური წყაროებიდან მოცილება, უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა და ჰაერში აირის შემცველობის შემოწმება. აკრძალულია ასეთი ცისტერნის გაჩერება გაუთიშავი საკონტაქტო ხაზის ქვეშ.

22. რკინიგზის ელექტროფიცირებულ უბნებზე საკონტაქტო ქსელის გაუდენურებამდე აკრძალულია ცისტერნების ზევით ნებისმიერი სახის სამუშაოს (გარდა გარე დათვალიერებისა) ჩატარება.

23. გადასარბენზე ხანძარსაშიში სიტუაციის წარმოქმნის ან ხანძრის გაჩენის დროს წამყვანი ლოკომოტივის მემანქანემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მატარებლის დისპეტჩერს ან უახლოესი სადგურის მორიგეს შექმნილი სიტუაციის შესახებ, მატარებლის რადიოკავშირის ან შექმნილ სიტუაციაში შესაძლებელი ნებისმიერი სახის კავშირის გამოყენებით.

24. შეტყობინება უნდა შეიცავდეს ხანძარსაშიში სიტუაციის ან ხანძრის ხასიათის აღწერას, გათხევადებული ნახშირწყალბადის დასახელებას (ტრანსპორტირების თანმხლები დოკუმენტებიდან), ცნობას ხანძარსაშიში სიტუაციის (ხანძრის) ზონაში მისი რაოდენობის შესახებ, საავარიო ბარათის ნომერს, ხოლო ელექტროფიცირებულ უბნებზე - ინფორმაციას საკონტაქტო ქსელიდან ძაბვის მოხსნის შესახებ.

25. ლოკომოტივის მემანქანეს ეკრძალება გათხევადებული ნახშირწყალბადით სავსე ცისტერნების შემადგენლობიდან ლოკომოტივის ჩასხმა, შემადგენლობის ბუნიკებით დამაგრების შესახებ ინფორმაციის მიღების გარეშე.

26. სადგურზე გაჩერებული გათხევადებული ნახშირწყალბადის ცისტერნასთან დაკავშირებული ხანძარსაშიში სიტუაციის წარმოქმნისას საჭიროა მათი შემადგენლობიდან ჩასხმა და გადაყვანა უსაფრთხო ადგილზე.

27. ცისტერნის ქვაბის, მისი ელემენტების შეკეთება, აგრეთვე, შიდა დათვალიერება დასაშვებია ქვაბის მოცულობის, დეგაზაციის და სამუშაოების ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი ნებართვის გაფორმების შემდეგ.



28. სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისას აკრძალულია:

ა) პროდუქტი დატვირთული ან ცარიელი ქვების შეკეთება მისი მოცულობის დეგაზაციამდე;

ბ) ქვებზე დარტყმების წარმოება;

გ) ნაპერწკალწარმოქმნელი ინსტრუმენტით სარგებლობა და ცისტერნასთან ღია ცეცხლის (ჩირადნის, ნავთის ფარნის და სხვა) გამოყენება;

დ) ცისტერნის ქვეშ სამშენებლო და საცეცხლე სამუშაოების წარმოება.

29. ურიკის შეკეთება შედუღებით, დარტყმებით ან ცეცხლის გამოყენებით უნდა წარმოებდეს ცისტერნიდან 100 მ-ის დაშორებით.

30. ცისტერნის ქვაბში სამუშაოების შესრულებისას (შიდა დათვალიერება, შეკეთება, გაწმენდა და სხვა) უნდა იყოს გამოყენებული გამართული ფეთქებადუსაფრთხო, არა უმეტეს 12 ვ ძაბვის მქონე ფარანი, რომლის ჩართვა-გამორთვა უნდა წარმოებდეს ცისტერნის ქვაბს გარეთ.

31. ცისტერნის ქვაბში სამუშაოების დაწყებამდე საჭიროა საჭირო სივრცის ანალიზის ჩატარება ნახშირწყალბადის საშიში კონცენტრაციის არარსებობასა და ჟანგბადის შემცველობაზე. ჟანგბადის შემცველობა უნდა იყოს 19-20% ფარგლებში. წვადი ნივთიერებების კონცენტრაცია ქვაბის მოცულობაში არ უნდა აღემატებოდეს გათხევადებული ნახშირწყალბადის ალის გავრცელების ქვედა კონცენტრაციული ზღვრის მნიშვნელობის 20%-ს.

32. ცისტერნის ვენტილები არამუშა მდგომარეობაში უნდა იყოს ჩაკეტილი და დახშული. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სავსე ცისტერნის ვენტილის ჩოხალის სატენის შეცვლა, თუ სარქველები მთლიანად გადაკეტილია და დამხშობები მოხსნილია.

33. ბუტადიენის და იზოპრენის ტრანსპორტირების დროს პეროქსიდული ნარევების წარმოქმნის და პოლიმერიზაციის თავიდან აცილების მიზნით ცისტერნაში საჭიროა შემდეგი დამატებითი მოთხოვნების დაცვა:

ა) ცარიელი ცისტერნა (პროდუქტით შევსებამდე) უნდა გაიკრეს აზოტით არა უმეტეს 0,1% ოდენობის ჟანგბადის ნარჩენ შემცველობამდე;

ბ) ცისტერნიდან პროდუქტის გადაღრა უნდა წარმოებდეს არა უმეტეს 0,1 % ჟანგბადის შემცველი აზოტის მიწოდებასთან ერთად, არანაკლებ 0,2 მჰა ჭარბი წნევის შენარჩუნებით;

გ) ცისტერნის ქვაბში, პროდუქტის ზემოთ არსებული აირის ფაზაში ჟანგბადის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0,1%;

დ) პოლიმერიზაციის და პეროქსიდული ნაერთების წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით, ცისტერნაში 5 და მეტი დღე-ღამის განმავლობაში შესანახ ბუტადიენს, აგრეთვე ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილ ბუტადიანს ან იზოპრენს უნდა დაემატოს ინგიბიტორი.

34. ქვების მოშვადებისა და გაწმენდისათვის საჭიროა:

ა) ქვების დაცლა პროდუქტის ნარჩენებისაგან; ქვების მოცულობის გაქრევა, გასაქრევ აირებში ნახშირწყალბადის არა უმეტეს 0,5%-ის შემცველობამდე და შემდგომი გაქრევა ჰაერით ჟანგბადის არანაკლებ 16% შემცველობამდე;

ბ) ქვების შიდა ზედაპირის წყლით გარეცხვა მყარი დანალექების (პოლიმერები, ნალექი) უხვი დანამვის მიზნით;

გ) ქვების ქვედა და გვერდითი ზედაპირებიდან დანალექის სინჯის აღება (ინსტრუმენტით, რომელიც არ წარმოქმნის ნაპერწკლებს) და მისი ანალიზი პოლიმერული პეროქსიდების შემცველობაზე (თუ დანალექში აქტიური ნახშირის შემცველობა აჭარბებს 0,005%-ს, საჭიროა ქვების სპეციალური დამუშავება რკინის ქვეყანა გოგირდმჟავას ცხელი წყლის ხსნარით, პეროქსიდული ნაერთების დაშლის მიზნით. პეროქსიდების დაშლის შემდეგ ქვაბი და სხვა მოწყობილობა უნდა გაიწმინდოს პოლიმერებისა და დანალექებისაგან ხანძარუსაფრთხო ხერხით); პოლიმერი და დანალექი დასაწვავად უნდა იყოს გატანილი დანამულ მდგომარეობაში. დაუშვებელია მათი შენახვა ცისტერნასთან ახლოს;

დ) რკინიგზის ჩასასხმელ-ჩამოსასხმელ ესტაკადაზე, რომელზეც წარმოებს ბუტადიენის და იზოპრენის ჩასხმა (ჩამოსხმა) უნდა იყოს მოწყობილი აზოტის ან სხვა ინერტული აირის მიწოდების ხაზი, ხოლო პენტანის ჩასასხმელ ესტაკადაზე – მარედუცირებელი მოწყობილობა, რომელიც არ დაუშვებს პროდუქტის 0,3 მჰა-ზე მეტი წნევით მიწოდებას;

ე) პროდუქტის ჩამოსხმა ცისტერნიდან უნდა წარმოებდეს აზოტის ან სხვა ინერტული აირის მიწოდებასთან ერთად. ჩამოსხმის პროცესის დასრულება განისაზღვრება ჩამოსხმის მაკონტროლებელ ვენტილში სითხის დინების შეწყვეტით;

ვ) პროდუქტის ჩამოსხმის შემდეგ საჭიროა აირის ვენტილის საშუალებით ცისტერნის გაქრევა აზოტით ან სხვა ინერტული აირით პროდუქტის ნარჩენების მთლიანად მოსაცილებლად და ცისტერნაში ინერტული აირის 0,2 მჰა წნევის შექმნა.

35. რკინიგზის სადგურებზე, ჩასხმა-ჩამოსხმის ესტაკადაზე, გადასარბენზე, სამრეწველო საწარმოების ლიანდაგებზე, აგრეთვე სამანევრო სამუშაოების ჩატარებისას გათხევადებული ნახშირწყალბადის ვაგონ-ცისტერნების მოძრავ შემადგენლობაში ხანძარსაშიში სიტუაციის წარმოქმნის ან ხანძრის გაჩენის შემთხვევაში სამანევრო სამუშაოების ხელმძღვანელები, დისპეტჩერები, მემანქანეები და რკინიგზის ტრანსპორტის სხვა მუშაკები უნდა მოქმედებდნენ ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმის შესაბამისად.

36. ხანძარსაშიში სიტუაციების და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმით წესრიგდება რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკების მოქმედებების თანმიმდევრობა გათხევადებული ნახშირწყალბადით სავსე ვაგონ-ცისტერნების ექსპლუატაციისას ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრის გაჩენის შემთხვევაში; ხანძარსაშიში სიტუაციების და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა უნდა იყოს შემუშავებული ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების შესაძლო განვითარების პროგნოზის გათვალისწინებით და დადგენილი წესით დამტკიცებული მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად.

37. ხანძარსაშიში სიტუაციების და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმები ექვემდებარება განახლებას არანაკლებ 5 წელიწადში ერთხელ. გადაზიდვის ტექნოლოგიებში, აპარატურის გაფორმებაში, მეტროლოგიურ უზრუნველყოფაში და ტრანსპორტირების ორგანიზებაში ცვლილებების დროს, აგრეთვე გადაზიდვებისას ხანძარსაშიში სიტუაციების და ხანძრების შესახებ ინფორმაციის არსებობისას გეგმები უნდა იყოს დაზუსტებული 15 დღის ვადაში.

38. ხანძარსაშიში სიტუაციების და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად დებულებებს:

ა) სახანძრო დაცვის სამსახურის დანაყოფებისათვის და რკინიგზის უზნის დისპეტჩერისათვის ხანძრის შესახებ შეტყობინების გადაცემის წესს;

ბ) ხანძარსაშიში სიტუაციის და ხანძრის გაჩენის ადგილზე სახანძრო და აღმდგენი მატარებლის გამოძახების წესს;

გ) მართვის რაიონების (უბნების) განსაზღვრის და სადგურის მუშაკებს შორის საშიში ზონიდან ვაგონების და შემადგენლობის გაშორების და გაყვანის, აგრეთვე საწყის სტადიაზე ხანძარსაშიში სიტუაციის ან ხანძრის ლოკალიზაციის მოვლის საშუალებების წესს;

დ) ცისტერნის (რკინიგზის უზნის) ვრცელ სქემას (გეგმას) ყველა საჭირო მონაცემისა და მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესს.



ე) რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა და სახანძრო დაცვის დანაყოფების პირადი შემადგენლობის სამსახურის ურთიერთმოქმედების წესს.

39. სადგურის მუშაკების მიერ ხანძარსაშიში სიტუაციების და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმით გათვალისწინებული პირველი რიგის სამუშაოებს განეკუთვნება:

ა) ხანძრის აღმოჩენიდან 15 წთ-ის განმავლობაში ვაგონების და შემადგენლობების ხანძრის კერიდან (ცეცხლმოდებული ვაგონი, გათხევადებული ნახშირწყალბადის დაღვრის და წვის ადგილი და სხვა) უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა;

ბ) ხანძრის კერის ორივე მხრიდან არანაკლებ სამი მომიჯნავე ლიანდაგის გათავისუფლება და შემდეგ შემადგენლობის გაყვანა საშიში ზონიდან, დასაშვებია ცეცხლმოდებული შემადგენლობის დაუყოვნებლივ გაყვანა, თუ მომიჯნავე ლიანდაგებზე მდგარი მოძრავი შემადგენლობების დაცვა უზრუნველყოფილია;

გ) საკონტაქტო ქსელის გაუდენურება და დამიწება სახანძრო დაცვის სამსახურის სამუშაო უზენებზე;

დ) ხანძრის კერიდან ქაპირა მხრიდან უსაფრთხო ზონაში ორი ლიანდაგის (მეოთხე-მეხუთე ლიანდაგამდე) გათავისუფლება სახანძრო მატარებლების მისაღებად;

ე) მოძრავი შემადგენლობის (პირველ რიგში, რომლებზეც იმყოფებიან ადამიანები ან განთავსებულია საშიში ტვირთი) ევაკუაციის გაგრძელება ლიანდაგების გასწვრივ, ხანძრის გავრცელების იმ შესაძლო მიმართულებების გათვალისწინებით, რომლებიც უქმნიან უშუალო საფრთხეს სადგურის პარკის ძირითად მასივს, სადგურის შენობა-ნაგებობებს და სადგურის მომიჯნავე ობიექტებს;

ვ) სახანძრო დაცვის დანაყოფების მიერ სახელოების ხაზების გაყვანა ძირითადი (მთავარი) მოქმედების ჩატარებისას;

ზ) ცეცხლმოდებული და მომიჯნავე ცისტერნების კედლების გაგრილების უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში ხანძრის ჩაქრობა ნებაყოფლობითი სახანძრო დაცვის დანაყოფების და სადგურის მუშაკების მიერ ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების და მათ მფლობელობაში არსებული სახანძრო-ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით, უახლოეს წყლის წყაროებიდან სახელოს ხაზის გაყვანა. აღნიშნული ოპერაციები უნდა ჩატარდეს შესაბამისი სამუშაოების შემსრულებელი ადამიანების პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობებში;

თ) ზომების მიღება ობიექტის წყალსადენ ქსელში წნევის ნორმატიულ სიდიდემდე გასაზრდელად (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სამეურნეო მიზნებისათვის წყლის მოხმარების შემცირება);

ი) ხანძარსაშიში სიტუაციის ან ხანძრის ლიკვიდაციის მიზნით საპატრულო პოლიციის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამსახურთან ურთიერთმოქმედების ორგანიზება;

კ) სახანძრო დაცვის დანაყოფების მიღების უზრუნველყოფა და ადგილზე მოსული ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელისათვის ხანძარსაშიში სიტუაციის და ხანძრის ხასიათის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. თუ ხანძრის გაჩენიდან 15 წთ-ის განმავლობაში ხანძრის კერის ლოკალიზება ვერ ხერხდება, ხანძრის ზონაში (ცისტერნიდან 100 მ-ის დაშორებით) დასაშვებია მხოლოდ სახანძრო დაცვის დანაყოფების მუშაობა.

40. სახანძრო დაცვის დანაყოფის მისვლამდე ხანძარსაშიში სიტუაციის ან ხანძრის ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის სამუშაოებს ხელმძღვანელობს რკინიგზის უფროსი ხელმძღვანელი (გზის, განყოფილების, სადგურის უფროსი ან მათი მოადგილეები) ან აღმდგენი მატარებლის უფროსი. სახანძრო დაცვის დანაყოფების მისვლისას ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელობა ევალება შესაბამისი სახანძრო დაცვის უფროსი ხელმძღვანელს. მოძრავი შემადგენლობის ევაკუაცია და გაშორიშორების სამუშაოები ხორციელდება სადგურის მუშაკების მიერ რკინიგზის უფროსი ხელმძღვანელის მითითებებით და ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

41. გათხევადებული ნახშირწყალბადის გაუონვისას საჭიროა ჩახსმა-ჩამოსხმის ყველა ტექნოლოგიური ოპერაციის შეწყვეტა, აგრეთვე მატარებლების მოძრაობის და იმ სამანევრო სამუშაოების შეჩერება, რომლებიც არ მიეკუთვნება ხანძარსაშიში სიტუაციის ლოკალიზაციასა და ლიკვიდაციას. აგრეთვე საჭიროა ანთების პოტენციური წყაროს (ცეცხლი, ნაპერწკალი და სხვა) აღმოფხვრა და გათხევადებული ნახშირწყალბადის გაუონვის ზონიდან წვადი ნივთიერებების გატანა.

42. სპეციალისტების მიერ უნდა აღმოიფხვრას გაუონვის მიზეზი (თუ ეს არ წარმოადგენს საშიშროებას), ან ცისტერნის შიგთავსი გადაიქაჩოს გამართულ ცისტერნაში (ტვეადობებში) სიფრთხილის წინასწარი ზომების დაცვით და საავარიო სამუშაოების ადგილზე სახანძრო დაცვის დანაყოფის ყოფნის პირობით.

43. ინტენსიური გაუონვის შემთხვევაში საჭიროა ცისტერნიდან გაზის მთლიანად გამოშვება, ამასთან, 200 მ-ის რადიუსში უნდა წარმოებდეს მუდმივი კონტროლი შესაძლო დაგაზიანების ზონის წარმოქმნაზე (აირის სრულ მიმოფანტვამდე). ავარიის ადგილზე საჭიროა სახანძრო დაცვის სამსახურის, საავარიო ჯგუფის და ხელისუფლების ორგანოებში შექმნილი საშიშროების შესახებ შეტყობინების გადაცემა. დაუშვებელია ვივარებებში, სარდაფებსა და კანალიზაციაში გათხევადებული ნახშირწყალბადის მოხვედრა.

44. გაუონილი გათხევადებული ნახშირწყალბადის აალების შემთხვევაში ავარიის ადგილზე სახანძრო დაცვის სამსახურის არყოფნისას, საჭიროა ხანძრის ლოკალიზება და დაზიანებული ცისტერნიდან ან საკომუნიკაციო ესტაკადიდან გაუონილი პროდუქტის უსაფრთხო ამოწვისათვის პირობების შექმნა.

45. ცალკეულ შემთხვევაში ხანძარსაშიში სიტუაციების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის სამუშაოების ხელმძღვანელს შეუძლია გასცეს განკარგულება დაღვრილი გათხევადებული ნახშირწყალბადის ამოწვის შესახებ (თუ ეს არ შეუქმნის საფრთხეს ადამიანებს, არ გახდება სხვა ობიექტების ნგრევის და ხანძრის სტიქიური განვითარების მიზეზი), ანთება უნდა განხორციელდეს დისტანციურად, თავშესაფარიდან რაკეტის სასროლი პისტოლეტის, პეტარდის და სხვ. გამოყენებით, მხოლოდ სახანძრო დაცვის სამსახურის აუცილებელი რაოდენობის მისვლის შემდეგ.

46. საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარებისას საჭიროა საავარიო ბარათებში მოყვანილი უსაფრთხოების წესებით სარგებლობა და ხანძრის ან ხანძარსაშიში სიტუაციის დროს აუცილებელი მოქმედებების ნუსხიდან კონკრეტულ სიტუაციებში განსახორციელებელი მოქმედებების შერჩევა. საავარიო ბარათებში მოყვანილი ხანძრის საშიში ფაქტორების ზემოქმედებით დაზიანებული ზონების რადიუსები დაზუსტებულ უნდა იქნეს შესაბამისი სამსახურების სპეციალისტების მიერ და იყოს მიღებული როგორც მინიმალური.

47. თუ შექმნილი ვითარება სახიფათოა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკების, აგრეთვე ავარიული ჯგუფის წევრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, სამუშაოები დაუყოვნებლივ უნდა იყოს შეჩერებული, ხოლო ადამიანები – გაყვანილი უსაფრთხო ადგილზე.

თავი VII
საწყობები



1. საწყობებში (სათავსებში) ნივთიერებების და მასალების შენახვა უნდა მოხდეს მათი ხანძარსაშიში ფიზიკურ-ქიმიური თვისებების (დაჟანგვის, თვითგახურების და აალების უნარი ტენის მოხვედრისას, ჰაერთან შეხებისას და ა.შ.) და ცეცხლმაქრი ნივთიერებების შეთავსებადობისა და ერთგვაროვნების ნიშნების გათვალისწინებით (დანართი 2).

2. დაუშვებელია ერთ სექციაში კაუჩუკთან ან ავტორეზინთან რომელიმე სხვა მასალის და საქონლის ერთდროული შენახვა, მიუხედავად გამოყენებული ცეცხლსაქრობი ნივთიერებების ერთგვაროვნებისა.

3. ბალონები წვადი აირებით, ჭურჭელი (ბოთლები, ბოცები, სხვა ტარა) ადვილალეზადი და წვადი სითხეებით, აგრეთვე აეროზოლური შეფუთვები უნდა იყოს დაცული მზის და სხვა სახის თბური ზემოქმედებისგან.

4. აეროზოლური შეფუთვების დაწყობა მრავალსართულიან საწყობებში დასაშვებია მხოლოდ ბოლო სართულზე, ხანძარსაშინააღმდეგო ნაკვეთურებში, ასეთი შეფუთვების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 150 000 ცალს.

5. საწყობის საერთო ტევადობა არ უნდა აღემატებოდეს 900 000 შეფუთვას. საერთო საწყობებში აეროზოლური შეფუთვების შენახვა დასაშვებია არა უმეტეს 5 000 ცალის ოდენობით. საერთო საწყობის იზოლირებულ ნაკვეთურში დასაშვებია არა უმეტეს 15 000 შეფუთვის (კოლოფის) შენახვა.

6. ღია მოედნებზე ან ფარდულეებში აეროზოლური შეფუთვების შენახვა დასაშვებია მხოლოდ უწყ კონტეინერებში.

7. საწყობებში, სადაც სტელაჟები არ არის, მასალები უნდა დაიწყოს შტაბელეზად, კარების წინ უნდა დარჩეს კარების სივანის ტოლი თავისუფალი გასასვლელები, მაგრამ არანაკლებ 1 მ-სა. ყოველ 6 მ-ში, როგორც წესი, უნდა მოეწყოს არანაკლებ 0,8 მ სივანის გრძივი გასასვლელები.

8. მანძილი სანათიდან სასაწყობო საქონლამდე უნდა იყოს არანაკლებ 0,5 მ.

9. საწყობების სათავსებსა და მისაღომ ბაქნებზე დასატვირთ-გადმოსატვირთი და სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება და რემონტი დაუშვებელია. ბაქნზე გადმოტვირთული საქონელი და მასალები სამუშაო დღის დასრულებამდე უნდა იყოს ალაგებული.

10. საწყობებში ტარის გახსნასთან, საქონლის გამართულობის შემოწმებასთან და წვრილმან შეკეთებასთან, პროდუქციის დაფასობასთან, ხანძარსაშიში სითხეების (ნიტროსალეზავი, ლაქები და ა.შ.) სამუშაო ნარეგების მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია უნდა განხორციელდეს შენახვის ადგილებიდან იზოლირებულ სათავსებში.

11. დაუშვებელია გამართული ნაპერწკალსაქრობებიანი ავტომობილების, მოტომავლების, ავტოაქციებისა და სხვა სახის ტვირთამწე ტექნიკის 3 მ-ზე ახლოს მისვლა ზვინებთან, შტაბელეზთან და ფარდულეზთან, სადაც ინახება უხეში საკვები, ზოჭკოვანი მასალა.

12. საწყობის ელექტრომომწყობილობა სამუშაოს დამთავრებისას უნდა იქნეს გამორთული. გამოსართავი აპარატები უნდა განთავსდეს საწყობის გარეთ უწყ კედელზე ან ცალკე მდგომ საყრდენზე, სპეციალურად მოწყობილ კარადაში ან ნიშში, რომლებიც უნდა დაიკეტოს და დაილუქოს.

13. დაუშვებელია საწყობების შიგნით მორიგე განათების მოწყობა, აგრეთვე აირის ქურების და ელექტროგამახურებელი ხელსაწყობის ექსპლუატაცია და შტეფსელის როზეტების დაყენება.

14. ღია მოედანზე მასალების შენახვისას ერთი სექციის (შტაბელის) ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 300 მ², ხოლო ხანძარსაშინააღმდეგო მანძილები შტაბელეზს შორის უნდა იყოს არანაკლებ 6 მ.

15. ბაზების და საწყობების ტერიტორიაზე განლაგებული შენობების საცხოვრებლად გამოყენება დაუშვებელია.

16. "ა", "ბ" და "ვ" კატეგორიის საწყობების სათავსებში ლოკომოტივების შესვლა დაუშვებელია.

17. საკუჭნაობებში საწარმოო ნორმებზე მეტი რაოდენობის ადვილალეზადი და წვადი სითხეების შენახვა დაუშვებელია. სამუშაო ადგილებზე ამ სითხეების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთი ცვლის მოთხოვნას.

18. დაუშვებელია წვადი მასალების ან წვად ტარაში მოთავსებული უწყი მასალების შენახვა სარდაფისა და ცოკოლის სართულების იმ სათავსებში, რომლებსაც არ გააჩნიათ თანაორმოებიანი ფანჯრები კვამლის მოსაცილებლად, აგრეთვე თუ აღნიშნული სართულები უკავშირდება შენობას საერთო კიბის უჯრედებით.

მუხლი 33. ადვილალეზადი, წვადი და სხვა ხანძარსაშიში სითხეების საწყობები

1. შემოზვინვები რეზერვუარების ირგვლივ, აგრეთვე მათზე გადასასვლელები უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში. შემოზვინვების შიდა მოედნები უნდა იყოს მოსწორებული და დაფარული ქვიით.

- 2. სარეზერვუარო პარკებში აკრძალულია:
 - ა) არაპერმეტული მოწყობილობების და ჩამკეტი არმატურის ექსპლუატაცია;
 - ბ) გადახრილი და ბზარების მქონე რეზერვუარების, აგრეთვე გაუმართავი მოწყობილობების, საკონტროლო-საზომი ხელსაწყობების, მიწოდებელი პროდუქტსადენების და სტაციონარული ხანძარსაშინააღმდეგო მოწყობილობების ექსპლუატაცია;
 - გ) შემოზვინვის ირგვლივ ხეების და ბუჩქნარის არსებობა;
 - დ) რეზერვუარების და ცისტერნების მოთავსება წვად ან ძნელად წვად სადგარზე;
 - ე) რეზერვუარების და ცისტერნების პირამდე ავსება;
 - ვ) ნავთობპროდუქტების ჩასხმა-ჩამოსხმისას რეზერვუარებიდან სინჯების აღება;
 - ზ) ნავთობპროდუქტების ჩასხმა-ჩამოსხმა ჭექა-ქუხილის დროს.


3. სასუნთქი სარკველები და ცეცხლზუდეები უნდა მოწმდებოდეს ქარხანა-დამამზადებლების ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად. სასუნთქი არმატურის დათვალერებისას აუცილებელია სარკველების და ბადეების ყინულისგან გაწმენდა. მათი გათბობა უნდა ხდებოდეს მხოლოდ ხანძარსაშინააღმდეგო ხერხით.

4. სინჯების აღება და დონის გაზომვა უნდა განხორციელდეს ნაპერწკალსაფრთხო მოწყობილობით.

5. სარეზერვუარო პარკის საწყობებში უნდა იყოს ცეცხლმაქრი ნივთიერებების მარაგი, აგრეთვე მათი მიწოდების საშუალებები ისეთი ოდენობით, რომელიც საჭიროა უდიდეს რეზერვუარში ხანძრის ჩასაქრობად.

მუხლი 34. წვადი და ადვილალეზადი სითხეების ტარით შენახვა

1. 120°C-ზე მეტი აფეთქების ტემპერატურის 60 მ³ ოდენობით სითხეების შენახვა დასაშვებია წვადი მასალებისგან დამზადებულ მიწისქვეშა საცავებში, თუ იატაკი უწყი მასალებისაა და გადახურვა დაფარულია არანაკლებ 0,2 მ სისქის დატკეპნილი მიწის ფენით

2. ერთ სათავსში ადვილალეზადი და წვადი სითხეების ტარით ერთობლივი შენახვა დასაშვებია იმ პირობით, თუ მათ  რაოდენობა არ აღემატება 200 მ³.

3. საცავებში კასრების ხელით დაწყოებისას ადვილაალებადი და წვადი სითხეების კასრები უნდა დაიწყოს იატაკზე არა უმეტეს 2 რიგად, მექანიზებული დაწყოებისას წვადი სითხეების კასრები უნდა განლაგდეს – არა უმეტეს 5 რიგად, ადვილაალებადი სითხეების კასრები კი – არა უმეტეს 3 რიგად. შტაბელების სიგანე არ უნდა აღემატებოდეს 2 კასრს. მთავარი გასასვლელის სიგანე (კასრების ტრანსპორტირებისთვის) უნდა იყოს არანაკლებ 1,8 მ, ხოლო შტაბელებს შორის მანძილი – არანაკლებ 1 მ.

4. სითხეების შენახვა დასაშვებია მხოლოდ დაუზიანებელ ტარაში. დაღვრილი სითხე დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოცილებული.

5. ნავთობპროდუქტების ტარით შესანახად განკუთვნილი ღია მოედნები უნდა შემოიზღუდოს მიწის ყრილით ან არანაკლებ 0,5 მ სიმაღლის მთლიანი უწყვი კედლით, რომლებსაც ექნებათ მოედნებზე გასასვლელი პანდუსები.

6. მოედნების ნიშნული უნდა აღემატებოდეს მიმდებარე ტერიტორიის ნიშნულს 0,2 მ-ით და გარშემორტყმული უნდა იყოს კიუვეტით ჩამდინარე წყლის გასაშვებად.

7. ერთი შემოზვინული მოედნის ფარგლებში დასაშვებია კასრების არა უმეტეს 4 შტაბელის დაწყობა (25x15 მ ზომის), შტაბელებს შორის არანაკლებ 10 მ, ხოლო შტაბელსა და ზვინს (კედელს) შორის – არანაკლებ 5 მ დაცილებით. ორი მომიჯნავე მოედნის შტაბელებს შორის მანძილი უნდა იყოს არანაკლებ 20 მ.

8. მოედნებზე დასაშვებია უწყვი მასალებისგან დამზადებული ფარდულების მოწყობა.

9. დაუშვებელია ნავთობპროდუქტების დაღვრა, აგრეთვე შესაფუთი მასალების და ტარის შენახვა უშუალოდ საცავებში და შემოზვინულ მოედნებზე.

მუხლი 35. აირების შენახვა

1. სათავსების ფანჯრის მინები, სადაც ინახება ბალონები აირით უნდა შეიღებოს თეთრი საღებავით ან ალიჟურვოს მზისგან დამცავი უწყვი მოწყობილობებით. ღია მოედნებზე ბალონების შენახვის შემთხვევაში ნალექების მოქმედებისა და მზის სხივებისგან დამცავი ნაგებობები უნდა იყოს აგებული უწყვი მასალებისგან.

2. ჯგუფური საბალონე დანადგარების განლაგება დასაშვებია ყრუ (ლიობების არქონე) გარე კედლებთან. ბალონების შესანახი კარადები და ჯიხურები უნდა იყოს დამზადებული უწყვი მასალებისგან და ჰქონდეს ბუნებრივი ვენტილიაცია, რომელიც გამორიცხავს ფეთქებადსაშიში ნარევეების წარმოქმნას.

3. წვადი აირების ბალონები უნდა ინახებოდეს ჟანგბადით, შეკუმშული ჰაერით, ქლორით, ფტორით და სხვა მყანგავებით, აგრეთვე ტოქსიკური აირებით დატუმბული ბალონებისაგან განცალკევებით.

4. ჟანგბადის ბალონების შენახვისას და ტრანსპორტირებისას დაუშვებელია ბალონებზე ზეთის (ცხიმის) მოხვედრა და ბალონის არმატურის გაზეთილ მასალებთან შეხება. ჟანგბადის ბალონების ხელით გადაადგილებისას დაუშვებელია სარქველებზე ხელის მოკიდება.

5. აირების შესანახი სათავსები უნდა იყოს აღჭურვილი კმაფეთქებადსაშიში კონცენტრაციებამდე მომუშავე გამართული არანალიზატორებით. არანალიზატორების უქონლობისას ობიექტის ხელმძღვანელის მიერ უნდა იყოს დადგენილი სინჯების აღებისა და კონტროლის წესი.

6. აირის გაჟონვისას ბალონები უნდა იყოს გადატანილი საწყობიდან უსაფრთხო ადგილზე.

7. საწყობში, სადაც ინახება ბალონები წვადი აირით, არ დაიშვებია პირები ლითონის ლურსმებით ან ნალებით დაჭკდილი ფეხსაცმლით.

8. ბუნეების მქონე წვადი აირის ბალონები უნდა ინახებოდეს ვერტიკალურ მდგომარეობაში სპეციალურ ბუდეებში, გალებში და სხვა მოწყობილობებში, რომლებიც გამორიცხავენ მათ წაქცევას.

9. ბუნეების არქონე ბალონები უნდა ინახებოდეს ჩარჩოებზე ან სტელაჟებზე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. შტაბელების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ, ხოლო სარქველები უნდა იყოს დახურული დამცავი ხუფებით და მიმართული ერთ მხარეს.

10. აირების საწყობებში დაუშვებელია რომელიმე სხვა ნივთიერების, მასალის და მოწყობილობის შენახვა.

11. წვადი აირების საწყობის სათავსები უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბუნებრივი ვენტილაციით.

მუხლი 36. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვა

1. უხეში საკვების მარაგის შენახვა დასაშვებია მხოლოდ მიშენებულ (ჩაშენებულ) სათავსებში, რომლებიც გამოყოფილია ფერმების შენობებისგან 0,75 სთ ცეცხლმდეგობის ზღვრის მქონე ყრუ უწყვი კედლებით (ტიხრებით) და გადახურვებით. აღნიშნულ სათავსებს უნდა ჰქონდეთ გასასვლელი უშუალოდ გარეთ.

2. უხეში საკვების ზვინები (ბუები), ფარდულები და შტაბელები უნდა განლაგდეს ელექტროგადამცემი ხაზებიდან არანაკლებ 15 მ, გზებიდან – არანაკლებ 20 მ და შენობა-ნაგებობებიდან – არანაკლებ 50 მ დაშორებით.

3. მოედნები ზვინების მოსათავსებლად, აგრეთვე ზვინების ან შტაბელების წყვილები საჭიროა შემოიბაროს პერიმეტრზე არანაკლებ 4 მ სიგანის ზოლით. მანძილი ზოლის ნაპირიდან მოედანზე მოთავსებულ ზვინამდე უნდა იყოს არანაკლებ 15 მ, ხოლო ცალკე მდგომ ზვინამდე – არანაკლებ 5 მ. ერთი ზვინის ძირის ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 150 მ², ხოლო დაწნეხილი თივის (ჩალის) შტაბელისა – 500 მ².

4. ცალკეულ შტაბელებს, ფარდულებსა და ზვინებს შორის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები უნდა იყოს არანაკლებ 20 მ. შტაბელების, ფარდულების და ზვინების წყვილ-წყვილად განთავსებისას მანძილი შტაბელებსა და ფარდულებს შორის უნდა იყოს არანაკლებ 6 მ, ხოლო მათ წყვილებს შორის – არანაკლებ 30 მ. ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები კვარტლებს შორის (კვარტალში დასაშვებია 20 ზვინის ან შტაბელის განლაგება) უნდა იყოს არანაკლებ 100 მ.

5. მომატებული ტენიანობის მქონე ზვინებში და თივის შტაბელებში აუცილებელია ტემპერატურის კონტროლი.

6. უხეში საკვების საწყობებში მომუშავე ტრაქტორები და ავტომობილები უნდა იყოს აღჭურვილი ნაპერწკალსაქრობებით. გადმოტვირთვის სამუშაოების ჩატარებისას ტრაქტორ-საწევარი არ უნდა მიუახლოვდეს ზვინებს 3 მ-ზე ახლოს.

მუხლი 37. მარცვლეულის შენახვა

1. მოსავლის აღების დაწყებამდე მარცვლეულის საწყობები და საშრობები უნდა იყოს შემოწმებული გამოსადეგობაზე (გამოსაყენებლად ვარგისიანობაზე). აღმოჩენილი დაზიანებები უნდა იყოს აღმოფხვრილი მარცვლის მიღების და შრობის დაწყებამდე.

2. მარცვლეულის საწყობები უნდა განლაგდეს ცალკე მდგომ შენობებში. მათი ჰიშვრები უნდა იღებოდეს გარეთ და არ უნდა იყოს ჩახერგილი.

3. მარცვლეულის ყრილად შენახვისას მანძილი ყრილის წვეროდან გადახურვების წვად კონსტრუქციებამდე, აგრეთვე სანათი და ელექტროსადენებამდე უნდა იყოს არანაკლებ 0,5 მ. ხანძარსაწინააღმდეგო ზღუდეების ღიობებში მარცვლეულის ტრანსპორტირების ადგილებზე უნდა იყოს აღჭურვილი დამცავი მოწყობილობები.

4. აკრძალულია:



- ა) მარცვლულთან ერთად სხვა მასალებისა და მოწყობილობების შენახვა;
 - ბ) საწყობების სათავსებში მარცვალსაწმენდების და სხვა შიგაწვის ძრავიანი მანქანების გამოყენება;
 - გ) მოძრავ მექანიზმებზე მუშაობა, თუ საწყობის ჭიშკრები ორივე მხრიდან დახურულია;
 - დ) მყარ სათბობზე მომუშავე საშრობების დანთებისას ადვილალეხადი და წვადი სითხეების, ხოლო თხევად სათბობზე მომუშავე საშრობების დანთებისას ჩირაღდნების გამოყენება;
 - ე) საცეცხლეში (ელექტროანთების სისტემით ან მის გარეშე) ჩირაღდნის ჩაქრობისას საწვავის მიწოდების ავტომატური გათიშვის და ტემპერატურის კონტროლის ხელსაწყოების დაზიანების შემთხვევაში საშრობებზე მუშაობა;
 - ვ) ტრანსპორტიორის ლენტის დონის ზევით მარცვლის დაყრა და ტრანსპორტიორის კონსტრუქციებზე ლენტის ხახუნის დაშვება.
5. საშრობის მუშაობისას მარცვლულის ტემპერატურის კონტროლი უნდა განხორციელდეს ყოველ 2 სთ-ში, სინჯების აღების გზით.
6. საშრობის დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზმები უნდა გაიწმინდოს მტვრისგან და მარცვლისგან 24 სთ-იანი მუშაობის შემდეგ.
7. მოძრავი საშრობი აგრეგატი უნდა იყოს დაცვილებული არანაკლებ 10 მ მანძილზე მარცვლულის საწყობიდან.
8. საშრობების საცეცხლეების მოწყობილობა უნდა გამორიცხავდეს ნაპერწკლების გამოვარდნას. საკვამლე მილები უნდა აღიჭურვოს ნაპერწკალსაქრობებით, ხოლო წვად კონსტრუქციებში მათი გავლის ადგილები მოეწყოს ხანძარსაწინააღმდეგო დაცალკვევებით.
9. საწყობებში მარცვლულის განთავსებისას მანძილი ვენტილატორებიდან წვად კედლებამდე უნდა იყოს არანაკლებ 2,5 მ. ჰაერსადენები უნდა იყოს დამზადებული უწყვი მასალებისგან.

მუხლი 38. ხე-ტყის მასალების შენახვის ზოგადი მოთხოვნები

1. 10 000 მ³ მეტი ტევადობის ხე-ტყის მასალათა საწყობები უნდა შეესაბამებოდეს ხე-ტყის მასალათა საწყობების დაპროექტების ნორმების მოთხოვნებს.
2. 10 000 მ³ ნაკლები ტევადობის ხე-ტყის მასალათა საწყობებისათვის უნდა იყოს შემუშავებული და შეთანხმებული სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ორგანოებთან შტაბელების განლაგების გეგმები შესაბამისი მასალების ზღვრული მოცულობის, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების და შტაბელებს შორის გასასვლელების, აგრეთვე შტაბელებსა და მეზობელ ობიექტებს შორის გასასვლელების აღნიშვნით.
3. დაუშვებელია შტაბელებს შორის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებში ხე-ტყის მასალების, მოწყობილობების და ა.შ. დაწყობა.
4. შტაბელებისთვის გამოყოფილი ადგილები უნდა იყოს გაწმენდილი გრუნტამდე ბალახის საფარისაგან, წვადი ნაგვისაგან და ნარჩენებისაგან ან დაფარული არანაკლებ 15 სმ სისქის ქვიშის, მიწის ან ხრეშის ფენით.
5. თითოეული საწყობისთვის უნდა იყოს შემუშავებული ხანძრის ჩაქრობის ოპერატიული გეგმა შტაბელების, ბალანსის და ნაფოტის გროვების დასაშლელ-სადები ზომების განსაზღვრით, ტექნიკის და მომუშავეთა მიზიდვის შესაძლებლობის გათვალისწინებით. ეს გეგმა ყოველწლიურად, საგაზაფხულო-საზაფხულო ხანძარსაწინააღმდეგო პერიოდის დაწყებამდე უნდა გათამამდეს ობიექტის ყველა ცვლის მუშაკთა და სახანძრო დაცვის დანაყოფების პირადი შემადგენლობის მონაწილეობით.
6. ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების გარდა საწყობებში უნდა იყოს მოწყობილი პუნქტები (საგუმბაგები) სხვადასხვა სახის სახანძრო ტექნიკის მარაგით, რომელიც დადგენილია ხანძრის ჩაქრობის ოპერატიული გეგმებით.
7. საწყობში დასაშვებია მხოლოდ ხე-ტყის მასალათა შენახვასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება.
8. ხე-ტყის მასალათა საწყობებში მუშებისთვის სათავსები უნდა მოეწყოს მხოლოდ ცალკე მდგომ შენობებში, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების დაცვით და სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით. აღნიშნული სათავსების გასათბობად დასაშვებია მხოლოდ ქარხნული წარმოების ელექტროგასახურებელი მოწყობილობების გამოყენება.
9. მანძილი შიგა წვის ძრავებიანი ჯალამბრებიდან მრგვალი ხე-ტყის შტაბელებამდე უნდა იყოს არანაკლებ 15 მ. ჯალამბრის გარშემო მოედანი უნდა იყოს თავისუფალი ნაფოტებისგან, ქერქისაგან და სხვა წვადი ნარჩენებისა და ნაგვისგან. ძრავების გასამართი საწვავ-საოხი მასალების შენახვა დასაშვებია არაუმეტეს ერთი კასრის ოდენობით ჯალამბრებიდან არანაკლებ 10 მ და უახლოესი შტაბელებიდან 20 მ-ის დაშორებით.

მუხლი 39. დახერხილი ხე-ტყის საწყობები

1. დახერხილი ხე-ტყის შტაბელების დაწყობისას და დაშლისას ტრანსპორტირებისათვის მომზადებული პაკეტები უნდა იყოს განთავსებული მხოლოდ გასასვლელის ერთ მხარეს, ამასთანავე დარჩენილი სავალი გზის ნაწილის სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 4 მ. შტაბელებად დაუწყობელი დახერხილი ხე-ტყის საერთო მოცულობა არ უნდა აღმატებოდეს მათ საწყობში მისაწოდებელ სადღეღამისო რაოდენობას.
2. დაუშვებელია ტრანსპორტირებისათვის მომზადებული პაკეტების განთავსება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებში, გასასვლელებში, ხანძარსაწინააღმდეგო წყლის წყაროებთან მისასვლელებში.
3. მექანიზმების მუშაობის დროებით შეჩერების შემთხვევაში პაკეტების გადახარისხება და დაწყობა, საინვენტარო გადახურვების და საფენი მასალის შენახვა უნდა ხდებოდეს სპეციალურ მოედნებზე.
4. წყალგაუმტარი ქაღალდით ტრანსპორტირებისათვის მომზადებული პაკეტების შეფუთვა (თუ ეს ოპერაცია არ არის გათვალისწინებული ერთიან ტექნოლოგიურ პროცესში) უნდა განხორციელდეს სპეციალურად გამოყოფილ მოედნებზე.
5. გამოყენებული წყალგაუმტარი ქაღალდი, მისი ნაგლეჯები და ჩამონაჭრები აუცილებლად უნდა მოთავსდეს კონტეინერებში.
6. დახურულ საწყობებში შტაბელებსა და შენობის კედლებს შორის გასასვლელის სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 0,8 მ. საწყობების კარების ღიობების წინ უნდა იყოს დატოვებული კარების სიგანის ტოლი გასასვლელები, მაგრამ არანაკლებ 1 მ.
7. დახურულ საწყობებში დაუშვებელია ტიხრებისა და დამხმარე სათავსების მოწყობა.
8. დახურული საწყობების და ფარდულების ქვეშ მოედნების იატაკები უნდა იყოს უწყვი მასალების.

მუხლი 40. ნახშირის და ტორფის საწყობები

1. ნახშირის და ტორფის მოედნები უნდა იყოს დაგეგმილი ისე, რომ გამოირიცხოს ადიდებული ან გრუნტის წყლებით დატბორვა.
2. აკრძალულია:
 - ა) ახლად მოპოვებული ნახშირის დაწყობა ერთ თვეზე მეტი ხნის ნაყარზე;
 - ბ) საწყობებში ნახშირის და ტორფის მიღება თვითწვის აშკარად გამოვლენილი კერებით;
 - გ) კონვეიერით ცეცხლმოდებული ნახშირის და ტორფის ტრანსპორტირება და მათი გადატვირთვა რკინიგზის ტრანსპორტში ან ბუნკერში;



დ) ნახშირის და ტორფის შტაბელების დაწყობა სითბოს წყაროებზე (ორთქლსადენების, ცხელი წყლის სადენი მილების, გამთბარი ჰაერის არხების და ა.შ.), აგრეთვე ელექტროკაბელებსა და ნავთობარსადენებზე.

3. სხვადასხვა მარკის ნახშირი და ტორფის ყოველი სახეობა (ნატეხი, ფრეზერული) უნდა დაეწიოს ცალკეულ შტაბელებად.

4. ნახშირის დაწყობისას და მისი შენახვისას დაუშვებელია შტაბელებში ხის, ქსოვილის, ქაღალდის, თივის, ტორფის, აგრეთვე სხვა წვადი ნარჩენების მოხვედრა.

5. საწყობებში ხანგრძლივი შენახვისთვის მიწოდებული მყარი სათბობი (ნახშირი, ფიქალი, ტორფი) უნდა დაეწიოს შტაბელებად ვაგონებიდან მათი გადმოტვირთვისთანავე. დაუშვებელია გადმოტვირთული სათბობის შენახვა ნაყარის სახით ორ დღე-ღამეზე მეტი ხნით.

6. შტაბელებზე სარეგლამენტო სამუშაოების ჩატარებისთვის, აგრეთვე მექანიზმების და სახანძრო მანქანების გასასვლელად მანძილი შტაბელების ძირის საზღვრიდან შემოზღუდულ ღობემდე ან ამწეების ლიანდაგების ფუნდამენტამდე უნდა იყოს არანაკლებ 3 მ, ხოლო რელსის თავის გარე კიდემდე ან საავტომობილო გზის ბორდიურამდე – არანაკლებ 2 მ. დაუშვებელია გასასვლელებში მყარი სათბობის დაყრა და მოწყობილობებით მათი ჩახერგვა.

7. საწყობებში ნახშირის და ტორფის შტაბელებში უნდა ხდებოდეს ტემპერატურის სისტემატური კონტროლი მათ ნაპირებზე საკონტროლო ლითონის მილების და თერმომეტრის დაყენებით ან სხვა უსაფრთხო ხერხით.

8. 60°C-ზე ზევით ტემპერატურის აწევისას უნდა მოხდეს შტაბელების შემჭიდროება ტემპერატურის აწევის ადგილებში, გაცხელებული ნახშირის და ტორფის ამოღება ან ტემპერატურის დაწევის სხვა მეთოდების გამოყენება. შტაბელები, რომლებშიც შეინიშნება ტემპერატურის აწევა, უნდა გაიხარჯოს პირველ რიგში.

9. დაუშვებელია ნახშირის წყლით ჩაქრობა ან გაცივება უშუალოდ შტაბელებში. ცეცხლმოდებული ნახშირის ჩაქრობა წყლით უნდა ხდებოდეს მხოლოდ შტაბელიდან ამოღების შემდეგ.

10. შტაბელებში ნატეხი ტორფის ანთებისას კერები უნდა დაიტბოროს წყლით დამასველებლის დამატებით ან დაიფაროს ტენიანი ტორფის მასით, ხოლო შემდეგ შტაბელის დაზიანებული ნაწილი დაიშალოს. ცეცხლმოდებული ფრეზერული ტორფი უნდა იყოს მოცილებული, ხოლო დარჩენილი ჩაღრმავებული ადგილი შეივსოს ტენიანი ტორფით და დაიტკეპნოს.

11. დაუშვებელია თვითანთებული ნახშირის ან ტორფის გაცივების ან ჩაქრობის შემდეგ მათი კვლავ შტაბელებად დაწყობა.

თავი VIII

სამშენებლო-სამონტაჟო და სარესტავრაციო სამუშაოები

მუხლი 41. ზოგადი მოთხოვნები

1. მშენებლობის დაწყებამდე სამშენებლო მოედნიდან უნდა იყოს აღებული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებში მდებარე ყველა შენობა-ნაგებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათთვის უნდა იყოს შემუშავებული ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

2. მშენებლობის ტერიტორიაზე საწყობების, საწარმოო და დამხმარე შენობა-ნაგებობის განლაგება უნდა შეესაბამებოდეს დადგენილი წესით დამტკიცებულ გენერალურ გეგმას, ამ წესებს და დარღვევების ნორმების მოთხოვნებს. დაუშვებელია სამშენებლო ტერიტორიაზე ნაგებობების განლაგება ნორმების, წესების და დამტკიცებული გენერალური გეგმის დარღვევით.

3. 5 ჰა და მეტი ფართობის მშენებლობის ტერიტორიაზე უნდა მოეწიოს არანაკლებ ორი, მოედნის საპირისპირო მხარეებზე განლაგებული შესასვლელი. სახანძრო მანქანების გასასვლელი გზები უნდა იყოს გამართული წლის ნებისმიერ დროს. შესასვლელი ჭიშკრების სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 4 მ.

4. სამშენებლო მოედნების შესასვლელებთან უნდა იყოს გამოკრული მშენებლობის ხანძრისგან დაცვის გეგმები, მშენებარე და დამხმარე შენობების და ნაგებობების, შესასვლელების, მისასვლელების, წყლის წყაროების, ხანძრის ჩაქრობის და კავშირგაბმულობის საშუალებათა ადგილმდებარეობის აღნიშვნით.

5. ყველა მშენებარე და მოქმედ (მათ შორის, დროებით) შენობასთან, სამშენებლო მასალების, კონსტრუქციების და დანადგარების ღიად შენახვის ადგილებამდე უნდა იყოს უზრუნველყოფილი თავისუფალი მისასვლელი. მშენებარე შენობებთან მისასვლელების და გზების მოწყობა უნდა დამთავრდეს ძირითადი სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. 18 მ-ზე მეტი სიგანის შენობის გასწვრივ გასასვლელი უნდა იყოს ორი გრძივი მხრიდან, ხოლო 100 მ-ზე მეტი სიგანის – შენობის ირგვლივ. მანძილი სავალი გზის ნაპირიდან შენობების, ნაგებობების და მოედნების კედლებამდე არ უნდა აღემატებოდეს 25 მ.

6. წვადი მასალების ღია საწყობების, აგრეთვე წვადი და ძნელად წვადი მასალებით ნაგები საწყობების, საწარმოო და დამხმარე სათავსებით დაკავებული ტერიტორია უნდა იყოს გაქმენდილი ხმელი ბალახის, შამხნარის, ქერქისა და ნაფოტებისგან. ღია მოედნებზე შესანახად განკუთვნილი წვადი სამშენებლო მასალები (დახერხილი ხე-ტყე, ტოლი, რუბეროიდი და სხვ.), წვადი მასალების გამოყენებით დამზადებული ნაკეთობები და კონსტრუქციები, აგრეთვე წვად შეფუთვებში მოთავსებული მოწყობილობები და ტვირთები უნდა დაიწყოს შტაბელებად ან ჯგუფებად არა უმეტეს 100 მ² ფართობზე. მანძილი შტაბელებს (ჯგუფებს) შორის და მათგან მშენებარე ან დამხმარე შენობა-ნაგებობამდე უნდა იყოს არანაკლებ 24 მ.

7. მშენებარე შენობებში დასაშვებია დროებითი სახელოსნოების და საწყობების მოწყობა (გარდა წვადი ნივთიერებების და მასალების, ძვირადღირებული და ფასეული დანადგარების, წვად შეფუთვებში მოთავსებული დანადგარების, წვადი მასალების დამუშავებასთან დაკავშირებული საწარმოო სათავსების ან დანადგარების საწყობებისა) ამ წესების მოთხოვნათა შესრულების პირობით და სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

8. ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო სათავსების მოწყობა დასაშვებია შენობის იმ ნაწილებში, რომელიც გამოყოფილია I ტიპის ხანძარსაწინააღმდეგო ყრუ ტიხრებით და III ტიპის ხანძარსაწინააღმდეგო გადახურვებით.

9. დაუშვებელია დროებითი საწყობების (საკუჭნაოების), სახელოსნოების და ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო სათავსების მოწყობა იმ ნაგებობაში, რომელიც შენდება ცეცხლისგან დაუცველი მზიდი ლითონის კონსტრუქციებისა და წვადი პოლიმერული მათბუნებლიანი პანელების გამოყენებით.

10. ჩაუქრალი კირი უნდა ინახებოდეს ცალკემდგომ დახურულ სათავსებში. ამ სათავსების იატაკი უნდა იყოს აწეული მიწის დონიდან არანაკლებ 0,2 მ-ით. ჩაუქრალი კირის შენახვისას უნდა იყოს მიღებული ზომები მასში ტენის და წყლის მოხვედრის თავიდან აცილების მიზნით.

11. ორმოები კირის ჩასაქრობად დასაშვებია მოეწყოს მისი შესანახი საწყობიდან არანაკლებ 5 მ და სხვა შენობა-ნაგებობებთან და საწყობებიდან არანაკლებ 15 მ დაშორებით.



12. რეკონსტრუქციის, გაფართოების, ტექნიკური გადაიარაღების, კაპიტალური შეკეთების და ობიექტების ექსპლუატაციაში მიღებისას მშენებარე ნაწილი უნდა იყოს გამოყოფილი მოქმედი სახანძრო I ტიპის ხანძარსაწინააღმდეგო ტიხრებით და III ტიპის ხანძარსაწინააღმდეგო გადახურვებით, ამასთანავე არ უნდა დაირღვეს შენობა-ნაგებობების ნაწილებიდან ხალხის უსაფრთხო ევაკუაციის პირობები.

13. სამ და მეტ სართულიანი შენობების მშენებლობისას კიბეები უნდა დამონტაჟდეს კიბის უჯრედის მოწყობასთან ერთად.

14. ხის პწკალის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ერთი ან ორსართულიანი შენობების კიბის უჯრედებში.

15. უწვი კიბის საფეხურების დაზიანებისგან დაცვის მიზნით (მშენებლობის პერიოდში) დასაშვებია მათი წვადი მასალებით დაფარვა.

16. მშენებარე შენობების პროექტით გათვალისწინებული გარე სახანძრო კიბეები და სახურავების მოაჯირი უნდა იყოს მოწყობილი მზიდი კონსტრუქციების დამონტაჟებისთანავე.

17. შენობის მშენებლობისას ხარაჩოები და ფიცარნაგები უნდა მოეწყოს საევაკუაციო გზების დაპროექტების ნორმებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შესაბამისად, ხის ხარაჩოები და ყალიბი უნდა იყოს გაუღნითილი ცეცხლდამცავი შემადგენლობით. შენობის გარეთ მოწყობილი ხის ხარაჩოებისა და ყალიბის გაუღნითა (ზედაპირული) ცეცხლდამცავი შემადგენლობით შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ზაფხულის პერიოდში.

18. სამ და მეტ სართულიანი შენობების მშენებლობისას, როგორც წესი, უნდა იყოს გამოყენებული საინვენტარო ლითონის ხარაჩოები, რომელიც უნდა აღიჭურვოს კიბით შენობის პერიმეტრის ყოველ 40 მ. მაგრამ არანაკლებ ორი კიბით – მთელ შენობაზე.

19. ხარაჩოების ფენილი და ფიცარნაგები პერიოდულად და სამუშაოების დამთავრების შემდეგ უნდა გაიწმინდოს ნაგვისაგან, თოვლისა და ყინულისაგან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დაიფაროს ქვიშით.

20. დაუშვებელია ხარაჩოების კონსტრუქციების გადახურვა (დათბუნება) წვადი მასალებით (ვანერით, პლასტიკით, ხის ბოჭკოს ფილით, ბრეზენტით და სხვ.).

21. მშენებლობის პერიოდში მადლივი ნაგებობებიდან (საკვამლე მილებიდან, კომპლური შხეფსაცივრებიდან, კაშხალებიდან, სილოსის სათავსებიდან და სხვ.) ხალხის საევაკუაციოდ საჭიროა არანაკლებ ორი კიბის მოწყობა უწვი მასალებისაგან.

22. წვადი და ძნელად წვადი მასალების ყალიბი ერთდროულად შეიძლება მოეწყოს არა უმეტეს სამ სართულზე. ბეტონის საჭირო სიმტკიცის მიღწევის შემდეგ ხის ყალიბი და ხარაჩოები უნდა იქნეს გატანილი შენობიდან.

23. შენობა-ნაგებობების შიგნით დაუშვებელია წვადი ნივთიერებების და მასალების გამოყენებით სამუშაოების ჩატარება იმ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებთან ერთად, რომელიც სრულდება ღია ცეცხლის გამოყენებით (შედულება და ა.შ.).

24. ლითონის კონსტრუქციების ცეცხლისგან დაცვის სამუშაოები, მათი ცეცხლმდეგობის ზღვრის გაზრდის მიზნით უნდა განხორციელდეს შენობის აგებასთან ერთად.

25. შენობებში წვადი მასალების არსებობისას უნდა იყოს მიღებული ზომები კედლების და გადახურვების ღიობებში ხანძრის გავრცელების თავიდან ასაცილებლად (შიდა და გარე კედლებისა და სართულთშორისი გადახურვების პირაპირების ჰერმეტიზაცია, საინჟინრო კომუნიკაციების გაყლის ადგილების შემჭიდროება ცეცხლმდეგობის საჭირო ზღვრების უზრუნველყოფით).

26. შენობა-ნაგებობების დროებითი დათბუნებისას ღიობები უნდა ამოივსოს უწვი და ძნელად წვადი მასალებით.

27. მშენებლობისას იატაკის მოსაწყობად და სხვა სამუშაოების ჩასატარებლად უნდა იქნეს გამოყენებული უწვი და ძნელად წვად მასალების დროებითი ნაგებობები (თბოკარავი).

28. წვად მათბუნებლიანი კონსტრუქციების მონტაჟთან ან წვადი მათბუნებლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოები უნდა სრულდებოდეს სპეციალური ნებართვის მიხედვით, რომელიც გაცემულია სამუშაოების შემსრულებლებზე და ხელმოწერილია მშენებლობის სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. ნებართვაში უნდა იყოს აღნიშნული სამუშაოს წარმოების ადგილი, ტექნოლოგიური თანამიმდევრობა, ხერხები, კონკრეტული ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები და მისი მოქმედების ვადა (ნებართვის ფორმა მოცემულია დანართ 4-ში). სამუშაოების ჩატარების ადგილებში უნდა იყოს გამოკრული ანშლაგები „ცეცხლსაშიშა – ადვილად აღებადი მათბუნებელი“.

29. გადახურვაზე წვადი მათბუნებლების დაგება, ჰიდროიზოლიაციისა და ხრემის დამცავი ფენის მოწყობა, ასევე წვადი მათბუნებლების გამოყენებით დამზადებული შემომზლუდავი კონსტრუქციების მონტაჟი უნდა განხორციელდეს არა უმეტეს 500 მ² ფართობის უბნებზე. სამუშაოების შესრულების ადგილებში მათბუნებლების და გადახურვის რულონური მასალების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთი ცვლის მოთხოვნებს.

30. წვადი მათბუნებელი უნდა ინახებოდეს მშენებარე შენობის გარეთ, განცალკევებულ ნაგებობაში ან სპეციალურ მოედანზე მშენებარე და დროებითი შენობა-ნაგებობებიდან და საწყობებიდან არანაკლებ 18 მ-ის დაშორებით. სამუშაო ცვლის დამთავრების შემდეგ დაუშვებელია გამოყენებული წვადი ან ძნელად წვადი მათბუნებლის, მათბუნებლიანი დაუმონტაჟებელი პანელების და გადასახური რულონური მასალების დატოვება შენობების შიგნით ან სახურავებზე, აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებში.

31. თბოიზოლიაციის მოწყობის შემდეგ ნაკვეთურები უნდა გაიწმინდოს ნარჩენებისაგან და დაუყოვნებლივ დაიფაროს პროექტით გათვალისწინებული ცეცხლდამცავი ფენით. წვადი თბოიზოლიაციის დაუცველი ფართობი სამუშაოების წარმოების პროცესში არ უნდა აღემატებოდეს 500 მ².

32. წვადი და ძნელად წვადი მათბუნებლებიანი პანელების ლითონის შემონაკერების დაზიანებისას დაუყოვნებლივ უნდა იყოს მიღებული ზომები მათ შესაკეთებლად და აღსადგენად მექანიკური შეერთებების (ჭანჭიკის და ა.შ.) მეშვეობით.

33. პოლიმერულ მათბუნებლიანი პანელების მონტაჟის, გადახურვებზე პოლიმერული მათბუნებლების დაგების და სახურავების მოწყობის სამუშაოების დაწყებამდე უნდა იყოს შესრულებული პროექტით გათვალისწინებული ყველა შემოღობვა და შენობის გადახურვაზე გასასვლელი (კიბის უჯრედებიდან, გარე კიბეებით). ხანძრის შესახებ შეტყობინებისათვის გადახურვებზე, გასასვლელთან უნდა იყოს ტელეფონები ან კავშირგაბმლობის სხვა საშუალებები.

34. 1000 მ² და მეტი ფართობის გადახურვებზე წვადი ან ძნელად წვადი მათბუნებლების დაგებისას, სახურავებზე ხანძრის ჩაქრობის მიზნით უნდა იყოს გათვალისწინებული დროებითი ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენის გაყვანა. სახანძრო ონკანებს შორის მანძილი უნდა იქნეს მიღებული იმ პირობით, რომ წყლის მიწოდება სახურავის ნებისმიერ წერტილში ხდებოდეს ორი ნაკადით. თითოეული ნაკადის ხარჯი უნდა შეადგენდეს 5 ლ/წმ.

35. სახურავზე ჰიდრო და ორთქლიზოლიაციის მოწყობისას, წვადი და ძნელად წვადი მათბუნებლებიანი პანელების მონტაჟისას დაუშვებელია ელექტროსამშენებლო და ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების ჩატარება. (სახურავის) მონტაჟისას დაუშვებელია ყველა სამუშაო უნდა ჩატარდეს წვადი და ძნელად წვადი მასალების გამოყენებამდე.

36. ორთქლსაიზოლიაციო ფენის დაწებებისას დაუშვებელია პროფილირებული ფენისლის წიბოების გამოყენება მსტრემის მასტრეით და პროექტით გათვალისწინებული მასტიკის შესქელებული შრეების წარმოქმნა.



37. აგრეგატების გამოყენებით სქელფენიანი რულონური მასალების დადუღაბება დასაშვებია მხოლოდ სახურავების რკინაბეტონის ფილებზე მოწყობისას და გადახურვებზე უწყვი მათუნებლის გამოყენებისას. სახურავზე აგრეგატების საწვავით გამართვა უნდა ჩატარდეს სპეციალურ, ორი ცეცხლსაქრობით და ქვიშიანი ყუთით უზრუნველყოფილ ადგილზე. სახურავზე აგრეგატების გასამართი საწვავის და საწვავის ცარიელი ტარის შენახვა დაუშვებელია.

38. მობილური (საინვენტარო) შენობის გასათბობად, როგორც წესი, უნდა იყოს გამოყენებული ორთქლის და წყლის კალორიფერები, აგრეთვე ქარხნული წარმოების ელექტროგამახურებლები.

39. ტანსაცმლის და ფეხსაცმლის გაშრობა უნდა ხდებოდეს ამ მიზნისთვის სპეციალურად მოწყობილ სათავსებში, შენობა-ნაგებობებში, რომლებსაც გააჩნია წყლის ცენტრალური გათბობა, ან წყლის კალორიფერები. დაუშვებელია საშრობების მოწყობა ტამბურებსა და შენობების გასასვლელებთან განლაგებულ სხვა სათავსებში.

40. პოლიმერული მათუნებლების მქონე შენობებში სამშენებლო სამუშაოების ჩატარების პერიოდში დასაშვებია მხოლოდ საჭიერო ან წყლის გათბობის სისტემების გამოყენება, საცეცხლე მოწყობილობის განთავსება შენობის საზღვრებს გარეთ არანაკლებ 18 მ-ის მანძილზე ან ხანძარსაწინააღმდეგო კედლის უკან.

41. დაუშვებელია თბოკარავში ღია ცეცხლის გამოყენება, აგრეთვე საცეცხლე სამუშაოების ჩატარება, ელექტროკალორიფერების და ინფრაწითელი გამოსხივების აირის სანთურების გამოყენება.

42. მოძრავი და სტაციონარული ინფრაწითელი გამოსხივების სანთურებიანი დანადგარები უნდა იყოს აღჭურვილი ავტობლოკირებით, რომელიც შეწყვეტს გაზის მიწოდებას სანთურის ჩაქრობისას.

43. იატაკზე დასადგმელ, ინფრაწითელი გამოსხივების აირის სანთურებიან მოძრავ დანადგარებს უნდა ჰქონდეს სპეციალური მყარი საყრდენი. აირის ბალონი უნდა იყოს მოთავსებული დანადგარიდან და სხვა გამთბობი ხელსაწყოებიდან არანაკლებ 1,5 მ, ხოლო ელექტრომრიცხველიდან, გამომრთველიდან და სხვა ელექტროხელსაწყოებიდან – არანაკლებ 1 მ-ის მანძილზე.

44. მანძილი სანთურებიდან წვადი მასალების კონსტრუქციამდე უნდა იყოს არანაკლებ 1 მ, ძნელად წვად კონსტრუქციამდე – არანაკლებ 0,7 მ, უწყ კონსტრუქციამდე – არანაკლებ 0,4 მ.

45. ინფრაწითელი გამოსხივების აირის სანთურებიან დანადგარებთან დაუშვებელია წვადი და ძნელად წვადი ნივთიერებების და მასალების შენახვა, აგრეთვე სამუშაოების ჩატარება მათი გამოყენებით.

46. ინფრაწითელი გამოსხივების სანთურების ექსპლუატაციისას აკრძალულია:

- ა) დანადგარის ხმარება სათავსებში ბუნებრივი განიავების ან შესაბამისი ჰერმეტიკის ჯერადობის უზრუნველყოფი ხელოვნური ვენტილაციის გარეშე, აგრეთვე სარდაფის და ცოკოლის სართულებში;
- ბ) სანთურების გამოყენება, თუ შეიმჩნევა ალი ან სანთურების კერამიკა დაზიანებულია;
- გ) დანადგარის ხმარება, თუ შენობაში იგრძნობა აირის სუნის;
- დ) სანთურის სხივების მიმართვა უშუალოდ წვადი მასალების, აირის ბალონების, აირსადენების, ელექტროსადენებისკენ;
- ე) გაზის ბალონებთან ღია ცეცხლის გამოყენება. ღია მოედნებზე მუშაობისას (სამუშაო ადგილების გასათბობად და დანამული უბნების გასაშრობად) უნდა იყოს გამოყენებული მხოლოდ ქარგამძლე სანთურები.

47. ჰაერგამახურებელი დანადგარები უნდა იყოს მოთავსებული მშენებარე შენობიდან არანაკლებ 5 მ-ის დაშორებით.

48. საწვავის საცავი უნდა იყოს არა უმეტეს 200 ლ ტევადობის, მდებარეობდეს ჰაერგამახურებელიდან არანაკლებ 10 მ-ის და მშენებარე შენობიდან არანაკლებ 15 მ-ის მანძილზე. ჰაერგამახურებელს საწვავი უნდა მიეწოდოს ლითონის მილსადენით.

49. შეერთებები და არმატურა უნდა იყოს ქარხნული წარმოების და დამონტაჟებული ისე, რომ გამოირიცხოს საწვავის გაჟონვა. მილსადენებზე, სახარჯ ავზთან, უნდა იყოს ჩამკეტი სარკველი ხანძრის ან ავარიის შემთხვევაში დანადგარისათვის საწვავის მიწოდების შესაწყვეტად.

50. აირის საწვავზე მომუშავე დანადგარების მონტაჟისას და ექსპლუატაციისას უნდა იყოს შესრულებული შემდეგი მოთხოვნები:

- ა) თბომწარმოებელ დანადგარებს უნდა ჰქონდეთ ქარხნული წარმოების სტანდარტული სანთურები;
- ბ) სანთურები უნდა მუშაობდეს უწყვეტი ალით, აგრეგატის თბური დატვირთვის აუცილებელი რეგულირების ფარგლებში;
- გ) თბომწარმოებელი დანადგარებიანი სათავსების ვენტილაცია უნდა უზრუნველყოს სამჯერადი ჰერმეტიკაცია.

51. თბომწარმოებელი დანადგარების ექსპლუატაციისას აკრძალულია:

- ა) მუშაობა იმ დანადგარებზე, რომელთა საწვავსადენების ჰერმეტიკობა დარღვეულია, ფრქვევანას კორპუსის შეერთებები თბომწარმოებელ დანადგართან არამჭიდროა, კვამლსადენები გაუმართავია (რაც იწვევს წვის პროდუქტების სათავსებში შეღწევას), ელექტრომრავლები და გამშვები აპარატურა გაუმართავია, აგრეთვე თუ ელექტრომრავლებს არ გააჩნიათ თბოდაზიანებები და სხვა;
- ბ) დაურეგულირებელი ფრქვევანით მუშაობა (საწვავის არანორმალური წვისას);
- გ) რეზინის ან პოლიეთილენის შლანგების და ქუროების გამოყენება საწვავსადენების შესაერთებლად;
- დ) წვადი ღობეების მოწყობა დანადგარებთან და სახარჯ ავზებთან;
- ე) ღია ალით საწვავსადენების გათბობა;
- ვ) თბომწარმოებელი დანადგარის გაშვება ხანმოკლე გაჩერების შემდეგ განიავების გარეშე;
- ზ) დანადგარის საჭკრეტელიდან ანთება;
- თ) თბომწარმოებელი დანადგარის მუშაობისას სანთურების ელექტროდებს შორის ღრეჩოს რეგულირება;
- ი) თბომწარმოებელი დანადგარის მუშაობა ჰაერამღებ კოლექტორებზე დამცავი გისოსის გარეშე.

52. დაუშვებელია ელექტროკალორიფერის კორპუსსა და ვენტილატორს შორის წვადი საფენის გამოყენება.

53. ძირითადი სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მშენებლობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგებით წყალსადენის ქსელზე დაყენებული სახანძრო ჰიდრანტებიდან ან რეზერვუარებიდან (წყალსატევებიდან).

54. პროექტით გათვალისწინებული შიდა ხანძარ-საწინააღმდეგო წყალსადენი და ხანძრის ჩაქრობის ავტომატური დანადგარები უნდა იყოს დამონტაჟებული ობიექტის აგებასთან ერთად. ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენი უნდა ამოქმედდეს მოსაპირკეთებელი სამუშაოების დაწყებამდე, ხოლო ხანძრის ჩაქრობის და აღმოჩენის ავტომატური დანადგარები – გასაშვებ-გასამართი სამუშაოების დაწყების მომენტისათვის (საკაბელო ნაგებობებში – კაბელების გაყვანამდე).

55. ძირითადი ნაგებობების და სამშენებლო ბაზის მშენებლობის დაწყებამდე უნდა იყოს გამოყოფილი სპეციალური, დათბული სათავსები სახანძრო დაცვის სამსახურის ან მოხალისე რაზმის და ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკის განსათავსებლად. პროექტით გათვალისწინებული სახანძრო დეპო უნდა იყოს აგებული მშენებლობის პირველ ეტაპზე და დაუშვებელია დეპოს შენობების გამოყენება სხვა მიზნებისთვის.



თავი IX
ხანძარსაშიში სამუშაოები

მუხლი 42. სამღებრო სამუშაოები

1. ყველა სახის ლაქის და საღებავის მომზადება და გაზავება უნდა განხორციელდეს იზოლირებულ სათავსებში, გარე კედლების ფანჯრების ღიობებთან ან ღია მოედნებზე. სამღებრო მასალების მიწოდება უნდა განხორციელდეს ცენტრალიზებულად მზა მდგომარეობაში. დასაშვებია საღებავი მასალების მოთავსება სამქროს საკუქნაოში იმ რაოდენობით, რომელიც არ აღემატება ერთი ცვლის მოთხოვნილებას. ლაქსა-ღებავების ტარა უნდა იყოს მჭიდროდ დახურული და შენახული სპეციალურად გამოყოფილ მოედნებზე.
2. სამღებრო და საღებავდამამზადებელი სათავსები უნდა იყოს აღჭურვილი დამოუკიდებელი მექანიკური შემწვავ-გამწოვი ვენტილაციით და სამღებრო კამერებიდან, ამოვლების აბაზანებიდან, მოჭიქვის დანადგარებიდან, ხელით ღებვის ადგილებიდან, საშრობი კამერებიდან და ა.შ. ადგილობრივი გამწოვი სისტემებით. დაუშვებელია სამღებრო სამუშაოების ჩატარება იმ შემთხვევაში, როცა ვენტილაციის სისტემები გამორთულია.
3. იატაკზე დაღვრილი ლაქსაღებავი მასალები და გამხსნელები დაუყოვნებლივ უნდა გაიწმინდოს ნახერხით, წყლით და სხვა საშუალებებით. დაუშვებელია იატაკის, კედლების და დანადგარების გაწმენდა წვადი გამხსნელებით.
4. სამღებრო კამერები უნდა იყოს უწყვი მასალის და აღჭურვილი ადგილობრივი გაწოვის ავტონომიური სისტემებით, რომლებთან ბლოკირებულია საღებავ-მღვრველებთან ლაქსაღებავი მასალების ან შეკუმშული ჰაერის მიმწოდებელი მოწყობილობები. საღებავსაჭირობი ავზების გაფრქვევით შედეგად უნდა წარმოებდეს სამღებრო კამერებს გარეთ.
5. ელექტროსტატიკურ ველში შეღებვისას ელექტრომდებავ დანადგარებს უნდა ჰქონდეს დამცავი ბლოკირება, რომელიც გამორიცხავს ადგილობრივი გაწოვის სისტემების ან კონვეიერის გაჩერების შემთხვევაში გამფრქვევი მოწყობილობების ჩართვის შესაძლებლობას.

მუხლი 43. წებოს, მასტიკის, ბიტუმის, პოლიმერული და სხვა წვადი ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოები

1. სათავსები და სამუშაო ზონები, სადაც გამოიყენება ფეთქებადხანძარსაშიში ორთქლის გამოყოფი წვადი ნივთიერებები (შემადგენლობის დამზადება და ნაკეთობის დაფარვა), უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბუნებრივი ან იძულებითი შემწვავ-გამწოვი ვენტილაციით. სამუშაოების უსაფრთხო ჩატარებისათვის ჰაერმიმოცვლის ჯერადობა განისაზღვრება სამუშაოების წარმოების პროექტით გათვალისწინებული გაანგარიშების შესაბამისად.
2. წვადი ნივთიერებების გამოყენებისას მათი რაოდენობა სამუშაო ადგილზე არ უნდა აღემატებოდეს ერთი ცვლის მოთხოვნებს. ჭურჭელი წვადი ნივთიერებებით უნდა გაიხსნას მხოლოდ გამოყენებამდე, ხოლო სამუშაოს დამთავრების შემდეგ – დაიხუროს და ჩაბარებულ იქნეს საწყობებში. წვადი ნივთიერებების ტარა უნდა ინახებოდეს შენობებს გარეთ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.
3. იატაკის დაფარვა წვადი მასალით უნდა განხორციელდეს, როგორც წესი, ბუნებრივი განათებისას. სამუშაოები უნდა დაიწყო სათავსის გასასვლელების ყველაზე დაშორებული ადგილებიდან, ხოლო დერეფნებში – სათავსებში სამუშაოების დამთავრების შემდეგ.
4. ეპოქსიდური ფისით, წებოთი, მასტიკით, მათ შორის, სინთეზური ფისის ლაქსაღებავით დაფარვა, ფილებისა და რულონური მასალების დაწებება უნდა განხორციელდეს ყველა სამშენებლო-სამონტაჟო და სანიტარიულ-ტექნიკური სამუშაოს დამთავრების შემდეგ, სათავსების საბოლოო შეღებვამდე.
5. წვადი ნივთიერებებით სამუშაოების ჩასატარებლად უნდა იყოს გამოყენებული ისეთი მასალებისგან დამზადებული იარაღი, რომელიც არ წარმოქმნის ნაპერწკლებს (ალუმინი, სპილენძი, პლასტმასა, ბრინჯაო და ა.შ.). სამუშაოს შესრულებისას გამოყენებული იარაღები და დანადგარები უნდა გაირეცხოს ღია მოედანზე ან ვენტილაციის მქონე სათავსში.
6. სათავსები, სადაც ტარდება სამუშაოები წვადი ნივთიერებებისა და მასალების გამოყენებით, უნდა იყოს უზრუნველყოფილი ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით იმ ანგარიშით, რომ სათავსის 100 მ²-ზე მოდიოდეს ორი ცეცხლსაქრობი და ქება.
7. ბიტუმის და ფისის გასადნობი ქვაბები არ უნდა იყოს დაზიანებული. დაუშვებელია ქვაბების მოწყობა სხვენის სათავსებში ან სახურავზე.
8. თითოეული ქვაბი უნდა იხურებოდეს მჭიდროდ, უწყვი მასალებისგან დამზადებული სახურავით. დასაშვებია ქვაბების ავსება მათი ტევადობის არა უმეტეს 3/4-მდე. ქვაბში ჩასატვირთი შემცვენი უნდა იყოს მშრალი.
9. საცეცხლეში მასტიკის ჩაქვევის და მისი აალების თავიდან აცილების მიზნით ქვაბი უნდა დაიდგას დაქანებით ისე, რომ საცეცხლის მხარეს მოქცეული ქვაბის პირი იყოს მოპირდაპირე მხარეზე 5-6 სმ მაღლა. საცეცხლე ღიობი უნდა იყოს აღჭურვილი უწყვი მასალებისგან დამზადებული გადასახსნელი საფარით.
10. სამუშაოების დამთავრების შემდეგ ქვაბების საცეცხლეები უნდა ჩაქრეს და დაეხსას წყალი.
11. ხანძრის ჩაქრობის მიზნით ბიტუმის ხარშის ადგილები უნდა იყოს უზრუნველყოფილი 0,5 მ² ტევადობის მშრალი ქვიშით ავსებული ყუთებით, ნიჩბებით და ცეცხლსაქრობებით.
12. გადასაადგილებელი ქვაბების თხევად აირზე მუშაობისას, აირის ბალონები (არა უმეტეს ორი ცალი) უნდა იყოს მოთავსებული ვენტილაციის მქონე უწყვი მასალებისგან დამზადებული კარაღებში. კარაღები უნდა განთავსდეს მომუშავე ქვაბებიდან არანაკლებ 20 მ-ის მანძილზე და უნდა იყოს მუდმივად ჩაკეტილი.
13. მასტიკის ხარშის და გათბობის ადგილები უნდა იყოს შემოზვინული (ან ჰქონდეს უწყვი მასალის ბორტები) არანაკლებ 0,3 მ სიმაღლეზე.
14. ქვაბების დაყენება დასაშვებია ჯგუფებად, არა უმეტეს სამი ქვაბისა ჯგუფში. მანძილი ქვაბების ჯგუფებს შორის უნდა იყოს არანაკლებ 9 მ. მასტიკის და ბიტუმის ხარშის და გათბობის ადგილი უნდა იყოს მოწყობილი სპეციალურად გამოყოფილ მოედნებზე, შემდეგი მანძილების დაცვით:
 - ა) IIIბ, IV, IVა, V ხარისხის ცეცხლმდეგობის შენობა-ნაგებობებიდან არანაკლებ 30 მ-ის დაშორებით;
 - ბ) III, IIIა ხარისხის ცეცხლმდეგობის შენობა-ნაგებობებიდან არანაკლებ 20 მ-ის დაშორებით;
 - გ) I, II ხარისხის ცეცხლმდეგობის შენობა-ნაგებობებიდან არანაკლებ 10 მ-ის დაშორებით.
15. სათავსებში ბიტუმის შემადგენლობის გათბობა უნდა წარმოებდეს ელექტრომესათბობიანი ავზებში. დაუშვებელია შესათბობად ღია ცეცხლის გამოყენება.

16. ცხელი ბიტუმის მასტიკის მიწოდება სამუშაო ადგილებთან უნდა განხორციელდეს:
 - ა) წაკვეთილი კონუსის ფორმის სპეციალური ლითონის მჭიდრო სახურავებიანი ავზებით, რომელთა განიერი მხარე მიმართულია ქვემოთ; სახურავებს უნდა ჰქონდეს ჩამკეტი მოწყობილობები, რომლებიც გამორიცხავს ავზის შემთხვევით გახსნას; მასტიკის გადატანა უნდა ტარდებოდეს აკრძალულია;



ბ) ტუმბოიანი ფოლადის მილსადენით, რომელიც დამაგრებულია სამშენებლო კონსტრუქციების ვერტიკალურ უბნებზე (გაჟონვის გამორიცხვით). ჰორიზონტალურ უბნებზე მასტიკის მიწოდება დასაშვებია თერმომედეგი შლანგით. ფოლადის მილთან შლანგის შეერთების ადგილზე უნდა იყოს წამოცმული 40-50 სმ სიგრძის დამცავი ბუდე (ბრუნეტის ან სხვა მასალის). მასტიკის დასატანი დაწადგარის ავზის ავსებისთანავე მასტიკა უნდა ამოიტუმბოს მილსადენიდან.

17. დაუშვებელია ბიტუმის შემადგენილობის ხარშვისა და გათბობის პროცესში ქვაბების მიტოვება უმეთვალყურეოდ.

18. ბიტუმის მასტიკის დამზადებისას დაუშვებელია გამხსნელების შეთბობა.

19. გაცხელებული ბიტუმი უნდა ჩაისხას გამხსნელში (ბენზინი, სკიპიდარი და ა.შ.). მორევა დასაშვებია მხოლოდ ხის სარეკით.

20. დაუშვებელია ღია ცეცხლის გამოყენება ბიტუმის გამხსნელთან შერევის ადგილიდან 50 მ-ის რადიუსში.

მუხლი 44. ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოები

1. დროებით ადგილებზე ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა სამუშაოს ჩასატარებლად (სამშენებლო მოედნებისა და კერძო სახლების გარდა) ობიექტის ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს მომეტებული სამიშროების სამუშაოების შესრულებაზე ნებართვის (დანართი 4) მომზადება.

2. ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარების ადგილები უნდა იყოს უზრუნველყოფილი ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით (ცეცხლსაქრობი, ყუთი ქვიშითა და ნიჩბით, ვედრო წყლით).

3. დაუშვებელია ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩასატარებლად მუდმივი ადგილების მოწყობა ხანძარსაში და ფეთქებადხანძარსაში სათავსებში.

4. ტექნოლოგიური მოწყობილობა, რომელზეც გათვალისწინებულია ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება, უნდა იყოს მოყვანილი ფეთქებადხანძარსაფრთხო მდგომარეობაში შემდეგი ხერხებით:

ა) ფეთქებადხანძარსაში ნივთიერებებისგან გათავისუფლებით;

ბ) მოქმედი კომუნიკაციებიდან გათიშვით (გარდა კომუნიკაციებისა, რომლებიც გამოიყენება ცეცხლთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებისათვის);

გ) წინასწარი გაწმენდით, გარეცხვით, გაორთქვით, ვენტოლაციით, სორბციით, ფლეგმატიზაციით და ა.შ.

5. ტექნოლოგიური დანადგარების გაორთქლისას მიწოდებული წყლის ორთქლის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს წვადი ორთქლის (გაზის) თვითაალების ტემპერატურის 80 %-ს.

6. ტექნოლოგიური მოწყობილობა უნდა გაორთქლოს, როცა მასში ორთქლის (გაზის) კონცენტრაცია სცილდება აალების ზღვრულ მნიშვნელობას ან ელექტროსტატიკურად უსაფრთხო რეჟიმში.

7. ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებისთვის განკუთვნილი სათავსების, აგრეთვე მოწყობილობებისა და კომუნიკაციების გასუფთავების ხერხებმა არ უნდა გამოიწვიოს ფეთქებადსაშიში ორთქლ- და მტვერჭაერის ნარეგების წარმოქმნა და ანთების წყაროს გაჩენა.

8. ლითონის გახურებული ნაწილაკების მომიჯნავე სათავსებში, მეზობელ სართულებზე და ა.შ. მოხვედრის გამორიცხვის მიზნით ყველა საჭვრეტელი, ტექნოლოგიური და სხვა ლიუკი, სათავსების გადახურების, კედლებსა და ტიხრებში არსებული სავენტოლაციო, სამონტაჟო და სხვა ღიობები (ნახვრეტები) უნდა იყოს დახურული უწყვი მასალებით.

9. ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩასატარებელი ადგილები უნდა გაიწმინდოს წვადი ნივთიერებებისა და მასალებისაგან. გასუფთავების ზონის რადიუსები მოყვანილია დანართი 6-ის ცხრილ №1-ში.

10. აღნიშნული რადიუსების ფარგლებში სამშენებლო კონსტრუქციები, იატაკების საფარები, მოპირკეთება, აგრეთვე უწყვი მასალებისგან დამზადებული იზოლაცია და მოწყობილობების ნაწილები უნდა იყოს დაცული ნაპერწკლების მოხვედრისაგან – ლითონის ეკრანებით ან სხვა უწყვი მასალებით, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში მოირწყას წყლით.

11. სათავსების (სადაც ტარდება ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოები) ერთმანეთთან შემაერთებელი ყველა კარი, მათ შორის, ტამბურების კარები, უნდა იყოს მჭიდროდ დახურული. წელიწადის დროის, სათავსში ტემპერატურის, ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ხანგრძლივობის, მოცულობისა და სამიშროების ხარისხის მიხედვით ფანჯრები შეძლებისდაგვარად უნდა იყოს ღია.

12. სათავსები, სადაც შესაძლებელია ადვილაალებადი, წვადი სითხეების და წვადი აირების ორთქლის დაგროვება, უნდა იყოს განიავებული ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებამდე.

13. საშემდუღებლო და საჭრელი სამუშაოების ჩატარების ადგილები იმ შენობებსა და სათავსებში, რომელთა კონსტრუქციები დამზადებულია წვადი მასალებისგან, უნდა იყოს შემოზღუდული უწყვი მასალის მთლიანი (ლენტური) ტიხარით. ტიხარის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 1,8 მ, ხოლო ღრეო ტიხარსა და იატაკს შორის – არა უმეტეს 5 სმ. გახურებული ნაწილაკების გაფანტვის თავიდან აცილების მიზნით აღნიშნული ღრეო უნდა იყოს შემოზღუდული უწყვი მასალის ბადით, რომლის უჯრედების ზომა არ აღემატება 1,0x1,0 მმ.

14. ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების დაწყებამდე და ჩატარების დროს ტექნოლოგიურ მოწყობილობებში და სახიფათო ზონაში უნდა ხორციელდებოდეს ორთქლაირის გარემოს მდგომარეობის კონტროლი. წვადი ნივთიერებების შემცველობის მონიტორინგის შემთხვევაში ან ფლეგმატიზატორის კონცენტრაციის დაწევისას ორთქლის (გაზის) ზღვრულად დასაშვებ ფეთქებადსაშიში კონცენტრაციების მნიშვნელობამდე, ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოები დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს.

15. დაუშვებელია ტექნოლოგიური დანადგარების ლიუკების და სახურავების გახსნა, პროდუქტების გადმოტვირთვა, გადატვირთვა და ჩამოსხმა, ღია ლიუკებიდან მათი ჩატვირთვა, აგრეთვე სხვა ოპერაციების შესრულება, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ხანძარი და აფეთქება იმ ადგილების დამტვერიანების და დაგაზიანების შემთხვევაში, სადაც წარმოებს ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოები.

16. სამუშაოებს შორის შესვენებების დროს, აგრეთვე სამუშაო ცვლის დამთავრებისას საშემდუღებლო აპარატურა უნდა გამოირთოს (მათ შორის, ელექტროქსელიდან), შლანგები უნდა მოიხსნას და გათავისუფლდეს წვადი სითხეებისა და აირებისგან, ხოლო სარჩილ ლამპაში წნევა მთლიანად უნდა გაიხარჯოს. სამუშაოების დამთავრების შემდეგ აპარატურა და მოწყობილობები უნდა იყოს შენახული სპეციალურად გამოყოფილ სათავსებში (ადგილებში).

17. 10-ზე მეტ საგუშაგოზე ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული მუდმივი სამუშაო ადგილების ორგანიზებისას (საშემდუღებლო, საჭრელი სახელოსნოები) უნდა იყოს გათვალისწინებული ცენტრალიზებული ელექტრო- და გაზომომარაგება.



18. სამემდღუდლო სახელოსნოში, არა უმეტეს 10 სამემდღუდლო საგუმავოს არსებობის შემთხვევაში, დასაშვებია თითოეულ საგუმავოს პქონდეს თითო სათადარიგო ჟანგბადის და წვადი აირის ბალონი. სათადარიგო ბალონები უნდა იყოს შემოზღუდული უწყვი მასალების ფარგლებში ან ინახებოდეს სახელოსნოსთან სპეციალურად მიშენებულ სათავსში.

19. ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოს ჩატარებისას აკრძალულია:

- ა) გაუმართავი აპარატურით სამუშაოების დაწყება;
- ბ) ახლად შეღებულ კონსტრუქციებსა და ნაკეთობებზე სამუშაოების ჩატარება;
- გ) ზეთით, ცხიმით, ბენზინით, ნავთით და სხვა წვადი სითხეებით დალაქავებული ტანსაცმლის ან ხელთათმანების გამოყენება;
- დ) სამემდღუდლო კაბინებში ტანსაცმლის, ადგილსაღებადი, წვადი სითხეების და სხვა წვადი მასალების შენახვა;
- ე) მოწაფეების, აგრეთვე საკვალიფიკაციო მოწმობების და სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკის გავლის შესახებ სათანადო საბუთის არქონე მუშაკთა დამოუკიდებელ სამუშაოზე დამგება;
- ვ) შეკუმშული, თხევადი და გახსნილი აირით დატუმბული ბალონების ელექტროსადენებთან შეხება;
- ზ) წვადი და ტოქსიკური ნივთიერებებით სავსე, აგრეთვე ელექტრომაგვის ქვეშ მყოფ აპარატურასა და კომუნიკაციებზე სამუშაოების ჩატარება;

თ) ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებასთან ერთდროულად სახურავზე ჰიდროიზოლაციის და ორთქლიზოლაციის მოწყობა, წვად და ძნელად წვად მათუნებლებიანი პანელების მონტაჟი, იატაკის საფარის დაწება და სათავსების მოპირკეთება ლაქების, წებოების, მასტიკების და სხვა წვადი მასალების გამოყენებით.

20. დაუშვებელია ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება შენობის ელემენტებზე, რომლებიც შესრულებულია წვადი და ძნელად წვადი მათუნებლებიანი მსუბუქი ლითონის კონსტრუქციებისგან.

მუხლი 45. აირსამემდღუდლო სამუშაოები

1. გადასატანი აცეტილენის გენერატორები უნდა განთავსდეს ღია მოედნებზე, სადაც უნდა იყოს გამოკრული ანშლაგები (პლაკატები) „უცხო პირთა შესვლა აკრძალულია – ცეცხლსაშიშია“, „თამბაქოს მოწევა აკრძალულია“, „ნუ გაივლით ცეცხლით“. დასაშვებია მათი დროებითი მუშაობა ბუნებრივი ვენტილაციის მქონე სათავსებში. აცეტილენის გენერატორები უნდა შემოიღობოს და განლაგდეს ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარების, აგრეთვე კომპრესორებით და ვენტილატორებით ჰაერმიმღები ადგილებიდან არანაკლებ 10 მ-ის მანძილზე.

2. სამუშაოს დამთავრებისას გადასატანი გენერატორში კალციუმის კარბიდი უნდა იყოს გახარჯული. გენერატორიდან მოსაცილებელი კირის ლამი უნდა გადმოტვირთოს ამ მიზნებისთვის განკუთვნილ ტარაში და ჩაისხას ლამის ორმოში ან სპეციალურ ბუნკერში.

3. ლამის ღია ორმოები უნდა იყოს შემოღობილი მოაჯირებით, ხოლო დახურულ ორმოებს ჰქონდეს უწყვი გადახურვები, გამწოვი ვენტილაცია და ლამის მოსაცილებელი ლიუკები.

4. დაუშვებელია თამბაქოს მოწევა და ღია ცეცხლის გამოყენება შლამის შენახვის ადგილებიდან 10 მ-ის რადიუსში, რის თაობაზეც უნდა იყოს გამოკრული შესაბამისი ამკრძალავი ნიშნები.

5. აირსადენი შლანგების დამაგრება აპარატურის, სანთურების, საჭრელების და რედუქტორების შემეარტებელ ნიპელზე უნდა იყოს საიმედო და შესრულებული ცალულების გამოყენებით. დასაშვებია ცალულების მაგივრად შლანგების დამაგრება ნიპელის სიგრძეზე არანაკლებ ორ ადგილას რბილი მომწვარი (საქსოვი) მავთულით.

6. წყლის ჩამკეტების ნიპელზე შლანგები მჭიდროდ უნდა ჩამოეცვას, მაგრამ არ უნდა დამაგრდეს.

მუხლი 46. კალციუმის კარბიდის და გაზის ბალონების შენახვა-ტრანსპორტირება

1. კალციუმის კარბიდი უნდა იყოს შენახული მშრალ, ბუნებრივი ვენტილაციის მქონე სათავსებში. დაუშვებელია კალციუმის კარბიდის შესანახი საწყობების განლაგება სარდაფებსა და დაბალ (შესაძლო დატბორვის) ადგილებში.

2. მექანიზებულ საწყობებში დასაშვებია კალციუმის კარბიდიანი დოლების შენახვა სამ იარუსად ვერტიკალურ მდგომარეობაში, ხოლო მექანიზაციის უქონლობისას – არა უმეტეს სამ იარუსად ჰორიზონტალურ მდგომარეობაში და არა უმეტეს ორ იარუსად ვერტიკალურ მდგომარეობაში. დოლების იარუსებს შორის უნდა იყოს დაწყობილი 40-50 მმ სისქის ფიცრები. შტაბელუბად დაწყობილ კალციუმის კარბიდიანი დოლებს შორის გასასვლელების სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 1,5 მ.

3. აცეტილენის დანადგარების სათავსებში, სადაც არ არის კალციუმის კარბიდის შუალედური საწყობები, დასაშვებია არა უმეტეს 200 კგ კალციუმის კარბიდის ერთდროული შენახვა, ამასთან ერთად ამ რაოდენობიდან ღია მდგომარეობაში შეიძლება იყოს არა უმეტეს ერთი დოლი.

4. კალციუმის კარბიდიანი გახსნილი დოლები უნდა იყოს დაცული წყალგაუმტარი სახურავებით. ადგილებში, სადაც ინახება და იხსნება კალციუმის კარბიდიანი დოლები აკრძალულია თამბაქოს მოწევა, ღია ცეცხლით სარგებლობა და ნაპერწკალწარმოქმნელი იარაღის გამოყენება.

5. გაზის ბალონების შენახვა და ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მათ ყელზე დახრახნილი დამცველი ხუფებით. ბალონების ტრანსპორტირებისას თავიდან უნდა იქნეს აცილებული დარტყმები და ზიძებები. სამემდღუდლო სამუშაოების ადგილებამდე ბალონები უნდა იყოს მიტანილი სპეციალური ურიკებით, ჯინებით, მარხილებით.

6. გაზის ბალონები შენახვის, ტრანსპორტირებისა და ექსპლუატაციის დროს უნდა იყოს დაცული მზის სხივების და სითბოს სხვა წყაროების ზემოქმედებისაგან.

7. სათავსებში დადგმული ბალონები უნდა მოთავსდეს გათბობის ხელსაწყობებიდან და ღუმელებიდან არანაკლებ 1 მ-ის, ხოლო სითბოს ღია ცეცხლის წყაროებიდან – არანაკლებ 5 მ-ის მანძილზე.

8. მანძილი სანთურებიდან (ჰორიზონტალური მიმართულებით) გადასაშვებ რამპულ (ჯგუფურ) დანადგარებამდე უნდა იყოს არანაკლებ 10 მ, ხოლო ცალკე მდგომ ჟანგბადიანი ან სხვა წვად აირიანი ბალონებამდე – არანაკლებ 5 მ.

9. ერთ სათავსში ჟანგბადიანი და წვადი გაზის ბალონების, აგრეთვე კალციუმის კარბიდის, საღებავების, ზეთების და ცხიმების შენახვა დაუშვებელია.

10. ცარიელი ჟანგბადიანი ან წვადი გაზის ბალონების გამოყენებისას უნდა იყოს დაცული უსაფრთხოების ისეთივე ზომები, როგორც სახანძრო უსაფრთხოებისას.

11. აირსამემდღუდლო ან აირსაჭრელი სამუშაოების ჩატარებისას აკრძალულია:

- ა) აცეტილენის გენერატორების, მილსადენების, ვენტილაციის, რედუქტორების და სამემდღუდლო დანადგარების სხვა დეტალების ცეცხლით ან გავარვარებული საგნებით გათბობა;



- ბ) ჟანგბადიანი ბალონების, რედუქტორების და სხვა საშემდგომი დანადგარების ზეთებთან, აგრეთვე გაზეთილ ტანსაცმელთან და ძველმანებთან შეხება;
- გ) წყლის ერთი საკეტიდან ორი შემდგომის მუშაობა;
- დ) მომატებული გრანულაციის მქონე კალციუმის კარბიდის ჩატვირთვა ან რკინის მავთულების და წნელების მეშვეობით მისი აპარატის ძაბრში გატარება, აგრეთვე მუშაობა კარბიდის მტვრით;
- ე) კალციუმის კარბიდის ჩატვირთვა სველ კალათებში ან წყლიან აირსაგროვში, აგრეთვე კალათების კარბიდით შევსება მათი მოცულობის ნახევარზე მეტად გენერატორების „წყალი კარბიდზე“ მუშაობის შემთხვევაში;
- ვ) წვადი აირიანი შლანგის ჟანგბადით და ჟანგბადიანი შლანგის წვადი აირით გაქრევა, აგრეთვე მუშაობისას შლანგების ურთიერთშეცვლა;
- ზ) 30 მ-ზე მეტი სიგრძის შლანგებით სარგებლობა, ხოლო სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებისას – 40 მ-ზე მეტით;
- თ) გახსადენი შლანგების გადაგრეხვა და გადატეხვა;
- ი) გენერატორის გადატანა აირსაგროვში აცეტილენის არსებობისას;
- კ) აცეტილენის გენერატორების მუშაობის ფორსირება მათში გაზის წნევის განზრახ გაზრდით ან კალციუმის კარბიდის ერთდროული ჩატვირთვის გაზრდით.
- ლ) კალციუმის კარბიდიანი დოლების გახსნა სპილენძის ინსტრუმენტით, აცეტილენის აპარატურით რჩილვისას სპილენძის როგორც სარჩილის გამოყენება, აგრეთვე სპილენძის აცეტილენთან შეხება.

მუხლი 47. ელექტროსაშემდგომი სამუშაოები

1. სათავსების იატაკები, სადაც მოწყობილია მუდმივი ადგილები საშემდგომი სამუშაოების ჩასატარებლად, უნდა იყოს უწყვი მასალის. სათავსებში, სადაც წარმოებს დეტალების შედუღება წინასწარი გახურების გარეშე, დასაშვებია ხის ტორსფენილი იატაკების მოწყობა უწყვი საპირკველზე.
2. დაუშვებელია არასტანდარტული ელექტროდამცველების, აგრეთვე იზოლაციის გარეშე და დაზიანებული იზოლაციით სადენების გამოყენება.
3. საშემდგომი სადენების გადაბმა უნდა მოხდეს დაწნების, შედუღების, რჩილვის ან სპეციალური მომჭერების მეშვეობით. ელექტროსადენები ელექტროდის დამჭერს, შესადუღებელ ნაკეთობას და საშემდგომი აპარატს უნდა მიუერთდეს საყელურებიანი ჭანჭიკებით გადაბმული სპილენძის კაბელის ბუნიკების მეშვეობით.
4. საშემდგომი აპარატებთან, გამანაწილებელ ფარებთან და სხვა მოწყობილობებთან, აგრეთვე საშემდგომი სამუშაოების ჩატარების ადგილებთან მიერთებული სადენები უნდა იყოს საიმედოდ იზოლირებული და საჭირო ადგილებში დაცული მაღალი ტემპერატურის, მექანიკური დაზიანების ან ქიმიური ზემოქმედებისგან.
5. ელექტროსაშემდგომი მანქანების კაბელები (სადენები) უნდა იყოს განლაგებული ჟანგბადის მილსადენებიდან არანაკლებ 0,5 მ, ხოლო აცეტილენის და სხვა წვადი აირების მილსადენებიდან – არანაკლებ 1 მ-ის მანძილზე.
6. შესადუღებელი ნაკეთობის საშემდგომი დენის წყაროსთან შემართებელ უკუგამტარად შეიძლება იყოს გამოყენებული ნებისმიერი პროფილის ფოლადის ან ალუმინის სალტები, საშემდგომი ფილები, სტელაჟები და თვით შესადუღებელი კონსტრუქცია იმ პირობით, თუ მათი კვეთი უზრუნველყოფს გახურების პირობების შესაბამისად დენის უსაფრთხო გავლას. უკუგამტარად გამოყენებული ცალკეული ელემენტების ერთმანეთთან შეერთება უნდა შესრულდეს ჭანჭიკების, ჭახრაკების, მომჭერების მეშვეობით.
7. დაუშვებელია უკუგამტარად რკინიგზის შიგა ხაზების, დამიწების ან დანულების ქსელის, აგრეთვე შენობების, კომუნიკაციების ლითონის კონსტრუქციების და ტექნოლოგიური მოწყობილობების გამოყენება. ამ შემთხვევაში შედუღება უნდა განხორციელდეს ორი სადენის გამოყენებით.
8. ელექტროსაშემდგომი სამუშაოების ჩატარებისას ფეთქებადხანძარსაშიმ და ხანძარსაშიმ შენობა-ნაგებობებში უკუგამტარი შესადუღებელი ნაკეთობიდან დენის წყარომდე უნდა იყოს შესრულებული მხოლოდ იზოლირებული სადენით. ამასთან, მისი იზოლაციის ხარისხი არ უნდა იყოს ელექტროდის დამჭერთან მიერთებული პირდაპირი გამტარის იზოლაციის ხარისხზე ნაკლები.
9. ხელით შედუღებისათვის განკუთვნილი ელექტროდამჭერის კონსტრუქცია უნდა უზრუნველყოფდეს ელექტროდების საიმედო დამაგრებას და სწრაფ გამოცვლას, აგრეთვე გამორიცხავდეს მისი კორპუსის შესადუღებელ დეტალზე მოკლე ჩართვის შესაძლებლობას (სამუშაოებს შორის შესვენების დროს ან ლითონის საგნებზე შემთხვევით მოხვედრისას). ელექტროდამჭერის ტარი უნდა იყოს უწყვი დიელექტრიკული და თბომაიზოლირებული მასალის.
10. შედუღების ელექტროდები უნდა იყოს ქარხნული წარმოების და შესაბამისად შედუღების დენის ნომინალურ სიდიდეს. ნარჩენი (ნამწვი) ელექტროდები უნდა მოთავსდეს ელექტროსაშემდგომი სამუშაოების ჩატარების ადგილებში დადგმულ სპეციალურ ლითონის ყუთში.
11. ელექტროსაშემდგომი დანადგარი მუშაობის დროს უნდა იყოს დამიწებული. ძირითადი საშემდგომი მოწყობილობების გარდა დამიწებული უნდა იყოს უშუალოდ ტრანსფორმატორის ის საშემდგომი მეორადი გრაგნილის მომჭერი, რომელზეც შეერთებულია ნაკეთობასთან მიმავალი გამტარი (უკუგამტარი).
12. აგრეგატისა და გაშვები აპარატურის გაწმენდა უნდა წარმოებდეს ყოველდღიურად სამუშაოს დამთავრების შემდეგ. საშემდგომი მოწყობილობების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება უნდა ჩატარდეს გრაფიკის შესაბამისად.
13. ატომწყალბადური შედუღების დანადგარებში რკალის კვება უნდა იყოს უზრუნველყოფილი ცალკე ტრანსფორმატორიდან. დაუშვებელია რკალის უშუალო კვება გამანაწილებელი ქსელიდან დენის ნებისმიერი ტიპის რეგულატორის საშუალებით.
14. ატომურ-წყალბადური შედუღებისას სანთურაში უნდა იყოს გათვალისწინებული ძაბვის ავტომატური გამორთვა და წყალბადის მიწოდების შეწყვეტა წრედის გაწყვეტის შემთხვევაში. დაუშვებელია ჩართული სანთურების დატოვება უმეთვალყურეოდ.
15. ფეთქებადხანძარსაშიმ ზონებში ელექტროსაშემდგომი სამუშაოების ჩატარებისას:
 - ა) რეკომენდებულია მუდმივი დენის კვების წყაროების ან ცვლადი დენის იმ სპეციალური წყაროების გამოყენება, რომლებსაც აქვთ კონსტრუქციაში ელექტროდისა და შესადუღებელ ნაკეთობას შორის რკალის მეორადი აგზების მომენტში ძაბვის ამწევი იმპულსური გენერატორები („განმუხტვის“ ტიპის კვების წყარო);
 - ბ) P-II კლასის ხანძარსაწინააღმდეგო ზონებში ძნელადმისადგომი ადგილების მტვრისგან გაწმენდის მიზნით რეკომენდებულია ისინი დამუშავდეს ქაფწარმოქმნელი სითხის ორპროცენტის ხსნარით 1 მ² – 1 ლ-ის გაანგარიშებით;



- გ) ვერტიკალურ მდგომარეობაში და ჰერზე შედუღება აუცილებლად უნდა შესრულდეს არა უმეტეს 4 მმ დიამეტრის ელექტროდებით. ამ შემთხვევაში შედუღების დენის სიდიდე უნდა იყოს 20%-ით ნაკლები, ვიდრე ქვედა ჰორიზონტალურ მდგომარეობაში შედუღებისას;
- დ) ელექტროსამშენებლო დანადგარის ჩართვამდე უნდა დაავრცუნდეთ დამჭერში ელექტროდის არარსებობაში.

მუხლი 48. ლითონის ჭრა

1. ბენზო- და ნავთსაჭრელით სამუშაოების ჩატარებისას სამუშაო ადგილი უნდა იყოს მოწყობილი ისევე, როგორც ელექტროსამშენებლო სამუშაოების დროს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადვილალუბადი და წვადი სითხეების დაღვრის თავიდან აცილებას და სწორ შენახვას, ჭრის და საწვავიანი კასრის მოვლის რეჟიმის დაცვას.
2. ბენზო- და ნავთსაჭრელით სამუშაოების ჩატარების ადგილზე საწვავის მარაგის შენახვა დასაშვებია არა უმეტეს ერთი ცვლის მოთხოვნის რაოდენობით. საწვავი უნდა იყოს შენახული დაუზიანებელ, უმსხვრევ, მჭიდროდ დახურულ სპეციალურ ტარაში ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარების ადგილიდან არანაკლებ 10 მ მანძილზე.
3. ბენზო- და ნავთსაჭრელი სამუშაოებისათვის გამოყენებული საწვავი უნდა იყოს უცხო მინარევებისა და წყლის გარეშე. დაუშვებელია კასრის საწვავით შევსება მისი მოცულობის 3/4-ზე მეტი რაოდენობით.
4. საწვავის კასრი უნდა იყოს დაუზიანებელი და ჰერმეტიკული. დაუშვებელია ისეთი კასრების ექსპლუატაცია, რომლებსაც არ გაუვლიათ ჰიდროგამოცდა 1 მპა წნევით, საიდანაც ჟონავს საწვავის ნარევი, აქეთ გაუმართავი ტუმბო ან მანომეტრი.
5. სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია შემოწმდეს ბენზო- და ნავთსაჭრელის არმატურის გამართულობა, ნიპელებზე შლანგების შეერთების სიმჭიდროვე, წამოსაცმელი ქანჩების და თავების ხრახნილების გამართულობა.
6. დაუშვებელია საჭრელის საორთქლებლის გათბობა სამუშაო ადგილზე დაღვრილი ადვილალუბადი ან წვადი სითხეების დათბობით.
7. საწვავიანი კასრი ჟანგბადიანი ბალონებიდან და ღია ცეცხლის წყაროდან უნდა იყოს დაცილებული არანაკლებ 5 მ და სამუშაო ადგილიდან არანაკლებ 3 მ მანძილზე. ამასთან ერთად კასრს მუშაობის დროს არ უნდა ხვდებოდეს ალი და ნაპერწკლები.
8. ბენზო- და ნავთსაჭრელით სამუშაოების ჩატარებისას აკრძალულია:
 - ა) საწვავიანი კასრში ჰერის ისეთი წნევის არსებობა, რომელიც აღემატება საჭრელში ჟანგბადის სამუშაო წნევას;
 - ბ) საჭრელის საორთქლებლის გადახურება, აგრეთვე სამუშაოს ჩატარების დროს საჭრელის ჩამოკიდება ვერტიკალურად, თავით ზევით;
 - გ) საჭრელთან ბენზინის ან ნავთის მიწოდება ჟანგბადის შლანგებით;
 - დ) საჭრელთან ჟანგბადის ან საწვავის მიწოდებელი შლანგების გადაგრეხა და გადატეხვა.

მუხლი 49. სარჩილი სამუშაოები

1. სარჩილი სამუშაოების ჩატარებისას სამუშაო ადგილი უნდა იყოს გაწმენდილი წვადი მასალებისაგან, ხოლო 5 მ ნაკლებ მანძილზე მოთავსებული წვადი მასალებისაგან შესრულებული კონსტრუქციები უნდა იყოს დაცული უწყვი მასალების ეკრანებით ან მორწყული (წყლით, ქაფწარმოქმნელის წყალხსნარით და ა.შ.).
2. სარჩილი ლამპები უნდა იყოს გამართული და არანაკლებ თვეში ერთხელ შემოწმდეს სიმტკიცესა და ჰერმეტიკულობაზე სპეციალურ ჟურნალში შემოწმების შედეგებისა და თარიღის შეტანით. გარდა ამისა, არანაკლებ წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარდეს მათი საკონტროლო ჰიდროგამოცდები.
3. თითოეულ სარჩილ ლამპას უნდა გააჩნდეს პასპორტი ქარხნული ჰიდროგამოცდების შედეგების და დასაშვები მუშა წნევის აღნიშვნით. დამცველი სარქველები უნდა იყოს დარეგულირებული მოცემულ წნევაზე, ხოლო მანომეტრები ლამპებზე უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში.
4. სარჩილი ლამპების საწვავით გამართვა და ანთება უნდა ხდებოდეს ამ მიზნებისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.
5. სარჩილი ლამპიდან ალის გამოვარდნის თავიდან აცილების მიზნით ლამპის გასამართი საწვავი უნდა იყოს გაწმენდილი გარეშე მინარევებისა და წყლისაგან.
6. სარჩილი ლამპის აფეთქების თავიდან აცილების მიზნით აკრძალულია:
 - ა) ნავთზე მომუშავე ლამპებისათვის საწვავად ბენზინის ან ბენზინისა და ნავთის ნარევის გამოყენება;
 - ბ) ჰერის დატუმბვისას ლამპის რეზერვუარში წნევის აწევა პასპორტში აღნიშნულ დასაშვებ მუშა წნევაზე მეტად;
 - გ) ლამპის საწვავით ავსება მისი რეზერვუარის მოცულობის 3/4-ზე მეტად;
 - დ) საჰაერო ხრახნის და ჩამსხმელი საცობის მოშვება, როდესაც ლამპა ანთებულია ან არ არის გაცივებული;
 - ე) ლამპის შეკეთება, აგრეთვე მისი გამართვა საწვავით, ან საწვავის გადმოქცევა ღია ცეცხლთან ახლოს (მათ შორის, ანთებულ ასანთთან, სიგარეტთან და ა.შ.).

**თავი X
ავტოგასამართი კომპლექსები და სადგურები**

მუხლი 50. ძირითადი მოთხოვნები

1. ამ თავის მოთხოვნები ვრცელდება ტრანსპორტის ბენზინის და დიზელის საწვავით გამართვისათვის განკუთვნილი ავტოგასამართ კომპლექსებსა და სადგურებზე მათი ექსპლუატაციისას, სარეგლამენტო და სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას.
2. საჭირო საცნობარო და ტექნიკური ინფორმაციის მისაღებად ავტოგასამართ კომპლექსებზე (სადგურებზე) უნდა არსებობდეს შემდეგი დოკუმენტაცია:
 - ა) დადგენილი წესით დამტკიცებული, ავტოგასამართი კომპლექსების (სადგურების) გენერალური გეგმის ასლი, რომელიც შეიცავს მის ტერიტორიაზე ობიექტების განლაგების სქემას, მათ შორის, მანძილებს, აგრეთვე ავტოგასამართი კომპლექსების (სადგურების) ახლომდებარე ობიექტებამდე მანძილებს და ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სქემას;
 - ბ) სერტიფიკატები არსებულ დანადგარებზე;
 - გ) ტექნიკური სისტემების და ავტოგასამართი კომპლექსების (სადგურების) დანადგარების დადგენილი წესით დამტკიცებული ტექნიკურ-საექსპლუატაციო დოკუმენტაცია;
 - დ) სახანძრო დაცვის სამსახურებთან შეთანხმებულ ავტოგასამართ კომპლექსებზე (სადგურებზე) ხანძარსაშიში სიტუაციაში და ხანძრების ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის გეგმა;
 - ე) უახლოესი წყლის წყაროების გეგმა-სქემა მანძილების და წყლის წყაროების დებიტების აღნიშვნით;
 - ვ) ავტოგასამართი კომპლექსების (სადგურების) ტერიტორიებიდან ადამიანებისა და სატრანსპორტო საშუალებების ევაკუაციის გეგმა;



ზ) ავტოგასამართი კომპლექსების (სადგურების) ექსპლუატაციისას სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი დოკუმენტები;

თ) ინსტრუქციები, რომლებიც განსაზღვრავენ სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნებს ავტოგასამართი კომპლექსების (სადგურების) ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების დროს და შემუშავებულია ავტოგასამართი კომპლექსების (სადგურების) ტექნიკურ-საექსპლუატაციო დოკუმენტაციაში შემავალი ტექნოლოგიური სისტემებისა და დანადგარების ექსპლუატაციის სახელმძღვანელოს საფუძველზე;

ი) ავტოგასამართი კომპლექსის (სადგურების) დაცვის მუშაკთა თანამდებობრივი ინსტრუქცია (თუ ობიექტზე არის დაცვის სამსახური), რომელიც შემუშავებულია ავტოგასამართი კომპლექსებისათვის (სადგურებისათვის) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად;

კ) სარეგლამენტო სამუშაოების ჩატარების გრაფიკი;

ლ) სარეგლამენტო სამუშაოების ჩატარების აღრიცხვის ჟურნალი;

მ) ავტოგასამართი კომპლექსების (სადგურების) მეხამრიდ სისტემებზე ჩატარებული სარეგლამენტო და სარემონტო სამუშაოების აღრიცხვის ჟურნალი;

ნ) ნავთობპროდუქტების აღრიცხვის ჟურნალი;

ო) მოწყობილობების შეკეთების აღრიცხვის ჟურნალი;

პ) სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების, საწარმოო სანიტარიის და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ პირველადი და განმეორებითი ინსტრუქტაჟის რეგისტრაციის ჟურნალი;

ჟ) სამორიგეო ან ცვლის ჟურნალი (ავტოგასამართ კომპლექსებზე (სადგურებზე) ცვლების არსებობისას);

რ) სხვა დოკუმენტები, რომლებიც ავტოგასამართი კომპლექსების (სადგურების) ხელმძღვანელის (მფლობელის) თვალსაზრისით აუცილებელია უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის.

3. იმ დანადგარების გაწმენდა და წინასარემონტოდ მომზადება, რომლებშიც ცირკულირებდა საწვავი ან მისი ორთქლი (რეზერვუარები, საცავები, მილსადენები და სხვა), უნდა განახორციელონ ავტოგასამართი კომპლექსების (სადგურების) სპეციალურად მომზადებულმა მუშაკებმა.

4. ავთენტურობის ხანძარი- და ხანძარსაშიში ნივთიერებებისა და მასალების გამოყენებისათვის განკუთვნილი ტექნოლოგიური მოწყობილობები უნდა შესაბამებოდეს დანაწილი წესით დამტკიცებულ ტექნიკურ-საექსპლუატაციო დოკუმენტაციას, ტექნიკურ პირობებს და საკონსტრუქტორ დოკუმენტაციას.

5. კომპლექტებული საწვავსამართი სადგური უნდა შემოწმდეს (ქარხნულ პირობებში) ჰერმეტიკობაზე წნევით, რომელიც აჭარბებს შესაბამისი პერიოდული გამოცდის წნევას არანაკლებ 20%-ით (პერიოდული გამოცდების წნევის სიდიდეები უნდა იყოს მოყვანილი საწვავსამართი სადგურის ტექნიკურ-საექსპლუატაციო დოკუმენტაციაში), აგრეთვე ავარიის საწინააღმდეგო სისტემის ამოქმედებაზე, შესაბამისი აქტების (ტექნიკურ-საექსპლუატაციო დოკუმენტაციის სავალდებულო დანართები) გაფორმებით.

6. ტექნოლოგიურ დანადგარებს უნდა გააჩნდეს ხანძარსაშიში სიტუაციების და ხანძრების თავიდან აცილების, ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის გამართული სისტემები, კონტროლისა და რეგულირების ხელსაწყოები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის სახანძრო უსაფრთხოებას. დაუშვებელია მოწყობილობებზე ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულება ტექნიკურ-საექსპლუატაციო დოკუმენტებით და ტექნიკური პირობებით გათვალისწინებული სისტემებისა და ხელსაწყოების არარსებობისას, აგრეთვე მათი გათიშვის ან შემოწმების ვადის გასვლის შემთხვევაში.

7. ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების თავიდან აცილების, ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის სისტემების მართვის პულტებზე, კონტროლისა და რეგულირების ხელსაწყოებზე უნდა იყოს აღნიშნული პარამეტრების დასაშვები სიდიდეები (წნევა, ტემპერატურა, კონცენტრაცია, შევსების დონე და სხვა), რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნოლოგიური მოწყობილობების ხანძარუსაფრთხო მუშაობას. თუ ერთ-ერთი პარამეტრი გადაცდება დაშვებულ ზღვარს, აღნიშნული სისტემები უნდა გამოსცემდნენ გამაფრთხილებელ და ავარიულ სიგნალს (ხმოვანი და შუქსიგნალი), ხოლო ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობების მიღწევისას – გამორიცხვენ პარამეტრების შემდგომ ცვლილებას, ხანძარსაშიში სიტუაციებისა ან ხანძრის თავიდან აცილების მიზნით.

8. ტექნოლოგიური მოწყობილობები უნდა იყოს ჰერმეტიკული. აკრძალულია ტექნოლოგიური მოწყობილობის ექსპლუატაცია საწვავის გაჟონვის შემთხვევაში. გაჟონვის აღმოჩენისას საჭიროა დაუყოვნებელი ზომების მიღება გაუმართაობის ლიკვიდაციისათვის. დაუშვებელია გაუმართავ მოწყობილობებზე ტექნოლოგიური ოპერაციების წარმოება, აგრეთვე ისეთი კონსტრუქციული ცვლილებების შეტანა, რომლებიც ზრდიან ავტოგასამართი კომპლექსების (სადგურების) სახანძრო უსაფრთხოებას.

9. რეზერვუარების საწვავით შევსების დონე არ უნდა აღემატებოდეს მათი შიდა გეომეტრიული მოცულობის 95%-ს.

10. კმაფეთქებადსაშიში კონცენტრაციების სტაციონარული ავტომატური აირსიგნალიზატორები (ავტოგასამართი სადგურებში, სადაც ისინი გათვალისწინებულია სახანძრო უსაფრთხოების ნორმებით) უნდა იყოს მუშაუნარიანი, გააჩნდეს გამართულობის თვითკონტროლის ფუნქცია და მოწმდებოდეს ტექნიკური პირობების ან მათი ექსპლუატაციის სახელმძღვანელოს მიხედვით.

11. სტაციონარული აირსიგნალიზატორების არარსებობისას, პერიოდულად (გრაფიკის მიხედვით), გადასატანი აირსიგნალიზატორების გამოყენებით უნდა ჩატარდეს გარემოს ანალიზი ნავთობპროდუქტების ორთქლის ფათქებადსაშიში კონცენტრაციის არსებობის დასადგენად ტექნოლოგიური სისტემების დახურულ სივრცეში, სადაც დაუშვებელია საწვავის ორთქლის არსებობა.

12. ძირითად და დამხმარე ტექნოლოგიურ მოწყობილობებს უნდა ჰქონდეთ დაცვა სტატიკური ელექტრობისაგან. აპარატების და მილსადენების შიდა ზედაპირის გაწმენდა უნდა წარმოებდეს ხანძარ-უსაფრთხო ხერხით, შესაბამისი გრაფიკის მიხედვით.

13. დასაშვებია მრავალკამერიან რეზერვუარში ბენზინისა და დიზელის საწვავის ერთდროული შენახვა, იმ შემთხვევებში, თუ ეს გათვალისწინებულია ტექნოლოგიური სისტემის ტექნიკური პირობებით და ტექნიკურ-საექსპლუატაციო დოკუმენტებით.

14. ორკედლიანი რეზერვუარების გამოყენების შემთხვევაში, რომელთა კედელშორისი სივრცე შევსებულია აზოტით, საჭიროა ამ კედელშორისი სივრცის გაქრევა აზოტით აირჰაერიან გარემოში ჟანგბადის კონცენტრაციის არა უმეტეს 10%-ის ოდენობის მიღწევამდე.

15. ავტოგასამართი სადგურების მოწყობილობის (რეზერვუარების კედელშორისი სივრცე, რეზერვუარის შიდა სივრცე, მილსადენები და სხვა) ჰერმეტიკობის პნევმატური გამოცდების ჩატარების დროს სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ინერტული აირის გამოყენება. არაჰერმეტიკული მოწყობილობის აღმოჩენისას ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია დაუყოვნებლივ უნდა შეწყვეტოს. შესაბამისი სრულ აღმოფხვრამდე, ავტოგასამართი სადგურის მუშაკებს, რომლებიც ატარებენ მოწყობის ჰერმეტიკობის პნევმატურ გამოცდას, უნდა გააჩნდეთ წნევის ქვეშე მომუშავე დანადგარების ტრანსპორტირებისა და მომსახურების დამოუკიდებელია შესრულების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (<https://chat.matsne.gov.ge/index.php/chat?locale=ka&style=matsne&name=>)

16. წვადი ორთქლჭაერის ნარევის შესაძლო წარმოქმნის ზონებში სამუშაოები უნდა ჩატარდეს სპეციალურად გამოყოფილ მოედნებზე ნაპერწკალუსაფრთხო ინსტრუმენტების გამოყენებით, ხოლო ფეხსაცმელი და ტანსაცმელი არ უნდა იწვევდეს ნაპერწკლების წარმოქმნას.

17. რეზერვუარების შიგნით სარეგლამენტო და სარემონტო სამუშაოების ჩატარება შესაძლებელია, თუ საწვავის ორთქლის კონცენტრაცია არ აღემატება გავრცელების ქვედა კონცენტრაციული ზღვრის 20%-ს (აირიანი გარემოს უწყვეტი კონტროლის პირობებში).

18. ადრე გამოყენებული რეზერვუარების გადატანა, დამონტაჟება, მოედანზე გადაადგილება და შეკეთება დასაშვებია მხოლოდ მათი დაცვის, თბილი წყლით გამორეცხვის და (ან) წყლის ორთქლით დაორთქლების, ინერტული აირით გაქრევის, აგრეთვე საწვავის ორთქლის არსებობაზე აირსიგნალიზატორებით შემოწმების შემდეგ.

19. დაუშვებელია ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის დროს რეზერვუარების ბენზინისაგან სრული დაცლა (რეზერვუარში დარჩენილი ბენზინის ოდენობა უნდა იყოს შევსების ნომინალური დონის არანაკლებ 5%), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რეზერვუარები იცლება გასაწმენდად, შიდა კედლების მდგომარეობის შესამოწმებლად, შესაკეთებელი სამუშაოების ჩასატარებლად, საწვავის სახეობის შესაცვლელად და ა.შ.

20. ბენზინის შესანახი მიწისზედა რეზერვუარების შლამისაგან გაწმენდის პროცესი უნდა განხორციელდეს გარემოს ტემპერატურის არანაკლებ 0°C პირობებში და რეზერვუარში ბენზინის მაქსიმალურად დაშვებული ოდენობის არანაკლებ 20%-ის არსებობისას.

21. ყველა ტიპის რეზერვუარების შლამისაგან გაწმენდის ოპერაცია უნდა განხორციელდეს დახურული ხერხით, საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული და ამ მიზნებისათვის სპეციალურად გათვალისწინებული ტექნიკის გამოყენებით ან ბენზინის და დიზელის საწვავთან დაკავშირებული სამუშაოებისათვის განკუთვნილი ხელის ტუმბოთი (ტუმბო შესრულებულია მასალებისაგან, რომლებიც არ წარმოქმნიან ნაპერწკლებს).

22. ხელის ტუმბოების გამოყენებისას შლამი გადატანილ უნდა იქნეს მხოლოდ დახურულ ტევადობაში, ამასთან სითხის ღია ზედაპირის ფართობი უნდა იყოს მინიმალური. შლამისათვის განკუთვნილი ტევადობა უნდა იყოს მოთავსებული სპეციალურ დამიწებულ ქვეშე (რეზერვუარის მიმდებარე ტერიტორიაზე). ყველა ლუკი და შტუცერი, რომელიც არ გამოიყენება შლამისაგან გაწმენდის ოპერაციის დროს, უნდა იყოს დაკეტილი. მრავალკამერიანი რეზერვუარების თითოეული კამერა უნდა გაიწმინდოს ცალ-ცალკე. აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ შლამი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გატანილი ავტოგასამართი კომპლექსის (სადგურის) ტერიტორიიდან. დაუშვებელია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე შლამით სავსე ჭურჭლის შენახვა.

23. დაუშვებელია დეაერაციის სისტემის მილსადენის გამოსასვლელადან ცეცხლშემზღუდის ან ცეცხლშემზღუდით აღჭურვილი სასუნთქი სარქველის მოხსნა მილსადენების ჩამკეტვის არმატურის ჰერმეტიკის გადაკეტვის გარეშე. ცეცხლშემზღუდის ტიპი უნდა უზრუნველყოფდეს მის ნორმალურ ფუნქციონირებას ექსპლუატაციის რაიონის კლიმატურ პირობებში.

24. დაუშვებელია საწვავის ორთქლის რეცირკულაციის განსახორციელებლად რეზერვუარის დეაერაციის მილსადენის გადაკეტვა ტექნოლოგიური სისტემის კონსტრუქციაში სატრანსპორტო საშუალების საწვავის ავზიდან რეზერვუარში რეცირკულაციის ხაზის არსებობისას.

25. ავტოგასამართი კომპლექსის (სადგურის) მოწყობილობის ტექნიკური მომსახურება, სარეგლამენტო სამუშაოები, ხელსაწყოებისა და დამცველი მოწყობილობის მეტროლოგიური გამოცდები უნდა ჩატარდეს ამ სამუშაოების შესრულების გრაფიკის მკაცრი დაცვით. დაუშვებელია იმ სარეგლამენტო სამუშაოების ჩატარება, რომლებიც არ არის მითითებული ტექნიკურ-საექსპლუატაციო დოკუმენტაციაში. ასეთი სახის სამუშაოები უნდა შესრულდეს სამშენებლო სახელოსნოებში.

26. ავტოგასამართი კომპლექსების (სადგურის) ტერიტორიაზე, შენობა-ნაგებობებში, სათავსებში, ტექნოლოგიურ სისტემებში სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად ობიექტის ხელმძღვანელმა უნდა გასცეს შესაბამისი ნებართვა.

27. ავტოგასამართი სადგურების რეზერვუარები საწვავის სახეობის შეცვლამდე (ბენზინ-დიზელის საწვავი) უნდა დაიცალოს მათში არსებული პროდუქტისაგან, ხოლო მიწისზედა რეზერვუარის კორპუსზე ან მიწისქვეშა რეზერვუარების ჩამოსასხმელი მილსადენების თვალსაჩინო ადგილებზე (ავტოცისტერნის გამდენ-შემწოვი სახელოს მიერთების ქუროსთან) შესაბამისად უნდა შეიცვალოს აღნიშვნები შესანახი საწვავის სახეობის შესახებ.

28. რეზერვუარების საწვავით შევსება უნდა წარმოებდეს მხოლოდ დახურული ხერხით. უნდა გამოირიცხოს საწვავის ორქლის გამოყოფა (გარდა რეზერვუარების (კამერების) დეაერაციის მილსადენებიდან ან ავტოცისტერნის სასუნთქი სარქველიდან) გარეშე სივრცეში.

29. ავტოცისტერნიდან რეზერვუარის (კამერის) საწვავით შევსებამდე საჭიროა რეზერვუარში (კამერაში) საწვავის დონის გაზომვა და ავარიის საწინააღმდეგო სისტემების გამართულობის შემოწმება. რეზერვუარის შევსების პროცესი უნდა წარმოებდეს ავტოგასამართი სადგურის მუშაკებისა და ავტოცისტერნის მძღოლის კონტროლის ქვეშ.

30. აკრძალულია ავტოგასამართი კომპლექსის (სადგურის) ტერიტორიაზე გაჩერებულ ავტოცისტერნასთან სატრანსპორტო საშუალებების, სხვა ავტოცისტერნის და უცხო პირების ყოფნა.

31. ავტოგასამართი სადგურის რეზერვუარების შევსების ოპერაცია ავტოცისტერნებიდან, რომლებსაც არ გააჩნია საფსკერე სარქველი, უნდა განხორციელდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

- ა) ავტოცისტერნის გასამართ მოედანთან უნდა იყოს განთავსებული ორი (თითოეული არანაკლებ 100 ლ მოცულობის) გამართული გადასატანი ჰაერქაფის ცეცხლსაქრობი;
- ბ) ავტოცისტერნის გასამართი მოედნიდან ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ატმოსფერული ნალექების სარინი ღარი უნდა გადაიკეტოს, ხოლო ავარიულ რეზერვუარში დაღვრილი საწვავის ჩასადენი მილსადენი გაიხსნას;
- გ) ავტოცისტერნა უნდა იყოს გაჩერებული გასამართ მოედანზე და დამიწებული, რის შემდეგ შესაძლებელია ავტოგასამართი სადგურის რეზერვუარების საწვავით შევსების ოპერაციის დაწყება.

32. ჩასხმის დროს ავტოცისტერნები უნდა იყოს მიერთებული დამიწების მოწყობილობასთან. მოქნილი დამიწების სადენი მუდმივად უნდა იყოს მიერთებული ავტოცისტერნასთან და გააჩნდეს დამიწების მოწყობილობასთან შემაერთებელი ჭახრაკი ან ჭანჭიკის ბუნიკი.

33. საინჟინტარო გამტარის არსებობისას დამიწება უნდა განხორციელდეს შემდეგი წესით: დამიწების გამტარი უნდა მიუერთდეს ავტოცისტერნის კორპუსს, ხოლო შემდეგ – დამიწების მოწყობილობას. დაუშვებელია გამტარის მიერთება ავტოცისტერნის დაბინძურებულ და შეღებულ ლითონის ნაწილებთან. საჭიროა თითოეული ავტოცისტერნის დამიწება ცალ-ცალკე, მათი ნავთობროდუქტებისაგან სრულ დაცვამდე.

34. ავტოგასამართ სადგურებზე სატრანსპორტო საშუალებების გამართვისას უნდა იყოს დაცული შემდეგი მოთხოვნები:
ა) მოტოციკლებისა და მოტოროლერების მრავის ამოქმედება და გამორთვა უნდა ხდებოდეს საწვავ-სარიგებელი სვეტიდან არანაკლებ 15 მ მანძილზე, ხოლო ავტომობილები უნდა მოძრაობდნენ თავისი სვეტიდან (https://chat.matsne.gov.ge/index.php/chat?locale=ka&style=matsne&name=)



ბ) ავტომობილების, მოტოციკლებისა და მოტოროლერების ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ნაწილები ძრავის ამოქმედებამდე უნდა იყოს გაწმენდილი მძღოლის მიერ;

გ) შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტები უნდა დაიფაროს ქვიშით, ხოლო გაჟღერებული ქვიშა და გაზეტილი საწმენდი მასალები უნდა მოთავსდეს ნაპერწკალუსაფრთხო ხუფებიან ლითონის ყუთებში და სამუშაო დღის დასრულებისთანავე გატანილ იქნეს ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან;

დ) მანძილი გასამართ ავტომობილსა და მის უკან მდგომ ავტომობილს შორის უნდა იყოს არანაკლებ 1 მ-ისა, ამასთან, თითოეულ სატრანსპორტო საშუალებას უნდა გააჩნდეს მანევრირების და ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან გასვლის შესაძლებლობა, რისთვისაც გზის საფარზე უნდა იყოს შესაბამისი აღნიშვნები ან სხვა ვიზუალური მარკვინგებლები.

35. ავტოგასამართ სადგურებზე აკრძალულია:

ა) ძრავაჩართული სატრანსპორტო საშუალებების გამართვა;

ბ) მიწისქვეშა რეზერვუარებზე სატრანსპორტო საშუალებების გადატარება, თუ ეს არ არის გათვალისწინებული დადგენილი წესით შეთანხმებული და დამტკიცებული ტექნოლოგიური სისტემების ტექნიკური პირობებით და ტექნიკურ-საექსპლუატაციო დოკუმენტაციით;

გ) რეზერვუარების საწვავით შევსება და მომხმარებელზე გაცემა ჭექა-ქუხილის და ატმოსფერული განმუხტვის საშიშროების დროს;

დ) საწვავით დაბინძურებული და ნაპერწკლების წარმოქმნის საშიშროების მქონე ტანსაცმლით და ფეხსაცმლით მუშაობა;

ე) სატრანსპორტო საშუალებების გამართვა, რომლებშიც იმყოფებიან მგზავრები (ოთხკარიანი მსუბუქი ავტომობილების გარდა);

ვ) 1-9 კლასის საშიში ტვირთით (ასაფეთქებელი ნივთიერებები, შეკუმშული და გათხევადებული საწვავი აირები, ადვილაალებადი სითხეები და მასალები, მომწამლავი და რადიოაქტიური ნივთიერებები და სხვა) დატვირთული სატრანსპორტო საშუალებების გამართვა, გარდა ამ მიზნებისათვის სპეციალურად გათვალისწინებული საწვავ-გასამართი პუნქტებისა;

ზ) ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე, სადაც წარმოებს ბენზინის მიღება, შენახვა ან გაცემა, იმ ტრაქტორების შესვლა, რომლებზეც არ არის მოწყობილი ნაპერწკალჩამქრობები;

თ) სამუშაოების ჩატარება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ავტოგასამართი სადგურის მოწყობილობის, შენობა-ნაგებობების უშუალო შეკეთებასთან.

36. ავტოგასამართ სადგურებზე ავტომობილების რიგისთვის უნდა იყოს გათვალისწინებული სპეციალური მოედანი გასამართი ნაკვეთურების ტერიტორიაზე შესვლელებთან, საწვავის რეზერვუარებისა და სვეტების განლაგების ზონის ფარგლებს გარეთ და აღნიშნული სპეციალური ნიშნებით.

37. ავტოგასამართ სადგურებზე არსებული ტექნოლოგიური მოწყობილობა უნდა იყოს გამართული. საწვავის და მისი ორთქლის ატმოსფეროსაგან გამომყოფი მილყელების, მილტუჩების, შტუცერების ხუფები და ჩამხშობები უნდა იხურებოდნენ ჰერმეტიკულად და არმატურასთან შეხების ადგილებში უნდა გააჩნდეთ ნავთობპროდუქტების და ატმოსფეროს ზემოქმედებისადმი მდებარე ნაპერწკალუსაფრთხო საფენები. აღნიშნული ხუფები და ჩამხშობები, რომელთა გასხნა გათვალისწინებულია ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას, უნდა იყოს ნაპერწკალუსაფრთხო.

38. აკრძალულია საწვავ-სარიგებელი სვეტების ექსპლუატაცია ნავთობპროდუქტების გაჟონვის შემთხვევაში.

39. მოძრავი ავტოგასამართი სადგურები უნდა იყოს განლაგებული სახანძრო დაცვის სამსახურთან შეთანხმებულ სპეციალურად გამოყოფილ მოედნებზე.

40. სპეციალურად გამოყოფილ მოედანზე მოძრავი ავტოგასამართი სადგურების ექსპლუატაციის დაწყებამდე საჭიროა:

ა) მოძრავი ავტოგასამართი სადგურების მოწყობილობის ჰერმეტიკულობის შემოწმება ავარიის საწინააღმდეგო დაცვის სისტემების საკონტროლო ხელსაწყოებით და ვიზუალურად;

ბ) შემოწმდეს კავშირგაბმულობის საშუალებების გამართულობა;

გ) მოძრავი ავტოგასამართი სადგურის დამიწების გამტარის მიერთება მოედნის დამიწების მოწყობილობასთან ამ წესების 3.44-ის შესაბამისად;

დ) მოძრავი ავტოგასამართი სადგურების მყარი საყრდენების მოწყობა და მათზე ბარიერების დამაგრება, რომლებიც შეზღუდვენ მოძრავ ავტოგასამართ სადგურთან სატრანსპორტო საშუალებების მიახლოებას არანაკლებ 1 მ-ზე;

ე) სატრანსპორტო საშუალების საწვავის ავზის ქვეშ დაღვრილი საწვავისათვის სპეციალური ჭურჭლის მოწყობა;

ვ) მოძრავი ავტოგასამართი სადგურების სამტატო ცეცხლსაქრობების მზადყოფნაში მოყვანა;

ზ) გამაფრთხილებელი ნიშნის და საინფორმაციო სტენდის მოწყობა.

41. დაუშვებელია მოძრავი ავტოგასამართი სადგურების სახით ავტოსაწვავგასამართების და სხვა, ამ მიზნებისათვის გაუთვალისწინებელი, ტექნიკის გამოყენება.

42. ავტომატიზაციის საშუალებებისა და ხელსაწყოების ექსპლუატაციისას, აგრეთვე ავტომატიზაციის საშუალებებისა და ხელსაწყოების გამოყენებით პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების დროს აუცილებელია მათი მუშაობის რეჟიმის თაობაზე ქარხანა-დამამზადებლების რეკომენდაციების დაცვა.

43. საკონტროლო-საზომ ხელსაწყოებს უნდა გააჩნდეს სახელმწიფო შემოწმების ან იმ ორგანიზაციის დალი ან პლომბი, რომელსაც აქვს უფლება განახორციელოს ხელსაწყოების შეკეთება და მათი გამართულობის შემოწმება.

44. წვადი ორთქლ-ჰაერის ნარევის შესაძლო წარმოქმნის ზონებში განთავსებული ავტომატიკის საშუალებების შეკეთების, გამოცდის და შემოწმების დროს არაფეთქებადდაცული მოწყობილობის ხანმოკლე გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დაცულია ფეთქებადხანძარსაშიმ ობიექტზე საცეცხლე სამუშაოების ჩასატარებლად განკუთვნილი სამუშაო ზონის მომზადებისათვის გათვალისწინებული მოთხოვნები. აკრძალულია ფეთქებადსაშიმ ზონებში ელექტრული ძაბვის მოხსნის გარეშე ავტომატიკის საშუალებების და კონტროლის ხელსაწყოების გასხნა.

45. აფეთქებადხანძარსაშიმ და ხანძარსაშიმ ზონებში ხელსაწყოების შეკეთება დასაშვებია მხოლოდ ცივი ხერხით (ცეცხლის და მაღალი ტემპერატურების გამოყენებასთან დაკავშირებული სარჩილი, საშემდუდებლო და სხვა სამუშაოების გამოყენების გარეშე). მოქმედ ტექნოლოგიურ აპარატებთან და მილსადენებთან დაკავშირებული ავტომატიკური კონტროლისა და რეგულირების ხელსაწყოების წვრილმანი და მიმდინარე შეკეთება დასაშვებია მხოლოდ ამ ხელსაწყოების ავტოგასამართი სადგურის ტექნოლოგიური სისტემიდან გათიშვის შემთხვევაში.

46. აკრძალულია ავარიის საწინააღმდეგო და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ამუშავების პარამეტრების ავტოგასამართი სადგურის ტექნოლოგიური სისტემების ქარხანა-დამამზადებელთან შეთანხმების გარეშე.



47. ავტოგასამართი სადგურების (ავტოგასამართი კომპლექსების) ელექტრომოწყობილობების და ელექტროუსვლების მომსახურებისათვის დაიშვება შესაბამისი სპეციალიზებული ორგანიზაციები. სპეციალიზებულ ან სხვა ორგანიზაციასთან გეგმური ტექნიკური მომსახურების შესახებ ხელშეკრულებების არსებობა არ ათავისუფლებს ორგანიზაციის ხელმძღვანელს (მფლობელს) პასუხისმგებლობისაგან ამ წესების მოთხოვნათა შესრულებაზე.

48. ელექტროუსვლებში და ელექტროაპარატურაში არსებული ყველა გაუმართაობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ნაპერწკლების წარმოქმნა, მოკლე ჩართვა, საიზოლაციო კაბელებისა და სადენების დაზიანებულზე მეტად გადახურება, აგრეთვე ავარიის საწინააღმდეგო, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის და მართვის ავტომატური სისტემების მტყუნება და ა.შ., დაუყოვნებლივ უნდა იყოს აღმოფხვრილი. გაუმართავი ელექტროუსვლები და ელექტროაპარატურა უნდა გაითიშოს მათ ხანძარუსაფრთხო მდგომარეობაში მოყვანამდე.

49. ელექტროძავეები, ლამპარები, ელექტროსადენები, საკაბელო ხაზები და გამანაწილებელი მოწყობილობები რეგულარულად უნდა გაიწმინდოს მტვრისაგან, ადვილალებადი და წვადი სითხეებისაგან.

50. მოძრავი და გადასატანი ელექტრომიწოდებები, რომლებიც გამოიყენება სარეგლამენტო და საშემკვეთლო სამუშაოების ჩატარებისას, უნდა იყოს მოწყობილი გარემოსა და მექანიკური ზემოქმედებისადმი მედეგი გარსის მქონე მოქნილი კაბელებით და სადენებით.

51. საევაკუაციო განათების და სახანძრო ავტომატიკის სისტემების ელექტროუსვლები უნდა იყოს მიერთებული ძირითადი ქსელისაგან დამოუკიდებელ კვების წყაროსთან.

52. დაუშვებელია ფეთქებადსაშიშ ზონებში იმ ელექტრომოწყობილობის ექსპლუატაცია, რომელსაც არ გააჩნია ქარხანა-დამამზადებლის აფეთქებისაგან დაცვის სპეციალური ნიშნები.

53. ზონებში, რომლებშიც შესაძლებელია წვადი ორთქლ-ჰაერის ნარევიების წარმოქმნა, აკრძალულია:

- ა) ელექტროდანადგარების გამოყენება, რომელთა დამცავი დამიწება და მახლოკირებელი მოწყობილობები გაუმართავია, ხოლო გარსი დაზიანებულია;
- ბ) ელექტრომოწყობილობის კორპუსის დაშლა, თუ მისი დენგამტარი ნაწილები იმყოფება ძაბვის ქვეშ;
- გ) დაცვის აპარატებით ავტომატურად გათიშული ელექტროდანადგარების ჩართვა, მათი გათიშვის მიზეზების დადგენამდე;
- დ) ელექტროდანადგარების ჩართვა გადატვირთვისა და მოკლე ჩართვისაგან დაცვის გარეშე;
- ე) დამცველების დნობადი არაკალიბრებული ნაწილების, აგრეთვე თბური რეაქციების გამახურებელი ელემენტების გამოყენება;
- ვ) ნაპერწკალუსაფრთხო ხელსაწყოების კვების წყაროებში სხვა აპარატების ან წრედების მიერთება, რომლებიც არ შედის აღნიშნული ხელსაწყოების კომპლექტში.

54. სტაციონარული ელექტრული განათების არარსებობის შემთხვევაში, ფეთქებადსაშიშ ზონებში სათავსების, ღია ტექნოლოგიური მოედნების, აპარატურის და სხვა მოწყობილობების დროებითი განათებისათვის საჭიროა აფეთქებისაგან დაცული აკუმულატორული ფარნების გამოყენება. აკრძალულია გადასატანი ლამპარების გამოყენება, რომლებიც არ პასუხობს შესაბამისი ზონებისათვის დადგენილ მოთხოვნებს. ფარნების ჩართვა-გამორთვა უნდა წარმოებდეს ფეთქებადსაშიშ ზონის ფარგლებს გარეთ.

55. ელექტრომოწყობილობის შეკეთება უნდა განხორციელდეს მოქმედი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნათა შესაბამისად. არასამუშაო საათებში ავტოგასამართი კომპლექსების (სადგურის) ელექტრომოწყობილობა, რომელიც არ გამოიყენება უსაფრთხოების სისტემებში, უნდა გაუდენურდეს ელექტროენერჯის იმ ძირითადი ამომრთველების გათიშვით, რომლებთანაც უცხო პირთა მისვლა გამორიცხებულია.

56. ავტოგასამართი კომპლექსების (სადგურის) ტერიტორია უნდა იყოს დაგეგმარებული, კეთილმოწყობილი, მოწესრიგებული და ღამის საათებში განათებული. დაუშვებელია ხეების და ბუჩქების დარგვა. გაზონები პერიოდულად უნდა მოითიბოს, ხოლო მოთიბული ბალახი დაუყოვნებლივ იქნეს გატანილი.

57. გამოყენებული საწმენდი მასალებისა და ნავთობპროდუქტებით გაჟღენთილი ქვიშის შესაგროვებლად საჭიროა ნაგავშემკრების ზონაში ღია მოედანზე ნაპერწკალუსაფრთხო მჭიდროდ ჩასაკეტი ხუფების და სპეციალური წარწერების მქონე ლითონის ყუთების დადგმა. შევსებისთანავე ყუთები უნდა იყოს გატანილი ავტოგასამართი კომპლექსების (სადგურის) ტერიტორიიდან.

58. ავტოგასამართი კომპლექსების (სადგურის) ტერიტორიაზე, შესასვლელთან, უნდა იყოს გამოკრული ტერიტორიაზე მოძრაობის ორგანიზაციის სქემა. შემსვლელი და გამოსვლელი ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტები არ უნდა გადაიკვეთოს.

59. ყველა საწარმოო, ადმინისტრაციულ, სასაწყობო და დამხმარე სათავსებში, აგრეთვე გარე ნაგებობებთან, თვალსაჩინო ადგილებზე უნდა იყოს დაფები შემდეგი ინფორმაციით:

- ა) სათავსების კატეგორიები აფეთქებახანძარ და ხანძარსაშიშროების მიხედვით;
- ბ) აფეთქებაში ან ხანძარსაშიშროების ზონების კლასი ელექტროდანადგარების მოწყობის წესის მიხედვით;
- გ) სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი მუშაკი;
- დ) ინსტრუქცია სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ;
- ე) სახანძრო დაცვის სამსახურის გამომახების, აგრეთვე ხანძარსაშიშრო სიტუაციების და ხანძრების ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის სამუშაოების ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირების (ავტოგასამართი სადგურის მხრიდან) ტელეფონის ნომრები.

60. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა აკრძალულია. მძღოლებისა და მგზავრების სერვისული მომსახურების შენობებსა და სათავსებში თამბაქოს მოსაწევად დასაშვებია სპეციალური ადგილების მოწყობა.

61. ავტოგასამართი კომპლექსების შენობებში თვალსაჩინო ადგილებზე უნდა იყოს გამოკრული საევაკუაციო გეგმები სათავსების, საევაკუაციო გასასვლელებისა და მათთან მისასვლელების, ხანძრის ჩაქრობისა და სიგნალიზაციის საშუალებების განლაგების ადგილების აღნიშვნით. გეგმებს უნდა ჰქონდეს შესაბამისი განმარტებითი ტექსტები.

62. ჰაერგამაცხელებელ და გამათბობელ ხელსაწყოებთან მისასვლელი უნდა იყოს თავისუფალი. ავტოგასამართი სადგურის სათავსებში დასაშვებია თბომაგენერირებელი დანადგარის სახით გამოყენებული იქნეს მხოლოდ ზეთის საყოფაცხოვრებო ელექტროგამაცხელებლების ან წყლის (ორთქლის) გათბობის გამოყენება. ავტოგასამართი სადგურის (კომპლექსის) ტერიტორიაზე (სათავსების, შენობა-ნაგებობების ჩათვლით) აკრძალულია იმ თბომაგენერირებელი დანადგარებისა და მოწყობილობების ექსპლუატაცია, სადაც გამოიყენება ღია ცეცხლი.

63. სათავსების გათბობა დასაშვებია ქარხნული წარმოების ხელსაწყოებით, წვადი მასალებიდან დადგენილი მანძილების დაცვით, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად. დაუშვებელია გამათბობელ ხელსაწყოებზე და გათბობის მიღსაწევი სპეცტანსაცმლის, გაზეთილი ტილოების, წვადი მასალების დაწობა, აგრეთვე ტანსაცმლის გაშრობა გამათბობელ ხელსაწყოებზე.

64. მეხდამცავი მოწყობილობების შემოწმება და შეკეთება უნდა ხორციელდებოდეს ამ მიზნებისათვის სპეციალურად შემუშავებული რეგლამენტის შესაბამისად.

65. ავტოგასამართი კომპლექსები (სადგურები) უნდა იყოს აღჭურვილი არანაკლებ 3 მ სიგრძის ბუქსირის ხისტი შტანგით, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან ცეცხლმოდებულ სატრანსპორტო საშუალების საჩქარო ევაკუაციისათვის.

66. ავტოგასამართ კომპლექსებზე (სადგურებზე) უნდა იყოს:

ა) სახანძრო უსაფრთხოების ნიშნები;

ბ) საგზაო ნიშანი „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ ავტოგასამართი კომპლექსის (სადგურის) ტერიტორიაზე გასამართი ტრანსპორტის არა უმეტეს 20 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობისათვის;

გ) სპეციალური ნიშანი „მოტოტრანსპორტის გაჩერება 15 მ მოშორებით“, მოტოტრანსპორტის მძღოლების გასაფრთხილებლად ძრავის გამორთვის აუცილებლობის შესახებ საწვავ-სარიგებელი სვეტიდან არანაკლებ 15 მ მანძილზე;

დ) სპეციალური ნიშანი „მგზავრების აუცილებელი გადმოსმა“ (ავტოგასამართ სადგურებზე ეს ნიშნები უნდა იყოს გამოკრული „საზოგადოებრივი ცენტრის“ ზონაში);

ე) საგზაო ნიშანი „საშიში ტვირთებით დატვირთული სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა აკრძალულია“.

67. ავტოგასამართი კომპლექსის (სადგურის) ტერიტორიის შესავლელთან, სპეციალურ სტენდზე უნდა იყოს გამოკრული ინსტრუქცია, რომელიც განსაზღვრავს სახანძრო უსაფრთხოების ზომებს მძღოლებისა და მგზავრებისათვის. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოძრავი და ხელის ჰაერ-ქაფის ცეცხლ-საქრობები იმ რაოდენობით, რაც საჭიროა დაღვრილი ბენზინის ქაფით სრული დაფარვისათვის.

68. ავტოგასამართ სადგურებზე, რომლებზეც დასაშვებია საფსკერე სარქველის გარეშე ავტოცისტერნების გამოყენება, უნდა იყოს გათვალისწინებული არანაკლებ ორი მოძრავი ჰაერ-ქაფის ცეცხლსაქრობი (თითოეული არანაკლებ 100 ლ ტევადობის) ავტოცისტერნის გასამართი მოედნის ზედაპირის დასაფარად.

69. ავტოგასამართი კომპლექსების საწარმოო და საზოგადოებრივი დანიშნულების სათავსებისათვის ცეცხლსაქრობების ტიპის შერჩევა და საჭირო რაოდენობის გაანგარიშება უნდა წარმოებდეს მათი ცეცხლმაქრი უნარიანობიდან გამომდინარე, აგრეთვე სათავსის ფართობის, წვადი ნივთიერებებისა და მასალების ხანძრის კლასის მიხედვით დანართი 3-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

70. ავტოგასამართი სადგურები უნდა იყოს აღჭურვილი ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით, შემდეგი გაანგარიშებიდან გამომდინარე:

ა) მსუბუქი ავტომობილების გასამართად განკუთვნილი გასამართი ნაკვეთური 4-მდე საწვავ-სარიგებელი სვეტი – 1 ჰაერ-ქაფის ცეცხლსაქრობი (10 ლ ტევადობის ან 9 კგ ცეცხლმაქრი ნივთიერებით) და 1 ფხვნილის ცეცხლსაქრობი (5 ლ ტევადობის ან 4 კგ ცეცხლმაქრი ნივთიერებით); 4-8 სარიგებელი სვეტი – 2 ჰაერ-ქაფის ცეცხლსაქრობი (10 ლ ტევადობის ან 9 კგ ცეცხლმაქრი ნივთიერებით) და 2 ფხვნილის ცეცხლსაქრობი (5 ლ ტევადობის ან 4 კგ ცეცხლმაქრი ნივთიერებით). ცეცხლმაქრები უნდა იყოს განთავსებული გასამართ ნაკვეთურებზე. ორი გასამართი ნაკვეთურისთვის დასაშვებია ცეცხლმაქრების ერთი კომპლექტის გათვალისწინება, თუ მანძილი ამ ნაკვეთურებს შორის არ აღემატება 6 მ-ს;

ბ) სატვირთო ავტომობილების, ავტობუსების, მსხვილგაბარიტიანი სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გასამართად განკუთვნილ ავტოგასამართ სადგურებზე – 2 გადასატანი ფხვნილის ცეცხლსაქრობი (არანაკლებ 50 ლ ტევადობის თითოეული) ცეცხლმოდებულ გასამართი ტექნიკის ჩასაქრობად და ხელის ჰაერ-ქაფის ცეცხლსაქრობები იმ რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია მსუბუქი ავტომობილების გასამართად განკუთვნილი ნაკვეთურებისათვის;

გ) ავტოცისტერნის თითოეული გასამართი მოედნისათვის – 2 გადასატანი ფხვნილის ცეცხლსაქრობი (50 ლ ტევადობის თითოეული) ცეცხლმოდებულ ავტოცისტერნის ჩასაქრობად. ავტოგასამართ სადგურზე ცეცხლმოდებულ გასამართი ტექნიკის ჩასაქრობად განკუთვნილი ცეცხლსაქრობების არსებობისას, ავტოცისტერნებისათვის დამატებითი ცეცხლსაქრობების გათვალისწინება არ წარმოადგენს აუცილებლობას.

71. ცეცხლსაქრობების განთავსების ადგილები უნდა იყოს აღნიშნული შესაბამისი მაჩვენებელი ნიშნებით.

72. საწვავის შესანახი თითოეული კონტეინერი უნდა იყოს აღჭურვილი ერთი ჰაერ-ქაფის ცეცხლსაქრობით (10 ლ ტევადობის ან 9 კგ ცეცხლმაქრი ნივთიერებით) და ერთი ფხვნილის ცეცხლსაქრობით (5 ლ ტევადობის ან 4 კგ ცეცხლსაქრობი ნივთიერებით).

73. თითოეული მოძრავი ავტოგასამართი სადგური უნდა დაკომპლექტდეს არანაკლებ ორი ცეცხლსაქრობით – ერთი ფხვნილის ცეცხლსაქრობით (10 ლ ტევადობის ან 9 კგ ცეცხლმაქრი ნივთიერებით) და ერთი ნახშირორჟანგის ცეცხლსაქრობით (5 ლ ტევადობის ან 3 კგ ცეცხლმაქრი ნივთიერებით).

74. ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა უნდა იყოს შემუშავებული და შედგენილი შესაძლო ხანძარსაშიში სიტუაციების, მათი განვითარების სცენარის, ავტოგასამართი კომპლექსის (სადგურის) მუშაკების და ავტოცისტერნის მძღოლის მოქმედების, აგრეთვე ხანძრის გავრცელების შესაბამის სტადიებზე ავტოგასამართი კომპლექსის (სადგურის) მუშაკების სახანძრო დაცვის დანაყოფებთან ურთიერთმოქმედების წესის განსაზღვრის და ტექნიკური საშუალებების კონკრეტიზაციის მიზნით.

75. ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა უნდა იყოს შემუშავებული ავტოგასამართი კომპლექსის (სადგურის) ექსპლუატაციის გამწვევი ორგანიზაციის (მფლობელის) მიერ, დამტკიცებული ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ, შეთანხმებული სახანძრო დაცვის სამსახურთან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან.

76. ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა უნდა განსაზღვრავდეს ობიექტის მუშაკების მოქმედების წესს, კერძოდ:

ა) ავტოგასამართი კომპლექსის (სადგურის) ტერიტორიაზე ხანძარსაშიში სიტუაციების შექმნისას საჭიროა ტექნოლოგიური სისტემების ელექტროკვების გათიშვა (გარდა ავარიის საწინააღმდეგო და ხანძრის საწინააღმდეგო სისტემების ელექტროკვებისა), ავტოგასამართი კომპლექსის (სადგურის) ექსპლუატაციის შეჩერება და ტერიტორიის გათავისუფლება უცხო პირებისა და სატრანსპორტო საშუალებებისაგან, თუ უკანასკნელის ძრავის ჩართვა არ გახდება ხანძრის მიზეზი (სატრანსპორტო საშუალებების საწვავის ავზებიდან საწვავის დაღვრისას, საწვავსარიგებელი სვეტების შლანგების მოწყვეტის ან მათი ჰერმეტიზაციის დარღვევის დროს და ა.შ.), იმავდროულად უნდა განხორციელდეს ხანძარსაშიში სიტუაციების ლოკალიზაცია და ლიკვიდაცია;

ბ) საწვავის დაღვრისას საჭიროა გაუონვის ადგილის დაუყოვნებელი გადაკეტვა, იმავდროულად უნდა განხორციელდეს ხანძარსაშიში სიტუაციების ლოკალიზაცია და ლიკვიდაცია;

გ) ავტოგასამართი კომპლექსის (სადგურის) ტერიტორიაზე ხანძრის გაჩენისას საჭიროა სახანძრო დაცვის სამსახურისათვის შესახებ დაუყოვნებელი შეტყობინება და ხანძრის კერის ჩაქრობა ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით, იმავდროულად ტერიტორიის გათავისუფლება უცხო პირებისა და სატრანსპორტო საშუალებებისაგან;



საქართველოს საკანონმდებლო მაცნე | <http://mat.matsne.gov.ge/index.php/chat?locale=ka&style=matsne&name=>

დ) მიწისზედა რეზერვუარებთან უშუალო სიახლოვეში ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, თუ ხანძრის ჩაქრობა შეუძლებელია ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით, საჭიროა საწვავ-გასამართი სადგურის ყველა რეზერვუარის წყლით მორწყვის სისტემების (ასეთი სისტემის არსებობისას) ჩართვა;

ე) ავტოცისტერნის გასამართ მოედანზე ბენზინის დიდი მოცულობით ავარიული დაღვრის შემთხვევაში (4 მ²-ზე მეტი), ორთქლ-ჰაერის გარემოს წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით, დაღვრილი საწვავის მთელი ფართობი (თუ ის არ არის აალებული) უნდა დაიფაროს ჰაერ-მექანიკური ქაფით და შემდგომში შენარჩუნებულ იქნეს არანაკლებ 0,5 მმ სისქის ქაფის ფენა დაღვრილი საწვავის ავარიულ რეზერვუარში სრულ ჩაღვრამდე. სათანადო შეტყობინება უნდა გადაეცეს სახანძრო დაცვის სამსახურს და ავტოგასამართი კომპლექსის (სადგურის) ტერიტორიაზე ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლიკვიდაციისა და ლოკალიზაციის სამუშაოებზე პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს;

ვ) ავტოცისტერნის მოწყობილობაზე გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობად უნდა იყოს გამოყენებული ფხვნილის ცეცხლსაქრობები (არანაკლებ 50 ლ მოცულობის თითოეული) და ავტოცისტერნის სამტატო ცეცხლსაქრობები, ხოლო დაღვრილი საწვავის აალებისას – დამატებით ჰაერქაფის ცეცხლსაქრობები (არანაკლებ 100 ლ მოცულობის თითოეული);

ზ) ავარიის საწინააღმდეგო დაცვის სისტემების ამუშავების შემთხვევაში საჭიროა ავტოგასამართი კომპლექსის (სადგურის) ექსპლუატაციის შეჩერება, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მომზადება დაუყოვნებელი ამოქმედებისათვის, ავარიის საწინააღმდეგო დაცვის სისტემების ამუშავების მიზეზების დადგენა, მათი აღმოფხვრა, აღნიშნული სისტემების რევიზიის ჩატარება ტექნიკურ-საექსპლუატაციო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად, შესაბამის ჟურნალში ხანძარსაშიში სიტუაციის შექმნის მიზეზის და შესრულებული სამუშაოების აღნიშვნა, ავტოგასამართი კომპლექსის (სადგურის) ექსპლუატაციის დაწყება;

თ) მილსადენების (საწვავით და მისი ორთქლით) ჰერმეტიზაციის დარღვევის შემთხვევაში საჭიროა ჩამკეტი არმატურის საშუალებით მილსადენის შესაბამისი უბნის გადაკეტვა და ხანძარსაშიში სიტუაციის ან ხანძრის ლოკალიზაცია და ლიკვიდაცია. თუ აღნიშნული მილსადენების გადაკეტვა ჰერმეტიზაციის დარღვევის ადგილსა და საწვავიან რეზერვუარს შორის უზანაურ შეუძლებელია, გაუმართაობა უნდა აღმოიფხვრას რეზერვუარის სრული დაცლის შემდეგ. რეზერვუარის დაცლისას ჰერმეტიზაციის დარღვევის ადგილი (შემღებისდაგავარად) უნდა დაიფაროს ჰერმეტიკებით, შუასადებიანი მომჭერი ცალულებით და სხვა, რომლებიც არ შექმნიან ხანძრის გაჩენის საშიშროებას;

ი) უშუალოდ ავტოცისტერნასთან საწვავის დაღვრის შემთხვევაში (მანძილი დაღვრილი საწვავის კიდიდან ავტოცისტერნის გაბარიტებამდე: ბენზინის დაღვრის შემთხვევაში – არანაკლებ 6 მ, ხოლო დიზელის დაღვრისას – 3 მ) ავტოცისტერნის ძრავის ჩართვა და ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან გაყვანა უნდა განხორციელდეს მხოლოდ დაღვრილი საწვავის აალების შემთხვევაში (თუ ეს არ უქმნის საფრთხეს ადამიანთა სიცოცხლეს) ან ხანძარსაშიში სიტუაციის ლოკალიზაციისას, დაღვრილ საწვავზე მოყრილი დაბინძურებული ქვიშის გატანის შემდეგ. ავტოცისტერნიდან დიდი მანძილის მოშორებით საწვავის დაღვრისას ავტოცისტერნა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გაყვანილი ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან დაღვრილი ბენზინის მონაკვეთის არანაკლებ 6 მ-ზე გვერდის ავლით, ხოლო დაღვრილი დიზელის საწვავის მონაკვეთის 3 მ-ზე გვერდის ავლით.

77. ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის გეგმა უნდა გადამუშავდეს არანაკლებ 5 წელიწადში ერთხელ. ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის, გადაიარაღების დროს, აგრეთვე მოწყობილობის ტექნოლოგიის, საპროექტო-გეგმარებითი გადაწყვეტების, ექსპლუატაციის წესის შეცვლისას, სხვა ავტოგასამართ კომპლექსებზე (სადგურებზე) ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების წარმოშობის შესახებ ახალი მონაცემების არსებობისას, ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა უნდა იყოს დაზუსტებული ერთი თვის ვადაში. ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმის შეთანხმება და დამტკიცება უნდა წარმოებდეს დადგენილი წესით.

78. ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა (ცვლილებებით) უნდა იყოს შესწავლილი ავტოგასამართი კომპლექსის (სადგურის) მუშაკების და ავტოცისტერნის მძღოლის მიერ.

თავი XI
საკულტო ნაგებობები

მუხლი 51. სახანძრო უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები

1. შანდლებს, ლამპარებს და სხვა მოწყობილობებს უნდა ჰქონდეს იატაკზე საიმედოდ დამაგრებული უწვი საყრდენი, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი შემთხვევითი გადმოვარდნა.
2. გათბობის მოწყობილობის ექსპლუატაცია უნდა წარმოებდეს ამ წესების მოთხოვნათა დაცვით. საკულტო ნაგებობებში ღუმელით გათბობა უნდა მოწოდებოდეს გამართულობაზე ყოველწლიურად, გათბობის სეზონის დაწყებამდე, შესაბამისი აქტის გაფორმებით.
3. ღუმელების დანთება უნდა წარმოებდეს მეთვალყურეობის ქვეშ და დასრულებულ იქნეს საკულტო ნაგებობაში ადამიანთა მასობრივი თავშეყრის ღონისძიების დაწყებამდე.
4. წვადი სითხეები (კანდელისთვის, ლამპარებისთვის და ა.შ.) უნდა ინახებოდეს ლითონის კარადებში. სათავსებში დასაშვებია არა უმეტეს 5 ლ წვადი სითხეების შენახვა.
5. კანდელებსა და ლამპარებში წვადი სითხეების ჩასხმა უნდა წარმოებდეს დახურული არამტვრევადი ჰურჭლიდან, ღია ცეცხლის წყაროს არარსებობისას და არანაკლებ 1 მ-ის მანძილზე ჩართული ელექტროგამახურებელი ხელსაწყოებიდან.
6. სამლოცველო დარბაზში კანდელისა და ლამპარებისათვის წვადი სითხეების მარაგი უნდა ინახებოდეს ლითონის ტარაში და არ აღემატებოდეს დღე-ღამის მოთხოვნილებას.
7. საკულტო ნაგებობებში მრევლის თანდასწრებით საკულტო მსახურების ჩატარებისას აკრძალულია ნებისმიერი საცეცხლე სამუშაოს ჩატარება.
8. საკულტო ნაგებობებში უნდა იყოს მოწყობილი ადამიანთა ხანძრის შესახებ მაუწყებლობის სისტემები.



დანართი 1

სავალდებულო

სახანძრო უსაფრთხოების ზომების ინსტრუქციების შემუშავების მოთხოვნები

1. ინსტრუქციები სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ უნდა შემუშავდეს სახანძრო უსაფრთხოების წესების, ნორმატიულ-ტექნიკური, ნორმატიული და სხვა დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც შეიცავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს შენობა-ნაგებობების, ტექნოლოგიური პროცესების, ტექნოლოგიური და საწარმოო დანადგარების სახანძრო სამიშროების სპეციფიკიდან გამომდინარე.

2. სახანძრო უსაფრთხოების ზომების ინსტრუქციებში სავალდებულოა შემდეგი საკითხების ასახვა:

- ა) ტერიტორიების, შენობების და სათავსების, მათ შორის, სავაკუაციო გზების მოვლის წესი;
- ბ) სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები ტექნოლოგიური პროცესების განხორციელების, დანადგარების ექსპლუატაციის, ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარების დროს;
- გ) ფეთქებადხანძარსაშიში და ხანძარსაშიში ნივთიერებების და მასალების შენახვისა და ტრანსპორტირების წესი და ნორმები;
- დ) თამბაქოს მოწევის, ღია ცეცხლის გამოყენებისა და საცეცხლე სამუშაოების ჩატარების ადგილები;
- ე) წვადი ნივთიერებისა და მასალების შეგროვების, შენახვისა და გატანის, სპეცტანსაცმლის მოვლის და შენახვის წესი;
- ვ) საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების (მანომეტრები, თერმომეტრები და სხვა) ზღვრული ჩვენებები, რომელთა სიდიდიდან გადახრამ შესაძლებელია გამოიწვიოს ხანძარი ან აფეთქება.

3. ინსტრუქციაში ასევე უნდა აისახოს ხანძრის შემთხვევაში მუშაკთა მოვალეობები და მოქმედებები, მათ შორის:

- ა) სახანძრო დაცვის სამსახურის გამოძახების წესი;
- ბ) ტექნოლოგიური დანადგარების ავარიული გაჩერების წესი;
- გ) ვენტილაციისა და ელექტრომოწყობილობების გამორთვის წესი;
- დ) ხანძრის ჩაქრობის საშუალებების და სახანძრო ავტომატიკის მოწყობილობების გამოყენების წესები;
- ე) წვად ნივთიერებთა და მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაციის წესი;
- ვ) საწარმოს ყველა სათავსის დათვალიერებისა და ფეთქებადხანძარუსაფრთხო მდგომარეობაში მოყვანის წესი.

დანართი 2

საცნობარო

სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ნივთიერებებისა და მასალების ერთობლივი შენახვისას

მოთხოვნები ვრცელდება ყველა საწარმოზე, რომელსაც გააჩნია ნივთიერებებისა და მასალების შესანახი საწყობები ან ბაზები.

მოთხოვნები არ ვრცელდება ფეთქებად და რადიოაქტიურ ნივთიერებებსა და მასალებზე, რომელთა შენახვა და გადაზიდვა ხორციელდება სპეციალური წესების დაცვით.

ნივთიერებების და მასალების შენახვისას სახანძრო უსაფრთხოების მარეგლამენტირებელი საუწყებო დოკუმენტები უნდა იყოს მოყვანილი შესაბამისობაში ამ წესების მოთხოვნებთან.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ნივთიერებების და მასალების ერთობლივი შენახვის შესაძლებლობა განისაზღვრება სახანძრო სამიშროების, ტოქსიკურობის, ქიმიური აქტიურობის მაჩვენებელთა რაოდენობრივი აღრიცხვის, აგრეთვე ხანძრის ჩაქრობის საშუალებების ერთგვაროვნობის საფუძველზე. ეს ნივთიერებები და მასალები შეიძლება იყოს ერთმანეთთან შეთავსებული და შეუთავსებელი.

2. შეუთავსებელი ეწოდება ისეთ ნივთიერებებს და მასალებს, რომლებიც ერთობლივად შენახვისას (მიუხედავად ტარისა და შეფუთვის დამცავი თვისებებისა):

- ა) ზრდიან თითოეული მასალისა და ნივთიერების სახანძრო სამიშროებას;
- ბ) იწვევენ დამატებით სირთულეებს ხანძრის ჩაქრობისას;
- გ) ამძიმებენ ეკოლოგიურ მდგომარეობას ხანძრის დროს (შესაბამისი რაოდენობით აღებული ცალკეული ნივთიერებითა და მასალით გამოწვეულ ხანძართან შედარებით);
- დ) შედიან ერთმანეთთან რეაქციაში საშიში ნივთიერებების წარმოქმნით.

3. ხანძრის გაჩენის, ხანძრის სახიფათო ფაქტორების გაძლიერების, საყოფაცხოვრებო გარემოს (ჰაერი, წყალი, ნიადაგი, ფლორა, ფაუნა და ა.შ.) მოწამვლის, ადამიანზე (კანზე, სასუნთქი ორგანოების ლორწოვან გარსზე უშუალო კონტაქტის გზით ან მანძილიდან), როგორც ნორმალურ პირობებში, ასევე ხანძრის დროს ზემოქმედების პოტენციური სამიშროების მიხედვით ნივთიერებები და მასალები იყოფა თანრიგებად:

- ა) უსაფრთხო;
- ბ) ნაკლებად საშიში;
- გ) საშიში;
- დ) განსაკუთრებით საშიში.

4. უსაფრთხოს მიეკუთვნება უწვი ნივთიერებები და მასალები უწვე შეფუთვაში, რომლებიც ხანძრის პირობებში დაშლის ან ჟანგის შედეგად არ გამოყოფენ საშიშ (წვად, შხამიან, მწვავე) პროდუქტებს, არ წარმოქმნიან სხვა ნივთიერებებთან ფეთქებად ან ხანძარსაშიშ, შხამიან, მწვავე, ეგზოთერმულ ნარევეს. უსაფრთხო ნივთიერებები და მასალები უნდა ინახებოდეს სათავსებში ან ნებისმიერი ტიპის ღია მოედნებზე (თუ ეს არ ეწინააღმდეგება ტექნიკურ პირობებს მოცემულ ნივთიერებაზე).

5. ნაკლებად საშიშს მიეკუთვნება ისეთი უსაფრთხო წვადი და მხელად წვადი ნივთიერებები და მასალები, რომლებზეც არ ვრცელდება საშიში ტვირთებისათვის გათვალისწინებული მოთხოვნები.

6. ნაკლებად საშიში ნივთიერებები იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- ა) თხევადი ნივთიერებები 90°C -ზე მეტი აალების ტემპურატურით;



- ბ) მყარი ნივთიერებები და მასალები, რომლებიც აირის სანთურის ზემოქმედებით აალებება 120 და მეტი წამის განმავლობაში;
- გ) ნივთიერებები და მასალები, რომლებსაც გამოცდის პირობებში (გარემოს 140°C ტემპერატურისას) აქვთ 150°C-ზე მეტ ტემპერატურამდე თვითგახურების უნარი 24 სთ-ზე მეტ დროში;
- დ) ნივთიერებები და მასალები, რომლებიც წყალთან ურთიერთქმედებისას გამოყოფენ აალებად აირებს 0,5 დმ³/კგ.სთ ნაკლები ინტენსიურობით;
- ე) შხამიანი ნივთიერებები და მასალები საშუალო სასიკვდილო დოზით კუჭში მოხვედრისას 500 მგ/კგ მეტი (თუ თხევადია) ან 2000 მგ/კგ მეტი (თუ მყარია), ან საშუალო სასიკვდილო დოზით კანზე მოხვედრისას 2500 მგ/კგ მეტი, ან საშუალო სასიკვდილო დოზით შესუნთქვისას 20 მგ/დმ³ მეტი;
- ვ) სუსტი მწვავე და (ან) კოროზიული ნივთიერებები და მასალები შემდეგი მახასიათებლებით: კონტაქტის დრო (რომელიც იწვევს ცხოველთა (თეთრი ვირთხების) კანის ქსოვილის ხილვად ნეკროზს) – 24 სთ-ზე მეტი, ფოლადის (M3) ან ალუმინის (M6) ზედაპირის კოროზიის სიჩქარე – წელიწადში 1 მმ ნაკლები;
- ზ) კ. 4-ში აღნიშნული უწყვი ნივთიერებები და მასალები წვად შეფუთვაში.
- 7. ნაკლებად საშიში ნივთიერებებისა და მასალების შენახვა დასაშვებია ცეცხლმედეგობის ყველა ხარისხის საწყობში (V- ხარისხის გარდა).
- 8. საშიშს მიეკუთვნება ისეთი თვისებების წვადი და უწყვი ნივთიერებები და მასალები, რომელთა გამოვლენამ შეიძლება გამოიწვიოს აფეთქება, ხანძარი, ადამიანებისა და ცხოველების სიკვდილი, ტრავმირება, მოწამვლა, დასხივება, დაავადება, ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების დაზიანება. საშიში თვისებები შეიძლება გამოვლინდეს ნორმალურ ან ავარიულ პირობებში როგორც ცალკეულ ნივთიერებებსა და მასალებში, ასევე მათი ურთიერთქმედებისას სხვა კატეგორიების ნივთიერებებთან და მასალებთან.
- 9. საშიში ნივთიერებები და მასალები აუცილებლად უნდა ინახებოდეს ცეცხლმედეგობის I და II ხარისხის საწყობებში.
- 10. განსაკუთრებით საშიშს მიეკუთვნება ისეთი ნივთიერებები და მასალები, რომლებიც შეუთავსებელი არიან მათივე კატეგორიის მქონე ნივთიერებებთან და მასალებთან.
- 11. განსაკუთრებით საშიში ნივთიერებები და მასალები აუცილებლად უნდა ინახებოდეს ცეცხლმედეგობის I და II ხარისხის საწყობებში, უპირატესად ცალკე მდგომ შენობებში.
- 12. საშიში და განსაკუთრებით საშიში ნივთიერებები და მასალები იყოფა კლასებად და ქვეკლასებად (ცხრილი 1) და კატეგორიებად (ცხრილი 2).
- 13. ყველაზე ხშირად გადასაზიდი და საწყობში შესანახი ნივთიერებების და მასალების ნუსხა მოყვანილია ცხრილ 3-ში.

მუხლი 2. ნივთიერებების და მასალების ერთობლივი შენახვის პირობები

- 1. განსაკუთრებით საშიში თანრიგის ნივთიერებები და მასალები შენახვისას აუცილებლად უნდა განთავსდეს ისე, როგორც აღნიშნულია ცხრილ 4-ში.
- 2. საშიში თანრიგის ნივთიერებები და მასალები შენახვისას აუცილებლად უნდა განთავსდეს ისე, როგორც აღნიშნულია ცხრილ 5-ში.
- 3. გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია განსაკუთრებით საშიში და საშიში ნივთიერებებისა და მასალების შენახვა ერთ საწყობში. ამ შემთხვევაში მათი განთავსება უნდა მოხდეს ისე, როგორც აღნიშნულია ცხრილ 6-ში.
- 4. საწყობის ერთ სათავსში აკრძალულია ისეთი ნივთიერებების და მასალების შენახვა, რომელთაც ესაჭიროება ხანძარის ჩაქრობის არაერთგვარი საშუალებები.

ცხრილი 1

საშიში და განსაკუთრებით საშიში ნივთიერებების და მასალების კლასები და ქვეკლასები

ნომერი		ქვეკლასის დასახელება	კლასის და ქვეკლასის დამახასიათებელი მაჩვენებლები და კრიტერიუმები
კლასი	ქვეკლასი		
1	2	3	4
2		შეკუმშული, თხევადი, გახსნილი აირები წნევის ქვეშ	ნივთიერებები, რომელთა ორთქლის აბსოლუტური წნევა 50°C -ის პირობებში შეადგენს არანაკლებ 300 კპა(კვკმ/სმ ²) ან კრიტიკული ტემპერატურა 50°C -ზე ნაკლებია.
	2.1	არააალებადი არაშხამიანი	
	2.2	შხამიანი არააალებადი	საშუალო სასიკვდილო (ლეტალური) კონცენტრაცია არ აღემატება 5000 სმ ³ /მ ³ .
	2.3	აალებადი (წვადი)	ჰაერთან აალებადი ნარევების წარმომქმნელი არაშხამიანი აირები
	2.4	შხამიანი და აალებადი	საშუალო სასიკვდილო (ლეტალური) კონცენტრაცია არ აღემატება 5000 სმ ³ /მ ³ . წარმოქმნიან აალებად ნარევებს ჰაერთან
3		ადვილალეზადი სითხეები	სითხეები, რომელთა აფეთქების ტემპერატურა დახურულ ტიგელში არ აღემატება +61°C
	3.1		ადვილალეზადი სითხეები, რომელთა აფეთქების ტემპერატურა -18°C ნაკლებია
	3.2		ადვილალეზადი სითხეები, რომელთა აფეთქების ტემპერატურა -18°C მეტია და +23°C ნაკლები
3.3		ადვილალეზადი სითხეები, რომელთა აფეთქების ტემპერატურა შეადგენს არანაკლებ +23°C, მაგრამ არ აღემატება +61°C	
4	4.1	ადვილალეზადი მყარი ნივთიერებები	1) მყარი ნივთიერებები, რომლებსაც აქვთ დაბალი ენერჯის მქონე ამნთების წყაროს (სასნთეს კლინ ნაპერწკალი, მძვუტავი/დე/index.php/chat?locale=ka&style=matsne&name=) სიგარეტი) ხანმოკლე (30 წმ) ზემოქმედების შედეგად აალების



5	4.2 თვითანთვადი მყარი ნივთიერებები		უნარი და ავრცელებენ ალს 2 მმ/წმ მეტი სიჩქარით (ფხვნილები – 1 მმ/წმ მეტი სიჩქარით); 2) თვითშლადი ნივთიერებები, ე.ი. რომლებსაც აქვთ მიდრეკილება ეგზოთერმული დაშლისადმი ჰერის მიწოდების გარეშე, როდესაც ტემპერატურა არ აღემატება +65°C; 3) ხახუნისაგან აალეზადაი.
	4.3 ნივთიერებები, რომლებიც წყალთან ურთიერთქმედებისას გამოყოფენ აალეზად აირებს.		1) პიროფორული ნივთიერებები, ე.ი. ჰერზე სწრაფად აალეზადაი; 2) სხვა ნივთიერებები, რომლებსაც აქვთ თვითანთვადი თვითნებურად გახურების უნარი.
	5.1 დამყანველი ნივთიერებები და ორგანული პეროქსიდები	დამყანველი ნივთიერებები	ნივთიერებები, რომლებიც +20(+5,-5)°C წყალთან ურთიერთქმედებისას გამოყოფენ აალეზად აირებს არანაკლებ 1 დმ ³ /კგ-ს ინტენსიურობით
	5.2 ორგანული პეროქსიდები	ორგანული პეროქსიდები	ნივთიერებები, რომლებიც ხელს უწყობენ წვას, ეგზოთერმული ჟანგვა-აღდგენითი რეაქციის შედეგად იწვევენ და/ან ხელს უწყობენ ნივთიერებათა აალეზას. ამ ქვეკლასის ნივთიერებათა დაშლის ტემპერატურა არ აღემატება +65°C და/ან მყანგავის ორგანულ ნივთიერებასთან (მუხის ნახერხი) ნარევის წვის დრო არ აღემატება ეტალონდამყანველის (ამონიუმის პერსულფატი) მუხის ნახერხებთან ნარევის წვის დროს ნივთიერებები, რომელთა შემადგენლობაში შედის R - O - OR, 1 2 + - - - - + ფუნქციონალური ჯგუფი, შესაძლებელია განხილულ იქნეს წყალბადის პეროქსიდის წარმოებულბად, რომელთა წყალბადის ერთი ან ორი ატომი ჩანაცვლებულია ორგანული რადიკალებით. ეს ნივთიერებები თერმულად არამდგრადია, ექვემდებარებიან თვითაჩქარებულ ეგზოთერმულ დაშლას, შესაძლო აფეთქებით. მგრძობიარენი არიან დარტყმაზე და ხახუნზე
6	6.1 შხამიანი ნივთიერებები	შხამიანი ნივთიერებები	შეუძლიათ გამოიწვიონ მოწამლა შესუნთქვისას, ორგანიზმში და/ან კანზე მოხვედრისას. საშუალო სასიკვდილო (ლეტალური) დოზა სითხის კუჭში მოხვედრისას – 500 მგ/კგ ნაკლები, მყარი ნივთიერებების – 200 მგ/კგ ნაკლები, ლეტალური დოზა კანზე მოხვედრისას – 1000 მგ/კგ ნაკლები, ლეტალური კონცენტრაცია მტვრის შესუნთქვისას – 10 მგ/დმ ³ ნაკლები. საინჰალაციო მოწამლის შესაძლებლობის კოეფიციენტი – არანაკლებ 0,2 მგ/დმ ³ . საინჰალაციო მოწამლის შესაძლებლობის კოეფიციენტი ტოლია შხამიან ნივთიერებათა ნაჯერი ორთქლების კონცენტრაციის (20°C ტემპერატურაზე) შეფარდებისა საშუალო სასიკვდილო კონცენტრაციის მაჩვენებელთან
8	8.1 მწვავე და/ან კოროზიული ნივთიერებები	მწვავე და/ან კოროზიული ნივთიერებები	ნივთიერებები ან მათი წყალხნარები, რომლებიც უშუალო კონტაქტის შედეგად არაუმეტეს 4 სთ-ის განმავლობაში იწვევენ ცხოველთა ქსოვილების ხილვად ნეკროზს და/ან კოროზიული ნივთიერებები და მათი წყალხნარები, რომლებიც იწვევენ ფოლადის (M3) ან ალუმინის (M6) ზედაპირის კოროზიას +55°C ტემპერატურაზე წელიწადში არანაკლებ 6,25 მმ სიჩქარით.
	8.2 მყავა თვისებების მწვავე და/ან კოროზიული ნივთიერებები, რომლებიც ახდენენ მანეკროზირებად მოქმედებას ცოცხალ ქსოვილზე და/ან კოროზიულ მოქმედებას ლითონებზე	მყავა თვისებების მწვავე და/ან კოროზიული ნივთიერებები, რომლებიც ახდენენ მანეკროზირებად მოქმედებას ცოცხალ ქსოვილზე და/ან კოროზიულ მოქმედებას ლითონებზე	ნივთიერებები, რომლებიც არ მიეკუთვნება 8.1. და 8.2. ქვეკლასებს, მაგრამ ახდენენ მანეკროზირებად მოქმედებას ცოცხალ ქსოვილზე და/ან კოროზიულ მოქმედებას ლითონებზე
9	8.3 სხვადასხვა მწვავე და/ან კოროზიული ნივთიერებები	სხვა საშიში ნივთიერებები	ნივთიერებები, რომლებიც არ მიეკუთვნება 1-8 კლასებს: 1. სითხეები, რომელთა აფეთქების ტემპერატურა +61°C-ზე მეტია, მაგრამ არ აღემატება +90°C; 2. მყარი ნივთიერებები, რომლებიც აალდებიან აირის სანთურის მოქმედებისას არანაკლებ 30, მაგრამ არაუმეტეს 120 წ. ში



9.2	ნივთიერებები, რომლებიც ქმნიან საშიშროებას ყრილით შენახვისას (ტრანსპორტირებისას)	<p>3. ნივთიერებები, რომლებსაც სპეციალური ცდების პირობებში (გარემოს 140°C ტემპერატურისას), არა უმეტეს 24 სთ განმავლობაში აქვთ თვითგახურების +200°C ტემპერატურამდე;</p> <p>4. ნივთიერებები, რომლებიც წყალთან ურთიერთქმედებისას გამოყოფენ აალებად აირებს 0,5 დმ³/კგ.სთ მეტი, მაგრამ 1 დმ³/კგ.სთ ნაკლები ინტენსიურობით;</p> <p>5. ნივთიერებები, რომლებიც ერთ ადგილზე თერმული დაშლის დაწყების შემდეგ ავრცელებენ მას მიუღწეველ მასაზე;</p> <p>6. შხამიანი ნივთიერებები, რომლებსაც შემუშავებულია გამოიწვიონ მოწამვლა ორთქლის ან მტვერის შესუნთქვისას, ორგანიზმში მოხვედრისას და/ან კანთან კონტაქტის შედეგად და რომლებიც ხასიათდება ერთ-ერთი შემდეგი მარკენგებით და კრიტერიუმით:</p> <p>ა) ლეტალური დოზა კუჭში მოხვედრისას მყარი ნივთიერებისათვის – 200 მგ/კგ მეტი, მაგრამ არა უმეტეს 2000 მგ/კგ, თხევადი ნივთიერებისათვის – 500 მგ/კგ მეტი, მაგრამ არა უმეტეს 2000 მგ/კგ;</p> <p>ბ) ლეტალური დოზა კანზე მოხვედრისას –1000 მგ/კგ მეტი, მაგრამ არაუმეტეს 2500 მგ/კგ;</p> <p>გ) ლეტალური კონცენტრაცია შესუნთქვისას –10 მგ/დმ³ მეტი, მაგრამ არაუმეტეს 20 მგ/დმ³;</p> <p>7. მწვავე და კოროზიული ნივთიერებები, რომლებიც ხასიათდება შემდეგი მარკენგებით და კრიტერიუმებით:</p> <p>ა) ცხოველთა (თეთრი ვირთხების) კანის ქსოვილის ხილული ნეკროზის გამომწვევი კონტაქტის დრო – 4 სთ მეტი, მაგრამ არა უმეტეს 24 სთ;</p> <p>ბ) ფოლადის (M3) ან ალუმინის (M6) ზედაპირის კოროზიის სიჩქარე – წელიწადში არანაკლებ 1 მმ, მაგრამ არა უმეტეს 6,25 მმ წელიწადში;</p> <p>1. წვადი მყარი ნივთიერებები;</p> <p>2. ნივთიერებები, რომლებსაც წყალთან ურთიერთქმედებისას აქვთ აალებადი აირების გამოყოფის უნარი;</p> <p>3. შხამიანი ნივთიერებები, რომელთა ლეტალური დოზა ორგანიზმში მოხვედრისას 5000 მგ/კგ მეტია, მაგრამ არ აღემატება 10000 მგ/კგ ან ლეტალური დოზა კანზე მოხვედრისას 2500 მგ/კგ მეტია, მაგრამ არ აღემატება 5000 მგ/კგ, ან შესუნთქვისას ლეტალური დოზა 20 მგ/დმ³ მეტია, მაგრამ არ აღემატება 75 მგ/დმ³;</p> <p>4. მწვავე და/ან კოროზიული ნივთიერებები, რომლებიც ხასიათდება ცხოველთა (თეთრი ვირთხების) კანის ქსოვილის ხილული ნეკროზის გამომწვევი კონტაქტის ხანგრძლივობით 24 სთ მეტი, მაგრამ არა უმეტეს 48 სთ ან ფოლადის ან ალუმინის ზედაპირის კოროზიის სიჩქარით – წელიწადში არანაკლებ 0,35 მმ, მაგრამ არა უმეტეს 1 მმ წელიწადში;</p> <p>5. ნივთიერებები, რომლებიც ამცირებენ ჟანგბადის შემცველობას სათავსოში.</p>
-----	---	--

ცხრილი 2

საშიში და განსაკუთრებულად საშიში ნივთიერებებისა და მასალების კატეგორიების ნომრები და დასახელება

კატეგორიის №	კატეგორიის დასახელება	თანრიგის დასახელება	საშიშროების ნიშნის ნახაზის ნომერი*
1	2	3	4
211	არააალებადი (უწყვი) არაშხამიანი აირები დამატებითი სახის საშიშროების გარეშე	საშიში	2
212	დამყანგველი არააალებადი არაშხამიანი აირები	განსაკუთრებით საშიში	2/5
221	შხამიანი აირები დამატებითი სახის საშიშროების გარეშე	საშიში	6ა
222	დამყანგველი შხამიანი აირები	განსაკუთრებით საშიში	6ა/5
223	მწვავე და/ან კოროზიული შხამიანი აირები	საშიში	6ა/8
224	დამყანგველი, მწვავე და კოროზიული შხამიანი აირები	განსაკუთრებით საშიში	6ა/5, 8
231	წვადი აირები დამატებითი სახის საშიშროების გარეშე	საშიში	3
232	მწვავე და/ან კოროზიული წვადი აირები	საშიში	3/8
241	შხამიანი და წვადი აირები დამატებითი სახის საშიშროების გარეშე	საშიში	6ა, 3
311	ადვილალეზადი სითხეები, რომელთა აფეთქების ტემპერატურა ნაკლებია –18°C. დამატებითი სახის საშიშროების გარეშე	განსაკუთრებით საშიში	3/6ა
312	შხამიანი ადვილალეზადი სითხეები, რომელთა აფეთქების ტემპერატურა ნაკლებია –18°C	განსაკუთრებით საშიში	3/8
314		საშიში	



527	თვალეხისათვის მწვავე, ადვილაალებადი ორგანული პეროქსიდები	განსაკუთრებით საშიში	6ა/3
611	აქროლადი შხამიანი ნივთიერებები დამატებითი სახის საშიშროების გარეშე	განსაკუთრებით საშიში	6ა/3
612	ადვილაალებადი აქროლადი შხამიანი ნივთიერებები, რომელთა აფეთქების ტემპერატურა არ აღემატება 23°C	განსაკუთრებით საშიში	6ა/8
613	ადვილაალებადი აქროლადი შხამიანი ნივთიერებები, რომელთა აფეთქების ტემპერატურა მეტია 23°C, მაგრამ არ აღემატება 61°C	განსაკუთრებით საშიში	6ა/3, 8
614	მწვავე და/ან კოროზიული აქროლადი შხამიანი ნივთიერებები	განსაკუთრებით საშიში	6ა (ან 6ბ)
615	ადვილაალებადი, მწვავე და/ან კოროზიული აქროლადი შხამიანი ნივთიერებები	საშიში	6ა/8
616	არააქროლადი შხამიანი ნივთიერებები დამატებითი სახის საშიშროების გარეშე	საშიში	6ა/4ა
617	არააქროლადი, მწვავე და/ან კოროზიული შხამიანი ნივთიერებები	საშიში	7ა, 7ბ, 7ვ (შეფუთვის I, II, III კატეგორიის შესაბამისად)
618	არააქროლადი, ადვილაალებადი, მყ. შხამიანი ნივთიერებები	საშიში	7ა, 7ბ, 7ვ (შეფუთვის I, II, III კატეგორიის შესაბამისად)
710	განსაკუთრებული შეთანხმებით გადასაზიდი რადიოაქტიური მასალები	საშიში	- " -
711	განაყოფადი (ბირთვული) რადიოაქტიური მასალები	საშიში	- " -
712	მხოლოდ განსაკუთრებული გამოყენების პირობებით გადასაზიდი რადიოაქტიური მასალები დაბალი კუთრი აქტიურობით	საშიში	- " -
713	რადიოაქტიური მასალები დაბალი კუთრი აქტიურობით	საშიში	- " -
714	პიროფორული რადიოაქტიური მასალები	საშიში	8
715	ჟანგვადი რადიოაქტიური მასალები	საშიში	8
716	ობიექტები ზედაპირული რადიოაქტიური გაქუჩყიანებით	საშიში	8/6ა, 5
717	გამოსხივების რადიოაქტიური წყაროები (იზოტოპები)	განსაკუთრებით საშიში	8/3
718	კოროზიული რადიოაქტიური მასალები	საშიში	8/5
719	წესებიდან გამონაკლისი რადიოაქტიური მასალები	საშიში	8/5
